სარბიელი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 ნოემბერი შაბათი 2011
№279 (13576) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ ზესტაფონში. 18:00

## ზესტაფონი VS დინამო

# შეხვედრა დიდ შეხვედრასთან

### ჩვენი ცხოვრების და ფეხბურთის კვალობაზე, ასეთი მატჩებია, სანახაობის მოლოდინის განცდას რომ გვინარჩუნებს




2-3

## სეზონის დახურვა

თასის ფინალი: არმია-ყოჩები

დღეს ავჭალაში, 14:00




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

13

გერმანია

## ომი და სპექტაკლი დორტმუნდში

დღეს რურის დერბია: ბორუსია-შალკე

5



გერმანიაში ყველაზე საინტერესო რურის დერბია

საფრანგეთი

## ხვალ: მარსელი-პსჟ

როცა საფრანგეთში მხოლოდ პოლიცია და საავადმყოფოები მუშაობს

6

ინგლისი

## მანჩესტერელთა მორიგი გამოცდები

ხვალ ლივერპული სიტის გაჩერებას აპირებს

7

ესპანეთი

## მადრიდული დერბი

ისტორია რეალისკენაა, რეალობაც?

8

იტალია

## ლიდერთა ჯახი ოლიმპიკოზე

ლაციო ბებერ ქალბატონს გაუმასპინძლდება

9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ოდიკაძე ზესტაფონის სუსტი წერტილი ჩვენი კარგი თამაშია

ხვალინდელი ტურის ცენტრალური დაპირისპირება "ზესტაფონი" - "დინამო" ერთ თბილისურ ოჯახს უშუალოდ შეეხება: "დინამოში" ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე დავით ოდიკაძეა, მისი ძმა თამაზიც ცოტა ხნის წინ თბილისელთა საფეხბურთო აკადემიის მეკარეთა მწვრთნელი იყო, ერთი თვის წინ კი ამავე ამპლუაში "ზესტაფონმა" მთავარ გუნდში მიიწვია.

**დავით ოდიკაძეს ხვალინდელ მატჩზე ვესაუბრეთ.**

- არაფერი განსაკუთრებული, "ზესტაფონთან" მატჩისთვის ისევე ვემზადებით, როგორც ყველა სხვა შეხვედრისთვის..

**- შეუძლებელია, პრინციპული მატჩისთვისაც ისევე ემზადებოდეთ, როგორც სხვა, მორიგი შეხვედრისთვის.**

- მე ვგულისხმობ თავად მომზადებას, თორემ სერიოზული განწყობა და სტიმული რომ გვაქვს, ამას მტკიცება რად უნდა. "ზესტაფონი" ძლიერი გუნდია, კარგი ფეხბურთელები ჰყავს და, ბუნებრივია, მეტოქის მიმართ პატივისცემით ვართ განწყობილნი.

**- თამაშამდე მოწინააღმდეგის ყველა ნაკლსა და ღირსებას სწავლობენ.**

- მე მხოლოდ "ზესტაფონის" ღირსებებზე ვიტყვი...

**- მაგრამ ნაკლიც უნდა იცოდე და გამოიყენო.**

- ეს კი ასეა, მაგრამ ყველა ნაკლი რომც ვიცოდე, მაინც არ ვიტყვი, არ მინდა, მოწინააღმდეგის უპატივცემლობაში ჩამომართვან. ნაკლი ყველას აქვს, მაგრამ მასზე სხვა რომ ლაპარაკობს, საწყენია. ასე რომ, საფეხბურთო ეთიკას არ დავარღვევ.

პლუსებზე კი იმას ვიტყვი, რომ, უპირველეს ყოვლისა, "ზესტაფონი" საკუთარ სტადიონზე თამაშობს, მეორეც – გუნდი ხუთი-ექვსი წელია, ლამის ერთი შემადგენლობით გამოდის და ძალიან კარგად არის შეთამაშებული.

**- და მაინც, რის ხარჯზე იქნება შესაძლებელი მეტოქის დამარცხება?**

- "ზესტაფონის" ერთ მინუსს გეტყვით – ეს იქნება "დინამოს" კარგი თამაში. მეტოქე ძლიერია, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ჩემპიონია, მაგრამ საკუთარი დადებითი მხარეების წარმოჩენას თუ მოვახერხებთ, დავამარცხებთ.

**- „ზესტაფონს" რომ გაუტანო, შესაძლოა, შენს ძმას ნაკლად ჩაუთვალონ, მეკარეები ცუდად მოამზადაო.**

- რომელ მეკარეს არ გაუშვია, კარი მშრალად ჩემი ძმის გაწვრთნილებმა რომ შეინახონ? ისე, ნეტა "ზესტაფონს" გავუტანო და, თუნდაც მამაჩემის მინუსად მიიჩნიონ, მაინც გამიხარდება. სხვათა შორის, თამაზი 31 წლისაა, მაგრამ მეკარეების წვრთნაში უკვე საკმაოდ გამოცდილია, თბილისის "ლოკომოტივში" მუშაობდა და იქ ნაკრებისთვის მართლაც კარგად მოამზადა გიორგი ლომაია, მაქსიმე ქვილითაია კი ნაკრების კანდიდატი გახდა.

**- ლიდერების შეხვედრა მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, როგორ განვითარდება მოვლენები ჩემპიონატში.**

- ცხადია, ახლა ჩემპიონობის ბედი არ გადაწყდება, ჩემპიონატში კიდევ ორჯერ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, მაგრამ შეგვიძლია, "ზესტაფონს" დავეწიოთ და ვითარება საჩვენოდ შემოვატრიალოთ, ამ შანსს კი გამოყენება სჭირდება.

სხვათა შორის, ეს რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: წლეულს რომ ჩემპიონატი დაძაბული და საინტერესოა, ასეთს მე ვერც ვიხსენებ. „დინამო", "ზესტაფონი", "ტორპედო" და "მეტალურგი" ჩემპიონობისთვის იბრძვიან, დანარჩენი გუნდები კი არაფერს გვითმობენ. ამ ყველაფერს ხელს ისიც უწყობს, რომ ადრინდელთან შედარებით უკეთეს მოედნებზე ვთამაშობთ.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ოდიკაძე | გურამ დოლენჯაშვილის ფოტო | გიორგი ონიანი

# კონკურენცია ანუ მოტივაცია

## გიორგი ონიანი: როცა დინამოს ეთამაშები, დაღლა გავიწყდება

**"დინამოსთან" ხვალინდელ მატჩსა და მიმდინარე სეზონის სხვა მნიშვნელოვან თემებზე "ზესტაფონის" 28 წლის ცენტრალურ მცველ გიორგი ონიანს ვესაუბრეთ.**

**- "ტორპედოსთან" სათასო მატჩით დავიწყოთ. წესით, სტუმრად მიღწეული 1:1-ით კმაყოფილები უნდა იყოთ.**

- ანგარიში ჩვენთვის ურიგო მართლაც არ არის, მაგრამ როცა ვიხსენებ, როგორი სცენარით წარიმართა შეხვედრა, გული მწყდება, რომ ვერ გავიმარჯვეთ. ძალიან არ გაგვიმართლა, თორემ აუცილებლად მოვიგებდით. ჩემი აზრით, ფრე ალოგიკური და უსამართლო შედეგია.

**- ამ სეზონში "ტორპედოს" უკვე მესამედ ეთამაშეთ და შედეგის მხრივ სრული თანაფარდობა გაქვთ – გამარჯვება, ფრე და მარცხი. როგორ ფიქრობ, ეს ბალანსი "ზესტაფონისა" და "ტორპედოს" ძალას ზუსტად ასახავს?**

- "ტორპედოსადმი" დიდი პატივისცემის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ დღეისთვის "ზესტაფონი" უკეთესი გუნდია. ჩემპიონატში ქუთაისელებს სტუმრად დამაჯერებლად ვაჯობეთ, შინ კი, როგორც მინიმუმ, არ უნდა წაგვეგო – სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მსაჯმა ასპროცენტიანი თერთმეტმეტრიანი არ დაგვარტყმევინა.

**- ორდღიანი ინტერვალით მეორე უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება გელით. გეყოფათ ძალები მეორე გამოცდისთვის?**

- დროის ასეთ მოკლე მონაკვეთში ძალების სრულად აღდგენა ძალიან ძნელია, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ "დინამოსთან" გავიმარჯვებთ. დაღლილობას ვერ უარვყოფ, მაგრამ, როცა "დინამოს" ეთამაშები, ყველანაირი დისკომფორტი გავიწყდება და მოედანზე ბოლომდე იხარჯები. არ გამოვრიცხავ, ჩვენმა სამწვრთნელო შტაბმა ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელოს და "დინამოს" წინააღმდეგ შედარებით დასვენებული ფეხბურთელები ათამაშოს. გრძელი სათადარიგოთა სკამი გვაქვს და სრულფასოვანი შემცვლელი ნებისმიერ მოთამაშეს მოეძებნება. თუმცა სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა არავის გაუხარდება, თითოეული ჩვენგანი დიდი ბრძოლის მოლოდინშია და უნდა მისი უშუალო მონაწილე იყოს და არა - მაყურებელი. "დინამო" თასისგან უკვე თავისუფალია და ჩვენთან შედარებით დასვენებულიც, მაგრამ არა მგონია, ამის წყალობით გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიოს. ვფიქრობ, ჩვენი პლუსი, სავსე სტადიონს ვგულისხმობ, უფრო ძლიერად იმუშავებს.

**- "დინამოსთან" თბილისში ჩატარებული შეხვედრა გავიხსენოთ.**

- ის მატჩი 2:2 დასრულდა, მაგრამ უხვგოლიანობის მიუხედავად, ნამდვილად არ ყოფილა მაღალი დონის თამაში, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა – ორივე გუნდი ევროტურნირებით გადაღლილი იყო და, გარდა ამისა, თამაში საშინელ მინდორზე გაიმართა, რამაც სანახაობას დაღი დაასვა. ამჟამად "ზესტაფონიც" უკეთეს კონდიციებშია და "დინამოც", რაც აუცილებლად აისახება კვირის მატჩის ხარისხზეც და სანახაობაზეც.

**- ამჯერად მხოლოდ გამარჯვება დაგაკმაყოფილებთ?**

- არ გვაქვს უფლება, საკუთარ კედლებში სხვა შედეგზე ვიფიქროთ. ერთი მხრივ, ფრითაც შევინარჩუნებდით "დინამოსთან" უპირატესობას, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში მას სოლიდური სხვაობით გავასწრებთ და ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

**- გუნდში კონკურენცია ახსენე და, ამ მხრივ არც "ზესტაფონის" დაცვის ცენტრია გამონაკლისი.**

- ეს თითოეული ჩვენგანისთვის კარგია. უპირველესად, სწორედ კონკურენციის გამო ვინარჩუნებთ მოტივაციას, სწორედ ამიტომაა, რომ "ზესტაფონი" მეორე ჩემპიონობისკენაც ძველებური სურვილით მიდის. კონკურენცია ნაკლები რომ იყოს, ეს გუნდის შედეგებზე აუცილებლად აისახებოდა, "ზესტაფონში" კი თითოეულმა ფეხბურთელმა, რომელიც მოედანზე გადის, კარგად იცის: თუ ბოლომდე არ დაიხარჯა, ან სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდება, ანაც განაცხადს მიღმა. დაცვის ცენტრში კი შესანიშნავი პარტნიორები მყავს – ედიკ საჯაიასთან ერთად თბილისის "ლოკომოტივშიც" ვთამაშობდი და ერთმანეთთან შესათამაშებლად დრო საერთოდ არ დაგვჭირვებია, მამუკა კობახიძე კი, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. მოუთმენლად ველოდებით გიორგი ხიდეშელის გამოჯანმრთელებას, რომელიც კონკურენციას კიდევ უფრო გაამძაფრებს. ჩვენ, უპირველესად, მეგობრები ვართ და კარგად ვაცნობიერებთ, რომ კონკურენცია თითოეული ჩვენგანისთვის სასარგებლოა.

**- "ზესტაფონი" ისედაც ლიდერია, მაგრამ, შეგეძლოთ უფრო მეტი ქულის მოპოვებაც?**

- რა თქმა უნდა, შეგვეძლო. თავის გასამართლებელ მიზეზებს არ ვეძებ, მაგრამ ფაქტია, საქართველოში მოედნების პრობლემა რომ არ იყოს, "ზესტაფონის" სტილის გუნდები კიდევ უფრო წარმატებით ითამაშებდნენ. ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ, რომ ჩვენი ჩემპიონატის დონე გაიზარდა, რასაც მე მაინცდამაინც ვერ ვამჩნევ – თუ მოედნებს არ მიხედავენ, წინსვლა გამორიცხულია. კარგია, რომ ბოლო დროს ვითარების გაუმჯობესება შეინიშნება და იმედია, მალე ხარისხიანი გაზონების რაოდენობა უფრო გაიზრდება.

**- ერთი შეხედვით, "ზესტაფონის" სათამაშო სტილი დიდად არ შეცვლილა. თუმცა წარმოუდგენელია, გიორგი ჭიაბრიშვილს გია გეგუჩაძისგან რაიმე არ განასხვავებდეს.**

- ორივე შემტევი და სანახაობრივი ფეხბურთის მიმდევარია, მაგრამ ერთმა მწვრთნელმა მეორისგან ყველაფერი ბრმად თუ გადაიღო, ბევრს ვერაფერს მიაღწევს. ჭიაბრიშვილსაც საკუთარი შეხედულებები აქვს, რაც ფეხბურთელებისთვის სავსებით მისაღებია. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, იგი გუნდს მაღალ დონეზე მართავს. გიორგიც და ჩვენც კარგად ვაცნობიერებთ, რომ ასაკის მიუხედავად, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შორის დისტანციის დაცვა აუცილებელია. მას დიდი ხანია, ვიცნობთ და მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ერთმანეთს ხელს ყველანაირად ვუწყობთ. ამას, უპირველესად, ჭიაბრიშვილის პროფესიონალიზმი და იშვიათი ადამიანური თვისებები განაპირობებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### დინამო

# კაკუბავა: რეაბილიტაცია მალე, დაბრუნება თებერვალში

უკვე გაცნობეთ, რომ **ლევან კაკუბავამ** "დინამოს" ვარჯიშზე მცირე წვივის ძვალი გაიტეხა და გადაუდებელი ოპერაციაც დასჭირდა. "დინამოს" ვებგვერდის ცნობით, 21 წლის მცველს ოპერაცია, რომელიც საათნახევარს გაგრძელდა, კლინიკა "მედიკლაბში" ტრავმატოლოგმა ვაჟა გაფრინდაშვილმა გაუკეთა.

კაკუბავა სარეაბილიტაციო კურსს ერთ კვირაში დაიწყებს, სრული დატვირთვით ვარჯიშს და, შესაძლოა, თამაშსაც, თებერვალში შეუდგება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### პირველი ლიგა

# გურიადან ლიდერები დაითხოვეს!

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე ლანჩხუთის „გურია" საუმაღლესლიგო პლეი ოფში მოხვედრის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. წესით, ლანჩხუთელებს ეს საქმე აქამდეც გარკვეული უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მანამდე ყოჩაღად მოასპარეზეებმა ბოლო ორ შეხვედრაში მხოლოდ 1 ქულის აღება მოახერხეს, ისიც საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ ვანის „სულორთან", რომელთანაც აგებდნენ კიდეც. მანამდე კი „გურიამ" სტუმრად წააგო „ზოოვეტთან" და მდგომარეობა ერთგვარად გაირთულა.

არადა, ამ ორ შეხვედრაში წარმატების შემთხვევაში ლანჩხუთელები პლეი ოფში თამაშის უფლებას 4 ტურით ადრე ინაღდებდნენ! ახლა მათ 6 ქულის მოპოვება სჭირდებათ, მდევრებზე დამოკიდებულები რომ არ დარჩნენ.

ზემონახსენებ ორმატჩიან წარუმატებლობას კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა — გუშინ კლუბი 5 ფეხბურთელს დაატოვებინეს. „გურიამ" ხელშეკრულება გაუწყვიტა ძირითადი შემადგენლობის მობურთალებს: **იაგო დეისაძეს, ვანო კილაძეს, აკაკი დვალიშვილს, ზურაბ რაზმაძესა** და **დავით კეკელიძეს**. „ბოლო შეხვედრებში კლუბის წარუმატებელი გამოსვლის გამო „გურიას" დირექტორატმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ აქცენტი გააკეთოს ახალგაზრდებზე და ვაპირებთ, უფრო აქტიურად ვათამაშოთ ადგილობრივი ფეხბურთელები" — ასე ახსნა კლუბის ადმინისტრაციამ მიღებული საკადრო გადაწყვეტილება. მათივე თქმით, კლუბის მიზანი არ შეცვლილა და საუმაღლესლიგო პლეი ოფში მოსახვედრად ყველაფერს გააკეთებენ.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ჩამოთვლილ მობურთალთაგან დვალიშვილი დაცვის, კილაძე ნახევარდაცვის, ხოლო დეისაძე შეტევის ლიდერები იყვნენ. ეს უკანასკნელი ამ დროისთვის კლუბისა და, საერთოდ, პირველი ლიგის გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია.

**მამუკა ქანთარია**



გურია ბომბარდირ იაგო დეისაძესაც შეელია

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ჩემპიონატის და ბუნების: რთულად გამოსაცნობი ორი რებუსი...

**დილა–კოლხეთი**
bwin: 2.05 3.00 3.50
27.11. გორი. ქართლი 14:00

**გაგრა–ბაია**
bwin: 2.25 2.90 3.10
27.11. თბილისი. მერანი (ზემოა) 14:00

**სპარტაკი–მეტალურგი**
bwin: 2.70 3.10 2.40
27.11. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა 14:00

**ვიტ ჯორჯია–სიონი**
bwin: 1.50 3.50 6.25
27.11. მცხეთა. მცხეთა-პარკი 14:00

**ტორპედო–მერანი**
bwin: 2.00 3.10 3.50
27.11. ქუთაისი. ცენტრალური 16:00

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 14 | 10 | 2 | 2 | 29 | 14 | 32 | 7 | 4 | 1 | 2 | 12 | 8 | 13 | 7 | 6 | 1 | 0 | 17 | 6 | 19 |
| 2 | დინამო | 14 | 9 | 2 | 3 | 29 | 14 | 29 | 7 | 5 | 1 | 1 | 15 | 6 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 14 | 8 | 13 |
| 3 | ტორპედო | 14 | 9 | 1 | 4 | 17 | 10 | 28 | 7 | 5 | 1 | 1 | 13 | 5 | 16 | 7 | 4 | 0 | 3 | 4 | 5 | 12 |
| 4 | მერანი | 14 | 8 | 2 | 4 | 19 | 13 | 26 | 7 | 6 | 1 | 0 | 13 | 2 | 19 | 7 | 2 | 1 | 4 | 6 | 11 | 7 |
| 5 | მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 20 | 15 | 25 | 7 | 4 | 3 | 0 | 10 | 3 | 15 | 7 | 3 | 1 | 3 | 10 | 12 | 10 |
| 6 | ბაია | 14 | 6 | 2 | 6 | 16 | 12 | 20 | 7 | 4 | 0 | 3 | 12 | 6 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 4 | 6 | 8 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | 20 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 9 | 9 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 4 | 11 | 5 |
| 8 | გაგრა | 14 | 4 | 3 | 7 | 13 | 18 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 8 | 4 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 5 | 14 | 4 |
| 9 | კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 20 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 6 | 11 | 6 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 21 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 7 | 13 | 5 | 7 | 2 | 2 | 3 | 4 | 8 | 8 |
| 11 | დილა | 14 | 3 | 2 | 9 | 17 | 23 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 4 | 10 | 4 | 7 | 2 | 1 | 4 | 13 | 13 | 7 |
| 12 | სიონი | 14 | 1 | 4 | 9 | 9 | 24 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 8 | 13 | 5 | 7 | 0 | 2 | 5 | 1 | 11 | 2 |

**ზესტაფონი–დინამო**
bwin: 2.10 3.10 3.20
27.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00
Live რეპორტაჟი პირველ არხზე

**ვირტუალური ცხრილი**
26 ნოემბრის მდგომარეობა

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 8 | 6 | 1 | 1 | 17 | 7 | 19 |
| 2 | მეტალურგი | 9 | 6 | 1 | 2 | 14 | 9 | 19 |
| 3 | დინამო | 9 | 4 | 2 | 3 | 17 | 12 | 14 |
| 4 | მერანი | 9 | 4 | 1 | 4 | 9 | 10 | 13 |
| 5 | ტორპედო | 9 | 4 | 1 | 4 | 6 | 8 | 13 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 9 | 2 | 2 | 5 | 4 | 12 | 8 |
| 7 | გაგრა | 9 | 2 | 1 | 6 | 7 | 14 | 7 |
| 8 | ბაია | 8 | 2 | 1 | 5 | 7 | 9 | 7 |



28 აგვისტო. დინამო-ზესტაფონი 2:2



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

არცთუ დიდი ხნის ამბავს გაგახსენებთ, როცა დიდთოვლობის გამო ჩვენი ჩემპიონატის მატჩები ვერ ჩატარებულა; თუმცა, კალენდარში კორექტივები უამინდობას, როგორც წესი, თებერვალში შეჰქონდა ხოლმე და ამიტომაც იყო, ჩემპიონატის ჩატარების ვადების შეცვლაზეც არაერთხელ რომ გვისაუბრია. დავკონკრეტდებით: ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ბევრად უპრიანი იქნებოდა „გაზაფხული-შემოდგომის" სისტემაზე გადასვლა; მაგრამ, გინდა თუ არა, ამ მართლაც „უცნაურ" ნოემბერს ხომ ვერ გადაახტები? ანუ, ვთქვათ და სეზონი ამა წლის მარტში დაგვეწყო და ნოემბრის ბოლოსთვის კი ფინიში ყოფილიყო, მაშინ რაღა უნდა გვექნა? მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კვლავაც „მივადექით" იმ უაღრესად პრობლემატურ თემას, ჩვენი სტადიონებისა და, საერთოდ, ქართული ფეხბურთის ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა რომ ჰქვია. ჰო, ხანდახან მართლა კურიოზულ სიტუაციასაც ვაწყდებით ხოლმე — საკმარისია მოთოვოს და მატჩების ჩატარება... ხელოვნურსაფარიან სტადიონებზეც ველარ ხერხდება! ამხელა შესავალი კი, როგორც იტყვიან, პრევენციული ზომებისათვის დაგვჭირდა: ხვალ, კალენდრით გათვალისწინებული XV ტურის მატჩები უნდა ჩატარდეს, მაგრამ ამ ექვსიდან რამდენი შეხვედრა გაიმართება და რამდენი გადაიდება უამინდობის გამო, დღესდღეობით ამის თქმა მართლაც ძნელია. არადა, ჩემპიონატის პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება, თითოეულ ქულასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ბუნების კაპრიზს წინ ვერ აღვუდგებით.

აქვე, იმასაც დავძენთ, რომ ამიერიდან ყოველი ტურის წინათქმასა თუ მიმოხილვას... ორ ცხრილს დავურთავთ ხოლმე; ერთი ცხრილი „ჩვეულებრივ-სტანდარტულ-ტრადიციულია", — ჩემპიონატის მონაწილე 12-ვე გუნდის მონაგარს (თამაში, მოგება, ფრე, წაგება, ბურთების სხვაობა, ქულა) რომ ასახავს; აი, მეორე კი ბევრად უფრო „ფასეულ-მნიშვნელოვანია", თუმცა ერთგვარად „ვირტუალურიც" შესაძლოა რომ ვუწოდოთ; ანუ, ამ შემთხვევაში რვაგუნდიან ცხრილს ვგულისხმობთ, სადაც გუნდებს მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან ნაჩვენები შედეგები „გადაჰყვებათ". მოგეხსენებათ, რომ XXIII ჩემპიონატი ახლებური ფორმატით ტარდება და მომავალი წლის გაზაფხულიდან საუკეთესო რვა გუნდი „ცალკე" ტურნირში გააგრძელებს ასპარეზობას, ხოლო IX-XII ადგილზე გასული ოთხი გუნდი და პირველი ლიგის 4 საუკეთესო გუნდი კი უმაღლესი ლიგის საგზურებისათვის იბრძოლებს. პირველი ეტაპის დამთავრებამდე რვა ტურია დარჩენილი და მართლაც არ არის გამორიცხული, იმ „ჩვეულებრივ-ტრადიციულ" ცხრილში გარკვეული ცვლილებები რომ მოხდეს; ყოველივე ეს კი, რაღა თქმა უნდა, ავტომატურად აისახება მეორე, ეგრეთწოდებულ, ვირტუალურ ცხრილზეც: დღესდღეობით ერთ ფავორიტს მეორესთან შედარებით კომფორტული უპირატესობა რომ გააჩნია, ერთი-ორი ტურის მერე ეს სხვაობა შესაძლოა საერთოდ აღარც არსებობდეს. მოკლედ, რთულად ამოსახსნელი რებუსივით არის და მოვლენების განვითარებასაც დაველოდოთ (ანუ, რომელი გუნდები მოხვდებიან რვა საუკეთესოს შორის) და, რაღა თქმა უნდა, ამინდის გაუმჯობესებასაც!..

## რეალურ-ვირტუალური პაექრობა

ბოლო ხუთი-ექვსი წელიწადია, ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე დიდ ინტერესს „ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირებები რომ იწვევს; ამ ორი გუნდის ურთიერთპაექრობებში ერთი შეხედვით, უპირატესობა დინამოელთა მხარეს არის: 22 მატჩიდან თბილისელებმა 11 მოიგეს, 5 ფრედ ითამაშეს და 6 წააგეს (ბურთების სხვაობა 28-11); ჰოდა, ამ უპირატესობის გამოც არის, რომ უმაღლეს ლიგაში „ზესტაფონის" გამოჩენის შემდეგ „დინამო" ყოველთვის უფრო მაღალ ადგილს იკავებდა, ვიდრე იმერული კლუბი. გამონაკლისი მხოლოდ წინა სეზონი იყო, „ზესტაფონის" დამსახურებული საჩემპიონო ტრიუმფით რომ დასრულდა. ბოლო წლების პრინციპული მეტოქეები ამ სეზონშიც უმთავრეს ფავორიტებად მიიჩნევიან და ამას „ტრადიციული" ცხრილიც ადასტურებს: ახალგაზრდა სპეციალისტის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** დამოძღვრილი „ზესტაფონი" პირველ ადგილზეა და სამი ქულით უსწრებს ყველაზე ტიტულიან ქართულ კლუბს. არადა, „მეორე", ანუ იმ „ვირტუალურ" ცხრილში „ზესტაფონს" საგრძნობი უპირატესობა აქვს „დინამოსთან" შედარებით: ხუთქულიანი სხვაობა პლუს ერთით ნაკლები თამაში! მოკლედ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, თუ რამხელა სატურნირო მნიშვნელობა აქვს ხვალინდელ დაპირისპირებას, რომლის პირდაპირ ტელერეპორტაჟსაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი" შემოგვთავაზებს. მოდი, ჯერ მხოლოდ „ციფრების ენით" ვილაპარაკოთ: გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები „ჩვეულებრივ" ცხრილში ლიდერობას ხომ შეინარჩუნებენ, ამას გარდა, ბევრად უფრო მნიშვნელოვან „მეორე" ცხრილში თავის ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს გვარიანადაც ჩამოიტოვებენ; ხვალინდელი მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში ყველაფერი უცვლელად დარჩება, ოღონდ ეს შედეგი ამჯერად სხვა გუნდისათვის იქნება იდეალური („მეტალურგსა" და „ტორპედოს" ვგულისხმობთ, არანაკლები ამბიცია რომ გააჩნიათ). აი, „დინამოს" წარმატების შემთხვევაში კი **ალექს გარსიას** გუნდი, სულ მცირე, ერთი კვირის განმავლობაში ცხრილის სათავეში მოექცევა! ანუ, მოვლენების მსგავსი განვითარების შემთხვევაში „ზესტაფონსა" და „დინამოს" ქულებიც ერთნაირი ექნებათ და მოგებათა რაოდენობაც, მაგრამ ჩემპიონატის რეგლამენტის თანახმად, ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული უპირატესობით, წინ თბილისელები იქნებიან. ამასაც თავი რომ დავანებოთ, „დინამომ" ყველა ღონე უნდა იხმაროს სწორედ უშუალო კონკურენტებთან დადებითი ბალანსის მისაღწევად, თორემ გაზაფხულზე სერიოზული ჰანდიკაპის აღმოფხვრა მოუწევს. პირველი ნაბიჯი აქეთკენ უკვე გადადგმულია: წინა ტურში „დინამომ" სეზონის, უდავოდ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა და არცთუ ხელწამოსაკრავ მეტოქეს („ტორპედო") შთამბეჭდავად მოუგო. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხვალინდელი პრინციპული დაპირისპირების წინ მეტოქეები თანაბარ მდგომარეობაში არ იმყოფებიან: „ტორპედოსთან" შეხვედრის მერე „დინამოს" ერთკვირიანი შუალედი ჰქონდა, მაშინ როცა „ზესტაფონს" უმძიმესი სათასო პაექრობის ჩატარებამ (სტუმრად, ქუთაისში) მოუწია არანაკლებ პრინციპულ მოწინააღმდეგესთან...

... როცა „ზესტაფონისა" და „დინამოს" მატჩია, პროგნოზის გაკეთება მართლაც უადგილოა; თუმცა, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, საინტერესო ფაქტს „აღმოვაჩენთ": ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სეზონი არ ყოფილა, „დინამოს" თავისი პრინციპული მეტოქისათვის ზესტაფონში რომ არ მოეგო! აი, რაც შეეხება ამ სეზონს, გეხსომებათ, ალბათ, თუ როგორი უხვგოლიანი ფრე დაფიქსირდა პირველი წრის შეხვედრაში (2:2); თუმცა, ისიც კარგად გვახსოვს, რომ 28 აგვისტოს ჩატარებულ იმ შეხვედრაში ბევრზე-ბევრი იყო „უცნაურიც" და კურიოზულიც: მეტოქეთა აშკარად არაოპტიმალური შემადგენლობები (ევროტურნირებზე მონაწილეობის გამო გადაღლილობით რომ აიხსნა), „დინამოს" კარში აშკარად არჩასათვლელი გოლის ჩათვლა (**თორნიკე გორგიაშვილის** დარტყმის მერე ბურთს მასპინძელთა კარის ხაზი არ გადაუკვეთია) და ასე შემდეგ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ

# ნურც შენ ინვალებ და ნურც მეტოქეს აწვალებ: ვისიამოვნოთ ფეხბურთით!

## ლევან შარიქაძე არ მალავს, რომ მიწვევები აქვს. ც, რომელიც ბევრს ნიშნავს, მაგალითად, ზესტაფონს



ბურთით ლევან შარიქაძე

თბილისში "მერანის" 4:0 განადგურებით "გაგრამ", ფაქტობრივად, საქართველოს თასის ნახევარფინალში გასვლა გაინაღდა. ახლა მარტვილელებს საპასუხო, შინაურ მატჩში სასწაული თუ უშველით.

თბილისური შეხვედრის გმირი ლევან შარიქაძე იყო. 22 წლის ნახევარმცველმა გოლიც გაიტანა, ორი საგოლე გადაცემაც ჩაიწერა და, საერთოდაც, "გაგრას" შეტევებს კარგად წარმართავდა.

ის, რომ თავის თაობაში შარიქაძე ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრალური ნახევარმცველი იყო, არავინ უარყოფდა, ასაკობრივი და ახალგაზრდული ნაკრებების შეკრებაზეც იწვევდნენ, მაგრამ ჯანი და კუნთოვანი მასა აკლდა. ახლა კი ლევანი ფიზიკურადაც მოღონიერდა, რაც მთავარია, ძველებურად კარგად აზროვნებს და "გაგრას" ლიდერადაც ყალიბდება.

**- შენი აზრით, "მერანთან" 4:0 ნახევარფინალში გასვლის გარანტიაა?**

- ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს. არ ვიცი, რა უნდა მოხდეს, რომ ასეთი ანგარიში გავანიავოთ და მარტვილში ხუთბურთიანი სხვაობით წავაგოთ. თუმცა, "მერანი" მებრძოლი გუნდია, წლეულს მისი თამაში ძალიან მომწონს და არა მგონია, მარტვილიდან უბრძოლველად გამოგვიშვას. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ მეტოქე უშანსოდ იყო, გვიტევდა და საგოლე მომენტებიც ჰქონდა.

**- ჩაგეკითხები: ნახევარფინალში გასვლაში რამ შეიძლება შეგიშალოთ ხელი?**

- საკუთარმა თავმა, ანუ მოდუნებამ, მაგრამ მჯერა, ასე არ მოხდება. "მერანი" რომ სერიოზული გუნდი გახდა, ამაზე ჩემპიონატში მისი მეოთხე ადგილიც მეტყველებს, სახლში კი მარტვილელები ჯერ არ დამარცხებულან. თუმცა ჩვენ ჩვენი ამოცანები გვაქვს, დაცვაში ჩაჯდომას არც განმეორებით შეხვედრაში ვაპირებთ და მოედანზე მოსაგებად გავალთ.

**- პირველი მეოთხედფინალური მატჩი შენს ბენეფისად იქცა, გოლი პლუს ორი საგოლე გადაცემა მშვენიერი შედეგია.**

- ეს მატჩი არა მხოლოდ მე, მთლიანად გუნდმა ჩაატარა კარგად. რაც "გაგრაში" ვარ, ასეთი ფეხბურთი არასოდეს გვიჩვენებია. მეც ყველაფერი გამომდიოდა და იღბალიც ჩვენკენ იყო. არადა, სიმართლე გითხრათ, მატჩამდე ვინმეს რომ ეთქვა, 4:0-ს მოიგებთო, ვერ დავიჯერებდი.

**- ანატოლი პისკოვეცის შემცვლელმა ზვიად ჯელაძემ სათამაშო სქემა და თამაშის სტილი აბსოლუტურად შეცვალა, გუნდი აღარ თამაშობს დაცვიდან, არის აქტიური და აგრესიული.**

- იცით, რა არის მთავარი? ჯელაძის არჩეული სტილი გუნდმა მიიღო, რადგან ქართველებს შეტევა ძალიან გვიყვარს. არ მინდა, მწვრთნელის ქებაში ჩამომერთვას, მაგრამ ასეთი თამაში მსიამოვნებს, მოედანზე გასვლა მიხარია, რადგან ვიცი, რომ არც ჩვენ ვიწვალებთ, არც მეტოქეს ვაწვალებთ და ფეხბურთით ორივე ვისიამოვნებთ.

**- ასეთი მატჩები კარიერულ წინსვლაშიც დაგეხმარება, მით უფრო, გავიგე, სხვა გუნდში შენს გადასვლაზეა ლაპარაკი.**

- ჯერ "გაგრაში" ვარ და სეზონის ჩამთავრებაზე ვფიქრობ. კონტრაქტი მხოლოდ მაისის ბოლოს მიმთავრდება.

**- ეს არ ნიშნავს, რომ კონტრაქტის გაწვეტა ან გამოსყიდვა შეუძლებელია.**

- დამალვას აზრი არ აქვს, შემოთავაზებები ნამდვილად მაქვს, რამდენიმე გუნდთან მოლაპარაკება დაწყებულია და არ არის გამორიცხული, შემდეგ სეზონში სხვა კლუბში ვითამაშო. მაგრამ ჯერ ტრანსფერზე ლაპარაკი მაინც ნაადრევია.

**- მართალია, რომ "ზესტაფონი" გიწვევს?**

- უცხოეთზეც არის ლაპარაკი, მაგრამ ჯერ ზუსტად არაფერი ვიცი.

**მერაბ მამულაშვილი**

● ქართველები რუსეთში

# გააჩერეთ თვითმფრინავი, ჩავდივარ

## ომარ თეთრაძეს ეს არ უთქვამს, იმიტომ, რომ არ ეხუმრებოდა. ისე კი, როგორია, 9 000 მეტრ სიმაღლეზე რომ გეტყვიან, მოგხსნესო

რუსეთის მწვრთნელთა გაერთიანების ჟურნალში „ფეხბურთი: მწვრთნელის ტრიბუნა" ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" ყოფილი მთავარი მწვრთნელის, **ომარ თეთრაძის** ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ის მკითხველს ყოფილი კლუბის პრობლემებზე მოუთხრობს. რადგან თეთრაძე ნიჟნელთა ქართველების თემასაც შეეხო, ვიფიქრეთ, ეს ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებდა.

*"გუნდს ჰქონდა რეალური შანსი, რომ მესამე წრეში, ანუ ფინალურ რვა გუნდში იოლი ცხოვრება ჰქონოდა. როგორც გახსოვთ, ჩინებული სტარტი გვქონდა. ახლა ვხვდები, რა იყო ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა — "ვოლგას" პრეზიდენტ ალექსეი გოიხმანს აპრილის ბოლომდე კისლოვოდსკში ვარჯიში რომ არ დავაძალე. გუნდი ნიჟნი ნოვგოროდში დაბრუნდა... ამბობენ, სახლში კედლებიც კი გეხმარებიანო, მაგრამ კლიმატური პირობები და არა მხოლოდ ეს, ნორმალურად მომზადების საშუალებას არ გვაძლევდა. პრეზიდენტს ასჯერ ვუთხარი, ხელოვნურ საფარზე მომზადებას თუ დავიწყებთ, ტრავმიანობას ვერ ავიცილებთ-მეთქი და აკი დაგვიშავდნენ კიდეც ლიდერები, ხოჯავა და პლეშჩანი, მათი ღირსეული შემცვლელები კი ვერ მოიძებნა. ამის შემდეგ ყველაფერი აირია.*

*"ვოლგას" ხომ საკუთარი ბაზა არ აქვს, არის მხოლოდ ერთადერთი მოედანი სტადიონ "პოლიოტზე", მაგრამ იმ დროისთვის ის მზად არ იყო. უბაზობის გამო კი შეუძლებელი აღმოჩნდა დღეში ორჯერ ნორმალურად ვარჯიში. ნიჟნისთვის ჩვეული საცობების გამო, სანამ დილის ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები სახლამდე მიაღწევდნენ და შეჭამდნენ, საღამოს ვარჯიშიც ეწყებოდათ, ასე რომ, ნორმალურად დასვენებას ვერ ახერხებდნენ. ამიტომაც იყო, რომ ვითარებას ველარ ვაკონტროლებდი, არ ვიცოდი, ფეხბურთელები რით სუნთქავდნენ, რას ჭამდნენ. კისლოვოდსში კი ყველა პირობა იყო ნორმალური საწვრთნელი პროცესის ჩასატარებლად და გუნდი სამწვრთნელო შტაბის სრული კონტროლის ქვეშ იყო. სანამ იქ ვემზადებოდით, შედეგიც გვქონდა. მართალია, კისლოვოდსკში რომ დავრჩენილიყავით, ნიჟნიში ბაზას არავინ ააშენებდა და იმავე პრობლემებს წავაწყდებოდით, მაგრამ ორ წამყვან მოთამაშეს მაინც არ დავკარგავდით. ჩემი წასვლის შემდეგ ორი წამყვანი მოთამაშე, ბენძი და მარცვალაძე გაყიდეს, მათი ღირსეული შემცვლელები კი ვერ მონახეს. მიმაჩნია, რომ ეს შეცდომა იყო. რატომ არ დავრჩით კისლოვოდსკში? პრეზიდენტმა ეს ფინანსების ეკონომიით ახსნა, მაგრამ ლაპარაკი იყო "ვოლგას" ბიუჯეტისთვის მიზერულ თანხებზე.*

*გათავისუფლება პრეზიდენტისგან არ შემიტყვია. თურმე, ჩემს ზურგს უკან შემცვლელთან მოლაპარაკება ორი თვით ადრე დაუწყიათ. გათავისუფლების თაობაზე კი 9 ათას მეტრ სიმაღლეზე, თვითმფრინავში შევიტყვე, როდესაც გუნდი "კრასნოდართან" სათამაშოდ მიემგზავრებოდა. სალონში მითხრეს, შედეგის მიუხედავად, მაინც გაგიშვებენო. მხოლოდ ნიჟნიში დაბრუნების შემდეგ ვესაუბრე პრეზიდენტს. სამწუხაროდ, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით"* – ამბობს თეთრაძე.

ნიჟნელთა ყოფილი მწვრთნელი აღიარებს, რომ საკუთარი საქმიანობის შეფასებას ვერა და ვერ ახერხებს: *"კარგად მესმის მათი, ვისაც ჩემი სამწვრთნელო კვალიფიკაციის შეფასება უჭირს. პრემიერლიგაში ჯერ "ანჟი" გადავიყვანე, შემდეგ — "ვოლგა", მაგრამ ბოლომდე არც ერთ მათგანში არ მიმუშავია. არადა, წიწილებს შემოდგომით ითვლიან, მე კი საკუთარი მუშაობის სრულად შეფასების საშუალება არ მომცემია. თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩემპიონატის დასაწყისში სწორ გზას ვადექით და მიმართულების შეცვლა არ შეიძლებოდა. პრეზიდენტის მხარდაჭერა მჭირდებოდა, საკუთარი შესაძლებლობები რომ დამემტკიცებინა, ერთი კაცი ხომ ომს ვერ მოიგებს. "ანჟიდან" კი თავად წამოვედი, არადა, კლუბის პრეზიდენტი მეუბნებოდა, დიდ შეცდომას უშვებო"* – იხსენებს თეთრაძე.

თეთრაძის თქმით, ის ახლა დაინტერესებული კლუბების წინადადებებზე ფიქრობს: *"მიწვევები მაქვს, მაგრამ მუშაობა მუშაობისთვის არ მსურს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ კლუბი ვითარდებოდეს და მიზნები ჰქონდეს. ეს კი შესაძლებელია როგორც პრემიერლიგის, ასევე პირველ ლიგის კლუბში".*



ომარ თეთრაძე

**მერაბ მამულაშვილი**

● პირველი ლიგა

**ა ზონა. გამოტოვებული მატჩები**

სამტრედია – ლოკომოტივი 0:0
ჭიათურა – ჩხერიმელა 3:1

**მომდევნო ტური. 26 ნოემბერი**

მესხეთი (ახალციხე) – დინამო (ბათუმი)
მეშახტე (ტყიბული) – მერცხალი (ოზურ.)
ჭიათურა – ჩხერიმელა (ხარაგაული)
კოლხეთი (ხობი) – სტუ (თბილისი)
ლოკომოტივი (თბილისი) – სამტრედია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბათუმი | 14 | 11 | 2 | 1 | 24-7 | 35 |
| 2. მერცხალი | 14 | 9 | 2 | 3 | 19-12 | 29 |
| 3. ჭიათურა | 14 | 8 | 3 | 3 | 21-11 | 27 |
| 4. ჩხერიმელა | 14 | 6 | 3 | 5 | 18-21 | 21 |
| 5. სტუ | 14 | 6 | 2 | 6 | 28-32 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 14 | 4 | 4 | 6 | 23-22 | 16 |
| 7. მესხეთი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-15 | 14 |
| 8. კოლხეთი | 14 | 3 | 4 | 7 | 11-16 | 13 |
| 9. მეშახტე | 13 | 2 | 3 | 8 | 12-19 | 9 |
| 10. სამტრედია | 14 | 1 | 5 | 8 | 10-23 | 8 |

**ბ ზონა. გამოტოვებული მატჩები**

**გურია – სულორი 2:2**

22. 11. ლანჩხუთი. „ევ. შევარდნაძე". 200 მაყურებელი

1:0 გ. მელქაძე (38), 1:1, 1:2 ნ. გიორგაძე (45, 48), 2:2 გ. კვერენჩხილაძე (85)

გურია: დ. კეკელიძე, ჯ. გოგიბერიძე (57. გ. ნათენაძე), რ. კუკულაძე, ა. დვალიშვილი, ზ. რაზმაძე (70. იაგო დეისაძე), გ. მელქაძე, ლ. კობახიძე, ტ. კუკულაძე, ი. კილაძე, გ. კვიტაიშვილი (54. გ. შეწირული), გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგოები:* გ. გოგუაძე, ნ. ებრალიძე, ლ. რუსიეშვილი

*მწვრთნელი:* გ. იმნაძე

სულორი: დ. ხურციძე, ლ. გაბუნია, ვ. ნუცუბიძე, პ. ბელთაძე, ა. როხვაძე, ნ. გიორგაძე, თ. მაღლაკელიძე, ბ. დვალიშვილი (72. ა. ქებულაძე), გ. ნიკოლეიშვილი (70. კ. კვიმსაძე), ბ. ბელქანია, ბ. სულაბერიძე

*სათადარიგოები:* ი. დვალიშვილი, ბ. მჭედლიძე, მ. დვალიშვილი, გ. თევზაძე, დ. ივანიაძე

*მწვრთნელი:* მ. კორძაძე

გაფრთხილება: ტ. კუკულაძე; პ. ბელთაძე, დ. ხურციძე, ბ. დვალიშვილი, გ. ნიკოლეიშვილი, მ. დვალიშვილი, ნ. გიორგაძე

გაძევება: ბ. დვალიშვილი

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**ჩიხურა–აეტი 2:1**

22. 11. საჩხერე. „ძველი სტადიონი". 400 მაყურებელი

0:1 პ. კვიკვინია (55), 1:1 ი. ზაბახიძე (78), 2:1 თ. მუმლაძე (83)

ჩიხურა: რ. თევდორაძე, ე. ზივზივაძე, ლ. ჭელიძე, ჯ. ბერიანიძე, ლ. ჩიკვაიძე, ი. ლილუაშვილი (58. თ. მუმლაძე), ლ. ნოზაძე, ი. ზაბახიძე, გ. სილაგავა (88. ლ ვაშაკიძე), ნ. კვასხვაძე, გ. სალარიძე (72. ა. ივანიშვილი)

*სათადარიგოები:* ზ. მწყერაშვილი, გ. ქიმაძე, გ. ცარციძე

*მწვრთნელი:* ს. ფრუიძე

აეტი: ზ. ჭიჭინაძე (65. ლ. ეზიეშვილი), მ. კორსანტია, ლ. ბიწაძე, გ. ბაგალიშვილი, დ. ლობჟანიძე, გ. ნარსია, პ. კვიკვინია (68. გ. ქურდაძე), დ. მაჭარაძე, ლ. ომიაძე, ნ. ზაქარიაძე (74. თ. მეტრეველი), გ. მარგიანი

*სათადარიგოები:* გ. ბაკურაძე

*მწვრთნელი:* ო. სოხაძე

გაფრთხილება: თ. მუმლაძე; გ. მარგიანი

არბიტრი: ა. გუნთაძე

**მომდევნო ტური. 27 ნოემბერი**

ზოოვეტი (თბ.) – ნ. დინამოელი (თბ.)
სულორი (ვანი) – იმერეთი (ხონი)
გურია (ლანჩხუთი) – სქური (წალენჯიხა)
ადელი (ბათუმი) – აეტი (სოხუმი)
სამგურალი (წყალტ.) – ჩიხურა (საჩხერე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 14 | 13 | 1 | 0 | 34-3 | 40 |
| 2. გურია | 14 | 9 | 3 | 2 | 34-11 | 30 |
| 3. ნ/დინამოელი | 14 | 7 | 1 | 6 | 25-18 | 22 |
| 4. იმერეთი | 14 | 7 | 1 | 6 | 24-19 | 22 |
| 5. ზოოვეტი | 14 | 7 | 1 | 6 | 18-24 | 22 |
| 6. სქური | 14 | 6 | 2 | 6 | 19-22 | 20 |
| 7. სამგურალი | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 8. ადელი | 14 | 3 | 1 | 10 | 14-28 | 10 |
| 9. სულორი | 14 | 2 | 3 | 9 | 8-31 | 9 |
| 10. აეტი | 14 | 2 | 1 | 11 | 8-33 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გუშინ

**კიოლნი-ბორუსია (მ) 0:3**

## დღეს

**ბორუსია (დ)-შალკე 18:30**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: კოხი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი – ფერმანი, ჰუგლანდი, ჰიოვედესი, ყენია, კლუგე, ფარფანი

**ნიურნბ.-კაიზერსლაუტ. 18:30**

დისკვალიფიკაცია: დიკი (კაიზერსლაუტერნი)
ტრავმა: ნილსონი, პინოლა, მენდლერი, ბუნიაკუ - შიმუნეკი

**ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი 18:30**

დისკვალიფიკაცია: ბეკი (ჰოფენჰაიმი)
ტრავმა: ბრაადჰაიდი, გულდე, იბერტსბერგერი, იაისლე – ბართი, მუიჯა, როზენტალი, ბიკელი

**აუგსბურგი-ვოლფსბურგი 18:30**

დისკვალიფიკაცია: იორლი - ჰელმესი
ტრავმა: ბელინგჰაუზენი, დე იონგი, მიორლე, ბა, მ. ნდიენგი, ნებელი - ჰიტცლშპერგერი

**ჰერტა-ლევერკუზენი 18:30**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ადლერი, ბალიტში, ბარნეტა, ბელარაბი, რენატო (ყველა ლევერკუზენი)

**ჰანოვერი-ჰამბურგი 21:30**

დისკვალიფიკაცია: შტინდლი, ია კონანი - რაიკოვიჩი
ტრავმა: მილერი, ანდრეასენი, კარლიჯოსი, ჰაუგერი – არსლანი, კასტელენი, სალა, პეტრიჩი

## ხვალ

**ვერდერი-შტუტგარტი 18:30**

დისკვალიფიკაცია: სოკრატისი (ვერდერი)
ტრავმა: ბიონიში, სილვესტრი, ბოროვსკი, ავდიჩი – ჩელოცი, დელპიერი, აუდელი

**მაინცი-ბაიერნი 20:30**

დისკვალიფიკაცია: პოლანსკი-ტიმოშჩუკი
ტრავმა: ნოვესკი, რისსე, სალაი – ბრენო, შვაინშტაიგერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 14 | 9 | 2 | 3 | 23-9 | 29 |
| 2. ბაიერნი | 13 | 9 | 1 | 3 | 32-5 | 28 |
| 3. ბორუსია (დ) | 13 | 8 | 2 | 3 | 27-9 | 26 |
| 4. შალკე | 13 | 8 | 1 | 4 | 28-18 | 25 |
| 5. ვერდერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23-21 | 23 |
| 6. შტუტგარტი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-13 | 21 |
| 7. ლევერკუზენი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-16 | 21 |
| 8. ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 17-21 | 19 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 2 | 6 | 15-15 | 17 |
| 10. ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 11. ვოლფსბურგი | 13 | 5 | 1 | 7 | 19-26 | 16 |
| 12. კიოლნი | 13 | 5 | 1 | 7 | 20-29 | 16 |
| 13. კაიზერსლაუტ. | 13 | 3 | 4 | 6 | 10-17 | 13 |
| 14. ჰამბურგი | 13 | 3 | 4 | 6 | 17-25 | 13 |
| 15. მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-23 | 12 |
| 16. ნიურნბერგი | 13 | 3 | 3 | 7 | 13-24 | 12 |
| 17. ფრაიბურგი | 13 | 3 | 2 | 8 | 18-29 | 11 |
| 18. აუგსბურგი | 13 | 1 | 5 | 7 | 10-24 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 – გომესი (ბაიერნი); 12 – ჰუნტელაარი (შალკე); 11 – პისარო (ვერდერი); 10 – როისი (ბორუსია მ); 9 – პოდოლსკი (კიოლნი); 8 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), ლევანდოვსკი (ბორუსია დ).

● გერმანია. ბუნდესლიგა. XIV ტურის წინ

# დღეს რურის დიდი დერბია: ვისიამოვნოთ!

## დორტმუნდში სპექტაკლი გარანტირებულია, ბაიერნი მაინცში ჩადის

გერმანიის ჩემპიონატის მე-14 ტური დერბების ტურია. გუშინ რაინის კლასიკა იყო: „კიოლნმა“ „გლადბახს“ უმასპინძლა. დღეს კიდევ ორი დერბია – ბუნდესლიგის მშვენება რურის დიდი დერბი და ჩრდილოური ჯახი „ჰანოვერსა“ და „ჰამბურგს“ შორის. მიუნხენის „ბაიერნი“ ხვალ, მაინცში ითამაშებს.

### ომი დორტმუნდში

მიუნხენში გამარჯვების (1:0) შემდეგ, დორტმუნდელები ლიდერ „ბაიერნს“ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან და შესაბამისად, პირველ ადგილსაც უმიზნებენ. თუმცა იგივე უნდა ვთქვათ „შალკეზეც“ - გელზენკირხენული კლუბი „ბაიერნს“ სამი ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ისედაც უპრინციპულეს მატჩს ინტრიგას სატურნირო ცხრილში შექმნილი ვითარებაც მატებს. დორტმუნდელებს ბუნდესლიგაში შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ და აქედან, ექვსი შეხვედრა სულაც მოიგეს. „შალკემ“ წინა ტურში „ნიურნბერგი“ 4:0 გაანადგურა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კარგ ფორმაშია. „ხუმარების“ მთავარი იმედი დღეს **კლაას-იან ჰუნტელაარია**, რომელიც ბომბარდირთა დავაში მხოლოდ **მარიო გომესს** ჩამორჩება - ჰოლანდიელს 12 გოლი აქვს გატანილი.

ალსანიშნავია, რომ „დორტმუნდს“ „შალკესთან“ ბოლო ოთხი საშინაო მატჩიდან არც ერთი მოუგია – „ვესტფალენშტადიონზე“ გამართული ამ ოთხი დერბიდან ორი ფრედ დამთავრდა, ორი კი „შალკემ“ მოიგო. **იურგენ კლოპი** დღეს ნამდვილად ვერ გამოიყენებს საყრდენ ნახევარმცველ **სვენ ბენდერს**, რომელმაც „არსენალთან“ ტრავმა მიიღო. კითხვის ნიშნის ქვეშაა **მარიო გიოტცეს** ასპარეზობაც, რომელიც ასევე ლონდონში დაშავდა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი – ლაიტნერი, კელი – გიოტცე, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი – ბაუმიოჰანი, რაული, დრაქსლერი – ჰუნტელაარი.

### სარდაფის დერბი ნიურნბერგში

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „შალკესთან“ განცდილი კრახის შემდეგ (0:4) „ნიურნბერგი“ უკვე ოფიციალურად ჩაერთო გადარჩენისთვის ბრძოლაში – აშკარაა, რომ ფრანკები ამ სეზონში ამაზე მაღალი მიზნისთვის ველარ იბრძოლებენ. რვამატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ, ნიურნბერგელები „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობენ – გუნდს, რომელმაც ერთი კვირის წინ „ლევერკუზენთან“ წააგო და ასევე ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. „ლაუტერნის“ მცველი **დიკი** „სარდაფის დერბიზე“ დაპატიჟებული არაა, რადგან ხუთი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია.

გასავარდნ ზონაშია და ასევე გადარჩენისთვის იბრძვის „ფრაიბურგიც“, რომელიც დღეს „ჰოფენჰაიმს“ სტუმრობს. ბრაისგაუელებმა წინა ტურში რაიზინგერის დუბლის წყალობით „ჰერტასთან“ ქულა გადაარჩინეს (0:2-ს აგებდნენ და საბოლოოდ 2:2-ს მიაღწიეს), თუმცა „ფრაი“ „ჰანოვერთან“ და „ვოლფსბურგთან“ ერთად, გასვლით შეხვედრებში ყველაზე ცუდად გამოიყურება (მხოლოდ ოთხი ქულა). ამასთან, ფრაიბურგელთა დამრიგებელი **მარკუს ზორგი** კვლავ ვერ გამოიყენებს **იან როზენტალს**, რომელიც ახალი გამოჯანმრთელებული იყო და ისევ ტრავმა მიიღო. „ჰოფენჰაიმისთვის“ ჰამბურგში განცდილი მარცხი (0:2) ზედიზედ მესამე მოუგებელი შეხვედრა გახლდათ, რის შემდეგაც **ჰოლგერ სტანისლავსკის** გუნდი ცხრილის იმ ნაწილში დამკვიდრდა, საიდანაც არც გავარდნის საფრთხე ემუქრებათ და ვერც ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლის პერსპექტივაზე ოცნებებს. სტანისლავსკი დისკალიფიცირებულ **ანდრეას ბეკს** ვერ გამოიყენებს. **ედსონ ბრაადჰაიდის** თამაში კი კითხვის ნიშნის ქვეშაა.

დებიუტანტ „აუგსბურგს“ დღეს „ვოლფსბურგთან“ რიგით მეშვიდე მცდელობა ექნება იმისა, რომ საკუთარ მოედანზე ბუნდესლიგის პირველი თამაში მოიგოს. შვაბებს საკუთარი პუბლიკის წინაშე აქამდე მხოლოდ სამი ქულა აქვთ მოპოვებული და ისიც ფრეებით. ალსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგი“ მიმდინარე სეზონში გასვლით შეხვედრებში ცუდად გამოიყურება – შვიდი შეხვედრიდან „მგლებმა“ სტუმრად მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვეს. თუმცა **ფელიქს მაგათის** გუნდმა წინა ტურში „ჰანოვერი“ 4:1 დაამარცხა, რაც იმას ნიშნავს, რომ „მგლები“ აუგსბურგში კარგ ხასიათზე მყოფები ჩადიან.

ელიტაში წელს ალზევდა (უფრო სწორად, დაბრუნდა) ბერლინის „ჰერტაც“, მაგრამ **ლევან კობიაშვილის** გუნდი „აუგსბურგისგან“ განსხვავებით, საკმაოდ კარგად გამოიყურება. მართალია, ბერლინელებმა წინა ტურში სამი ქულა ბოლო წუთზე დაკარგეს და მანამდე ბრემენშიც იგივე დაემართათ, მაგრამ საბოლოო ჯამში „ჰერტას“ თამაში და შედეგები სტაბილურად უნდა შეფასდეს. **მარკუს ბაბელის** სამწყსო ამჯერად „ლევერკუზენს“ მასპინძლობს. „ბაიერმა“ წინა ტურში „კაიზერსლაუტერნი“ დაამარცხა, მერე კი, ჩემპიონთა ლიგაში ლონდონის „ჩელსის“ მოუგო, რაც უდიდეს ტრიუმფად ჩაითვალა.

### ჩრდილოური დუელი ჰანოვერში

დღეს სალამოს ტურის რიგით მესამე დერბი გაიმართება: „ჰანოვერი“ „ჰამბურგს“ მიიღებს. **მირკო სლომკას** ამბიციური შეგირდები სამი ტურია, მოუგებლად ასპარეზობენ. წინა ტურში, „ვოლფსბურგთან“ წაგებულ შეხვედრაში (1:4) **დიდიე ია კონანი** მოედნიდან გააძევეს და მასთან ერთად, დღეს „წითლებს“ ასევე დისკვალიფიცირების გამო **შტინდლიც** დააკლდება. „ჰამბურგი“ კი აშკარად პროგრესის გზას ადგას – HSV-ს ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, წინა ტურში კი გუნდმა **ტორსტენ ფინკის** ხელში პირველი თამაში მოიგო (2:0 ჰოფენჰაიმთან). ეს „ჰამბურგისთვის“ პირველი საშინაო გამარჯვება იყო 246 დღის შემდეგ, რამაც „ჰამბურგს“ გასავარდნი ზონა დაატოვებინა.



ბორუსია-შალკესგან ბევრს ველით

### გამოფხიზლდება ვერდერი?

ხვალ პირველი მატჩი „ვერდერისა“ და „შტუტგარტის“ საკმაოდ პრინციპული დაპირისპირებაა. ბრემენული კლუბი ვალდებულია, საკუთარ ქომაგებს წინა ტურში განცდილი სამარცხვინო წაგებისთვის (0:5 მიონხენგლადბახში) ბოდიში მოუხადოს, რაც, თუ **კლაუდიო პისარო** ვერ იასპარეზებს, ბრემენელებს ძალიან გაუჭირდებათ. შეძლებს თუ არა „ვერდერის“ გოლეადორი მოედანზე გასვლას, ეს დღეს სალამოს გაირკვევა. სამაგიეროდ, **თომას შააფს** გამოუჯანმრთელდა **ნალდო** – ბრაზილიელი მცველი, რომელიც „ვერდერს“ „გლადბახთან“ ძალიან აკლდა. „შტუტგარტმა“ წინა ტურში „აუგსბურგის“ დამარცხება შეძლო, რის შემდეგაც შვაბები „ვერდერს“ მხოლოდ ორი ქულითლა ჩამორჩებიან.

### შეუძლია მაინცს ბაიერნისთვის ფეხის დადება?

ტურის უკანასკნელი მატჩი კი მაინცში შედგება, სადაც „ბაიერნი“ ჩადის. მიუნხენელებმა სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ვილიარეალი“ 3:1 დაამარცხეს, რითაც არა მარტო მერვედფინალის საგზური გაინაღდეს ნაადრევად, არამედ თავიანთ ქომაგებს ბუნდესლიგის წინა ტურში, „დორტმუნდთან“ წაგებისთვისაც მოუბოდიშეს. მართალია, რეკორდმაისტერმა „ბორუსიასთან“ წაგების მიუხედავად ლიდერობა შეინარჩუნა, მაგრამ სამაგიეროდ, მიუნხენური გრანდის აშკარად ფავორიტობაზე საუბარი კი შეწყდა. „ბაიერნის“ თავკაცი **იუპ ჰაინკესი** კვლავ ვერ გამოიყენებს **ბასტიან შვაინშტაიგერს** (ტრავმა) და **ანატოლი ტიმოშჩუკს** (დისკვალიფიკაცია). „მაინცში“ კი **ოიგენ პოლანსკია** დისკვალიფიცირებული. აქვე გაგახსენებთ, რომ „მაინცს“ წინა ტურში არ უთამაშია – გეხსომებათ, „კიოლნისა“ და „მაინცის“ მატჩი ერთი კვირის წინ მსაჯ **ბაბაკ რაფატის** გამო გადაიდო, რომელმაც თამაშის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე თავის მოკვლა სცადა...

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## მორიგი სამიზნე

"პარისენჟერმენის" ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციურ ახალწვეულებზე დაკვირვებას. „ეკიპის" ცნობით, დედაქალაქელთა ყურადღების ცენტრში "მონპელიეს" ცენტრალური ნახევარმცველი **იუნეს ბელჰანდა** მოექცა. 21 წლის მაროკოელი ლიგა 1-ის მიმდინარე გათამაშებაში შესანიშნავად გამოიყურება. მის ანგარიშზე 4 გოლი და 1 საგოლე გადაცემაა. ჟურნალისტების ვარაუდით, "მონპელიე" მასში მინიმუმ 6 მილიონ ევროს მოითხოვს. სულ ახალგაზრდა ფეხბურთელის ანგარიშზე საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში 78 თამაშში გატანილი 7 ბურთია.

ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში, მოსკოვის ცსკა-სთან შეხვედრაში "ლილს" უსიამოვნება შეემთხვა. 22 წლის სენეგალელმა ნახევარმცველმა **იდრის განა გუიემ**, ვინც ძირითადში იშვიათად ხვდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად **რუდი გარსიამ** სასტარტოში ანდო ადგილი, ხელზე ძვალი გაიბზარა. სენეგალელმა მოახერხა მატჩის ჩამთავრება, მაგრამ ტრავმამ მალე სერიოზულად შეაწუხა. ქირურგებმა მას ოპერაცია დაუყოვნებლივ ჩაუტარეს. მკურნალი ექიმის თქმით, ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა. ითამაშებს თუ არა ფეხბურთელი დღეს "ბრესტის" წინააღმდეგ, უცნობია. ამას ექიმი მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყვეტს. ექიმებმა გარსიას კარგი ინფორმაცაც მიაწოდეს. ხანგრძლივი ტრავმების შემდეგ ძირითად გუნდთან ვარჯიშის უფლება მიეცათ **მარკო ბაშასა და ბენუა პედრეტის**. მათ ბედს უკვე მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს.

## ბრალდება ჩაგაევს

შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა "ქსამაქსის" ჩეჩენი მესაკუთრე **ბულატ ჩაგაევი** დააკავეს. მას The Bank of America-ს ყალბი საგარანტიო წერილის წარდგენა ედება ბრალად. აღნიშნულ წერილში ეწერა, რომ ვითომ ამ ბანკში მის ანგარიშზე 35 მილიონი დოლარი ირიცხებოდა, რის საფუძველზეც ითხოვდა, რომ შვეიცარიის საგადასახადო სამსახურებს "ქსამაქსის" გაკოტრების საქმის წარმოება შეეწყვიტათ. პროკურატურამ ბრალდების წარდგენა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ჩაგაევმა ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ ვერ შეძლო დამაჯერებელი პასუხების გაცემა მათ შეკითხვებზე. პირველი მოსმენა ჟენევის კანტონის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეზე უკვე შედგა. მოსამართლემ ბიზნესმენი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა. შვეიცარიის კანონმდებლობა მსგავსი ქმედებისთვის 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. *"ბატონი ჩაგაევი სასამართლოს პირველივე მოთხოვნისთანავე გამოცხადდა. პროკურატურა მისი შემოსავლების წარმომავლობით დაინტერესდა. ამ ეტაპზე მან გამოძიების ყველა შეკითხვას უპასუხა. ჩემი კლიენტი აღიარებს, რომ აღნიშნულ წერილს The Bank of America–სთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ის უარყოფს, რომ აღნიშნული საბუთი მან დაამზადებინა,"* – განუცხადა გამოცემა "ლე მატინს" ბრალდებულის ადვოკატმა.

## დეკუმ გადაიფიქრა

"ფლუმინენსეს" ვეტერანმა პლეიმეიკერმა, 34 წლის **დეკუმ** ფეხბურთიდან წასვლა გადაიფიქრა და კლუბთან 1+1 სისტემით კონტრაქტი გააფორმა, - ამის შესახებ "ფლუმინენსეს" ვებგვერდი იუწყება. შეგახსენებთ, რომ "პორტუს", "ბარსას", "ჩელსისა" და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი "ფლუს" ღირსებას 2010 წლის იანვრიდან იცავს. თავდაპირველად ვეტერანს სერიოზული ტრავმები ჰქონდა, რის გამოც ის პენსიაზე ალაპარაკდა, მაგრამ ბოლო დროს ის ჯანმრთელობას აღარ უჩივის და ფეხბურთის თამაშიც ძველებურად ანიჭებს სიამოვნებას.

**ლევან ბიბილაშვილი**

ლიგა 1. XV ტურის წინ

# დანის პირზე სიარულის ხელოვნება



კომბუარესა და დეშამს კარიერაში რთული პერიოდი უდგათ

| დღეს | |
|---|---|
| ბორდო-კანი | 22:00 |
| ნანსი-დიჟონი | 22:00 |
| რენი-ევიანი | 22:00 |
| სტ. ეტიენი-აიაჩო | 22:00 |
| სოშო-მონპელიე | 22:00 |
| ტულუზი-ვალანსიენი | 22:00 |
| ლილი-ბრესტი | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ოსერი-ლიონი | 20:00 |
| ლორიანი-ნიცა | 20:00 |
| მარსელი-პარი სენ-ჟერმენი | 00:00 |

უმთავრესი ფრანგული დერბი კვირას ჩვენი დროით ღამის 12 საათზე დაიწყება. ამ დაპირისპირებას (ეს სიტყვა ყველაზე მეტად უხდება მათ თამაშს) ყველა ელოდება, იქნება ეს მრგვალი თუ ოვალური ბურთის გულშემატკივარი. ამბობენ, ამ დროს საფრანგეთში მხოლოდ პოლიცია და საავადმყოფოები მუშაობენო. პროვანსელებისთვის ამ შეხვედრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. **დიდიე დეშამის** გუნდმა წინა ორი მატჩი უსახელოდ დათმო ("მონპელიე" 1:0, "ოლიმპიაკოსი" 1:0) და ახლა ყველაზე პრინციპულ მეტოქესთანაც უქულოდ რომ დარჩეს, გამორიცხული არ არის, მასპინძელთა დამრიგებელი წარმოსახვით ეშაფოტზე აიყვანონ, თავი გააგდებინონ და განტევების ვაცად აქციონ. არანაკლები ზეწოლის გაძლება უწევს დედაქალაქელთა მწვრთნელ **ანტუან კომბუარეს**. სეზონის დაწყების შემდეგ მასაც გამოცდილი აკრობატივით უწევს დანის პირზე წონასწორობის შენარჩუნება.

მწვრთნელების მსგავსად უზარმაზარი ზეწოლის ქვეშ არიან თავად ფეხბურთელებიც. აგერ, მაგალითად, ნერვებმა უმტყუნა და გუნდში დაწესებული სუბორდინაცია უხეშად დაარღვია **პიერ-ანდრე ჟინიაკმა**. მათ შორის ურთიერთობა უკვე 6 თვეა, მას შემდეგ გაფუჭდა, რაც 2011 წლის ივნისში მწვრთნელმა თვითნებურად გადაწყვიტა ფეხბურთელის "ნიუკასლში" გაყიდვა. პიერ-ანდრე მის მიმართ დამოკიდებულებით აღშფოთებული დარჩა და "კაჭკაჭებთან" კონტრაქტის გაფორმება სასტიკად იუარა. პროვანსელებს სხვა არაფერი დარჩენოდათ – ფეხბურთელი გუნდში დატოვეს. დეშამმა ფეხბურთელს პირობა მისცა, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ თავის გამოჩენის შანსს მისცემდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სიტყვის შესრულებას არც აპირებდა. მორიგი კონფლიქტი კი მხარეებს შორის იმის გამო მოხდა, რომ დეშამმა ის "ოლიმპიაკოსთან" არათუ ძირითადს, არამედ სულაც განაცხადს მიღმა დატოვა. ფეხბურთელმა თავის თავს ზედმეტის უფლება ამის შემდეგ მისცა, რის გამოც დეშამმა 25 წლის თავდამსხმელი დუბლებში გადაიყვანა. სავარაუდოა, რომ თუკი დიდიემ თანამდებობა შეინარჩუნა, ჟინიაკს გუნდიდან წასვლა მოუწევს.

*"წინა ტურში ჩვენ მეტოქის კართან აგრესია გვაკლდა და შესაბამისად, "ნანსი, აძლევდა თავის თავს უფლებას, უფრო მეტი ენერგია შეტევაში დაეხარჯა. ჩემი ფეხბურთელები ისეთ ტემპში მოძრაობდნენ, 3-4 საათი რომ ეთამაშათ, მაინც არ დაიღლებოდნენ. ამასთან მეტოქე საკმარისი ძალებით ახერხებდა თავის დაცვას. მათ ბევრი მომენტი არ ჰქონიათ, მაგრამ ფეხბურთი ხომ ესაა, შეგიძლია ძალა ერთ შეტევაში დახარჯო და შედეგი მიიღო. ყოჩაღ, „ნანსი" მთავარია, რომ ჩემმა გუნდმა იცის, რაც ხდება. სიტუაცია ხანდახან იცვლება ხოლმე. საშიში არაფერია,"* – განაცხადა კომბუარემ.

პარიზელებს საკადრო პრობლემა შეექმნათ: ეჭვის ქვეშ დგას შეხვედრაში კოტდივუარელი **სიაკა ტიენეს** თამაში. 29 წლის განაპირა მცველმა წინა ტურში "ნანსისთან" შეცვლაზე სულ რაღაც 6 წუთი ითამაშა, მაგრამ მარჯვენა ფეხზე ბარძაყის ტრავმის მიღება მაინც მოასწრო. გადაწყვეტილებას, მიეცემა თუ არა ტიენეს თამაშის უფლება, გუნდის მთავარი ექიმი მიიღებს.

პრინციპული მატჩისთვის მონდომებით ემზადება პსჟ-ის ლიდერი **ხავიერ პასტორე**. 22 წლის არგენტინელი მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს. "აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა ცხრილში პირველი ადგილი შევინარჩუნოთ. ძალიან მინდა ჯერ ჩემპიონატის მოგება და შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში თამაში. ამაზე ვოცნებობ იმ დღიდან, როცა კლუბთან კონტრაქტს ხელი მოვაწერე".

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 14 | 9 | 3 | 2 | 26-12 | 30 |
| 2. მონპელიე | 14 | 9 | 3 | 2 | 29-16 | 30 |
| 3. ლილი | 14 | 6 | 7 | 1 | 22-13 | 25 |
| 4. რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24-17 | 25 |
| 5. ლიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 22-17 | 23 |
| 6. ტულუზი | 14 | 6 | 5 | 3 | 13-12 | 23 |
| 7. ლორიანი | 14 | 5 | 5 | 4 | 16-14 | 20 |
| 8. სტ. ეტიენი | 14 | 5 | 5 | 4 | 14-16 | 20 |
| 9. კანი | 14 | 5 | 4 | 5 | 22-21 | 19 |
| 10. მარსელი | 14 | 4 | 6 | 4 | 17-15 | 18 |
| 11. სოშო | 14 | 4 | 5 | 5 | 20-27 | 17 |
| 12. ევიანი | 14 | 3 | 7 | 4 | 17-19 | 16 |
| 13. ბრესტი | 14 | 2 | 9 | 3 | 15-14 | 15 |
| 14. ოსერი | 14 | 3 | 6 | 5 | 20-20 | 15 |
| 15. ვალანსიენი | 14 | 3 | 5 | 6 | 15-15 | 14 |
| 16. ნანსი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-16 | 14 |
| 17. დიჟონი | 14 | 4 | 2 | 8 | 15-28 | 14 |
| 18. ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 15-21 | 13 |
| 19. ნიცა | 14 | 2 | 5 | 7 | 12-16 | 11 |
| 20. აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 12-28 | 8 |

**ლევან ბიბილაშვილი**

თურქული ამბები

# შეწყალება სკანდალისტებს

ამ ზაფხულს თურქული ფეხბურთი გრანდიოზულმა სკანდალმა შეძრა. სამართალდამცავებმა ათობით ეჭვმიტანილი დააკავეს. მათ ბრალი გარიგებულ მატჩებში მონაწილეობასა და უშუალოდ ორგანიზებაში დაედოთ ბრალი. ბუნებრივია, ყველა დაკავებულის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა. ზოგიერთი დაკითხვის შემდეგ შინ გაუშვეს. ზოგს ბრალი წაუყენეს, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს. ზოგის საქმე კი პროკურატურამ ბოლომდე მიიყვანა. ასეთი სულ 30 ადამიანია და მათ შორის ზოგი მეტისმეტად გავლენიანი ადამიანიც აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, ამ უკანასკნელთა გავლენაა თუ რა ხდება, მაგრამ იმ თურქეთის პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი, რომელიც მსჯავრდებულთა მდგომარეობას ბევრად ამსუბუქებს. მათ სასჯელი შეუმცირდათ. სწორედ ამით ასაბუთებს თურქული ოპოზიცია პარლამენტის გადაწყვეტილებას. მათი მტკიცებით, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ეს "სპექტაკლი" "ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტის **აზიზ ილდირიმის** გამო დადგა. შეგახსენებთ, თურქებმა 8 თვის წინ მიიღეს სისხლის სამართლის ნორმა, რომელიც სპორტული ღონისძიების მონაწილისა და მსაჯის მოსყიდვისთვის 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



ფენერბაჰჩეს პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი

თურქეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა "ბეშიქთაშს" 5 დეკემბერს "ორდუსპორთან" სუპერლიგის უახლოესი საშინაო შეხვედრის უმაყურებლოდ გამართვა დაავალა და პლუს 94 ათასი ევროთი დააჯარიმა. მიზეზი "გალათასარაისთან" მატჩში (20 ნოემბერი, 0:0) მომხდარი სკანდალი გახდა, სადაც "ბეშიქთაშის" გულშემატკივრებმა სტუმართა ივუარელ მარჯვენა მცველს, 28 წლის **ემანუელ ებუეს** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფა მიაყენეს. ამასთან, მას ხურდა ფულს, წყლით სავსე ბოთლებსა და სანთებელებს ესროდნენ. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა "გალათასარაის" ბრაზილიელ საყრდენს, 28 წლის **ფელიპე მელოსაც**, რომელიც მასპინძელთა გულშემატკივრების პროვოცირებას ცდილობდა.

**ლევან ბიბილაშვილი**

კვირის ფრაზები

## მესის და რონალდოს დარი ვან პერსი

„არსენალის" ნახევარმცველმა **მიკელ არტეტამ** განაცხადა, რომ მათი ჰოლანდიელი ფორვარდი **რობინ ვან პერსი** ახლა ისეთ ფორმაშია, რომ **ლიონელ მესისა** და **კრიშტიანო რონალდოს** გაუტოლდაო. *"უკანასკნელ შეხვედრაში, დორტმუნდის „ბორუსიასთან" (2:1) მოგებულ მატჩში პერსიმ დუბლი შეასრულა.* 28 წლის ესპანელმა ნახევარმცველმა კი „სანთან" საუბრისას თქვა: *„ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორი დიდებული ფეხბურთელიცაა რობინი. მას ამჟამად გოლების მანქანა აქვს ჩართული და მისი გამორთვა ძნელია — ჩემი აზრით, ახლანდელი დონე ამ სეზონში ნებისმიერი თავდამსხმელის დონეს სჯობს. მისი ბოლო 8-9 თვის მონაცემები უბრალოდ ფანტასტიკურია. ზოგიერთ შეხვედრაში შესაძლოა ისე გამოიყურებოდეს, თითქოს გოლის გატანა არ უწერიაო, თუმცა ის მაინც გამონახავს საგოლე მომენტს და გამოიყენებს".*

## ადებაიორი ფულისთვის თამაშობს

„ტოტენჰემ ჰოთსპურის" ფორვარდმა **ემანუელ ადებაიორმა** განაცხადა, რომ ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობთ, ფული რომ მივიღოთო. შეგახსენებთ, რომ ტოგოელის კონტრაქტი „მანჩესტერ სიტის" ეკუთვნის, მაგრამ იჯარის წესით იგი „დეზებში" ასპარეზობს და მისი ჯამაგირი 170 000 ფუნტი სტერლინგია კვირაში. აფრიკელმა თავდამსხმელმა „დეილი მეილთან" ინტერვიუში თქვა: *„ჩვენ ფეხბურთს იმიტომ ვთამაშობთ, რომ ფული მივიღოთ. მე, როგორც იცით, აფრიკიდან ვარ, იქ კი გაჭირვებული ოჯახი ცოტა ნამდვილად არ გახლავთ — უკვე საკმაოდ დიდი ხანია, გაჭირვებულებს ვეხმარები. ამიტომაც, ახლა მჭირდება ფულის გამომუშავება, რათა მათ დახმარება გავუწიო. ამ საქმიანობას კი მანამ გავყვები, სანამ ფეხბურთს ვთამაშობ".*

## წელს რეალი უკეთესია

მადრიდის „რეალის" ყოფილმა თავდამსხმელმა **დავორ შუკერმა** განაცხადა, რომ წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით „ბარსელონაზე" ძლიერი „რეალია" და იმედოვნებს, რომ „ელ კლასიკოში" სწორედ „ბლანკოსი" გაიმარჯვებს. იგი ამბობს: *„მადრიდული გრანდი ახლა საკმაოდ ძლიერია — მათ მოგებათა სერია აქვთ, რაც ადვილი საქმე არ გახლავთ. ჟოზე მოურინიო უკვე მოვიდა თავის ტონუსში. იგი ტიტულების მოსაგებად მოვიდა ესპანეთში და ფლორენტინო პერესმა მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტთან გააფორმა კონტრაქტი".*

## კვირის მატჩი

ჩემპიონთა ლიგის მე-5 ტურის ჯგუფური ეტაპის შეხვედრაში „სან სიროზე" ერთმანეთს „მილანი" და „ბარსელონა" დაუპირისპირდნენ და კატალონიელებმა 2:3 იმარჯვეს. შეხვედრა ძალიან საინტერესო და უხვგოლიანი გამოდგა, რითიც ნეიტრალურმა გულშემატკივარმა საკმაოდ ისიამოვნა. აღსანიშნავია მილანელთა გოლები: **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** შეგდებულ ბურთზე **კლარენს ზეედორფის** პასი უნდა გამოვყოთ, შემდეგ კი იბრას შესრულება, ხოლო მეორე გოლზე კი **კევინ-პრინს ბოატენგის** შესანიშნავი თამაში. „ბარსამ" კი მესამე გოლი გაიტანა ბრწყინვალე — მესიმ შესანიშნავი პასი გადააწოდა **ჩავის**, რომელსაც არ გასჭირვებია **აბიატის** კარის დალაშქვრა. მოკლედ, ამ შეხვედრას კვირის მატჩად მივიჩნევთ.

## კვირის მოსალოდნელი ჯახი

ასეთი ორია: ბუნდესლიგაში დიდი „რურის დერბი" იმართება „ვესტფალენზე", სადაც დორტმუნდის „ბორუსია" „შალკეს" დაუხვდება და დიდ ომს გაუმართავს, ხოლო სერია A-ში კი რომის ოლიმპიურ სტადიონზე „ლაციო" ჩემპიონატის ლიდერ ტურინის „იუვენტუსს" მიიღებს.

**გიორგი ფულარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XIII ტურის წინ

# დასამტკიცებელი მართლაც ბევრია

## დღეს

**სტოკი-ბლეკბერნი 16:45**

**ტრავმა:** სიდიბე – სამბა, ვუცკევიჩი, გრელა, რ. ნილსენი
**დისკვალიფიკაცია:** დანი (ბლექ)

**ბოლტონი-ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** ალონსო, გარდნერი, ბოიატა, პოლდენი, რიკეტსი, მირსი, ლი, შ. დევისი - ენიჩიბე

**ჩელსი-ვულვერჰემპტონი 19:00**

**ტრავმა:** ესიენი, კოული – სტირმენი, ფოული, ზუბარი
**დისკვალიფიკაცია:** ო'ჰარა, ჰანტი (ვულვ)

**მანჩესტერ იუნ.-ნიუკასლი 19:00**

**ტრავმა:** უელბეკი, ოუენი, სმოლინგი, კლევერლი – ტიოტე, მარვო, ობერტანი

**ნორვიჩი-ქუინზ პარკი 19:00**

**ტრავმა:** ვუგანი, უიტბრედი, უორდი – დ.-ჯ. კემპბელი, კონოლი, დაიერი, ჰალსი
**დისკვალიფიკაცია:** ბარტონი (ქუინ)

**სანდერლენდი-უიგანი 19:00**

**ტრავმა:** ჯი დონგ-ვონი, გორდონი, ბრემბლი, უიკჰემი, მინოლე, კემპბელი - კირკლენდი

**ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი 19:00**

**ტრავმა:** ოდემვინგე, შარნერი – გალასი, ჰადლსტოუნი, დოუსონი

**არსენალი-ფულჰემი 21:30**

**ტრავმა:** ჯენკინსონი, გიბზი, მიაიჩი, დიაბი, სანია, უილშირი – სიდუელი, კელი, გრიგერა, სა, ს. დევისი

## ხვალ

**სუონსი-ასტონ ვილა 17:30**

**ტრავმა:** კოლკერი, ტატე – დელფუნესო, ლიჩაი

**ლივერპული-მანჩ. სიტი 20:00**

**ტრავმა:** ჯერარდი – ჰარგრივზი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 42-11 | 34 |
| 2. იუნაიტედი | 12 | 9 | 2 | 1 | 29-12 | 29 |
| 3. ტოტენჰემი | 11 | 8 | 1 | 2 | 23-15 | 25 |
| 4. ნიუკასლი | 12 | 7 | 4 | 1 | 18-11 | 25 |
| 5. ჩელსი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-17 | 22 |
| 6. ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 16-11 | 22 |
| 7. არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 25-22 | 22 |
| 8. ასტონ ვილა | 12 | 3 | 6 | 3 | 16-17 | 15 |
| 9. ქუინზ პარკი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-22 | 15 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-17 | 14 |
| 11. ნორვიჩი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-20 | 13 |
| 12. ევერტონი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-16 | 13 |
| 13. სუონსი | 12 | 3 | 4 | 5 | 12-16 | 13 |
| 14. სტოკი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-22 | 12 |
| 15. სანდერლენდი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-13 | 11 |
| 16. ფულჰემი | 12 | 2 | 5 | 5 | 14-15 | 11 |
| 17. ვულვზი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| 18. ბოლტონი | 12 | 3 | 0 | 9 | 19-29 | 9 |
| 19. ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 16-27 | 7 |
| 20. უიგანი | 12 | 1 | 3 | 8 | 10-23 | 6 |

ბომბარდირები: 13 — ვან პერსი (არსენალი); 10 - ჯეკო (სიტი), აგუერო (სიტი); 9 - რუნი (იუნაიტედი); 8 - ბა (ნიუკასლი); 6 - ბალოტელი (სიტი), კლასნიჩი (ბოლტონი), ლემპარდი (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

ქრონოლოგია დავარღვიოთ. უპირველეს ყოვლისა იმ შეხვედრებზე ვილაპარაკოთ, რომლებსაც გულშემატკივარი მეტი ინტერესით ელოდება, ერთ-ერთი ასეთი კი კვირა საღამოს, „ენფილდ როუდზე“ გაიმართება: „ლივერპული“ „მანჩესტერ სიტის“ მასპინძლობს. ქრონოლოგიას რომ გამოვდევნებოდით, ამ თამაშზე სულ ბოლოს უნდა გვეთქვა, რადგან ტური ამ მატჩით მთავრდება.

„სიტი“, რომელსაც 12 თამაშიდან 11 მოგებული აქვს და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ცხრილში ხუთი ქულით უსწრებს, ნამდვილი გამოცდის წინაშე დგას. „ლივერპული“ ხომ კარგ ფორმაშია და არც ამბიცია აკლია. **კენი დალგლიშის** გუნდმა, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ზედიზედ ცხრა შეხვედრაა წაგება რა არის, არ იცის და თან, სტატისტიკა იმასაც მეტყველებს, რომ მანჩესტერელებს „ენფილდზე“ უჭირთ — ბოლო რვა ვიზიტიდან ერთიც არ მოუგიათ. მეტიც, „სიტის“ „ლივერპულისთვის“ პრემიერლიგის ბოლო 12 დაპირისპირებაში, შინ თუ სტუმრად, მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული. სხვასაც გეტყვით: ბოლო გუნდი, რომელიც „სიტის“ ისე დაუდგა, რომ გოლი არ გაატანინა, 18 თამაშის წინ, სწორედ „ლივერპული“ იყო.

გარდა იმისა, რაც ჩამოვთვალეთ, დიდი მნიშვნელობა აქვს მეტოქეები ყოველ კონკრეტულ თამაშს როგორ გუნებაზე ხვდებიან. მერსისაიდელები, მაგალითად, ყინჩად ბრძანდებიან, რადგან ბოლო ტურში „ჩელსის“ მოუგეს 2:1 და მესამე ადგილზე მყოფი „ტოტენჰემი“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებთ. „წითლების“ პირველი გუნდის მწვრთნელი და დალგლიშის მარჯვენა ხელი **სტივ კლარკი** ამბობს:

*„წლეულს ყველა ჩვენს გუნდზე ლაპარაკობს. ვფიქრობ, იმასთან შედარებით, რაც მე და კენის აქ დაგვხვდა, დღევანდელი „ლივერპული“ გაცილებით ძლიერია. ახლანდელი შემადგენლობა ძველს სჯობს და ეს „ჩელსისთან“ ბოლო შეხვედრამ დაადასტურა. ძირითად შემადგენლობას თავი დავანებოთ, სათადარიგო სკამისთვის რომ გადაგეხედათ, ისიც შთაბეჭდილებას მოახდენდა. ისეთ კლუბში, როგორიც „ლივერპულია“, ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთელებმა ყოველ პოზიციაზე კონკურენცია იგრძნონ. ეს კონკურენცია პროგრესის საწინდარი გახლავთ“.*

ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა „მანჩესტერ სიტიშიც“, რომელსაც სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში „ნაპოლისთან“ დამარცხების სიმწარე აქვს მოსაშორებელი. ბუნებრივია, ევროტურნირზე საქმის ჩაფლავება ისტლენდელთა არაბ პატრონებს გააბრაზებდა. ისინი დიდძალ ფულს იმიტომ არ ხარჯავენ, რომ გუნდი შეჯიბრებიდან ჯგუფური ეტაპიდანვე გაუვარდეთ (რისი ძალიან დიდი შანსიც არის) და მათ დასაწყნარებლად სასწრაფოდ შთამბეჭდავი შედეგია საჭირო. ამის საშუალება კი გუნდს, რომელშიც **სერხიო აგუერო, ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი, სამირ ნასრი** და სხვა ვარსკვლავები თამაშობენ, რასაკვირველია, აქვს.

ახლა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ნიუკასლის“ შეხვედრაზე „გადმოვხტეთ“. ეს თამაში დღეს, საქართველოს დროით 19 საათზეა დანიშნული. ინგლისის ჩემპიონი „ხმაურიანი თანაქალაქელის“ მსგავსად, სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგაში ჩაფლავდა — შინ „ბენფიკასთან“ 2:2 ითამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ „იუნაიტედს“, დღეს, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება მართებს. რასაკვირველია, სატურნირო მდგომარეობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

„ნიუკასლი“, მოგეხსენებათ, ამ სეზონში ყველას აკვირვებს — „კაჭკაჭებისგან“ არავინ ელოდა, რომ 12 ტურის შემდეგ მეოთხე ადგილზე იქნებოდა (მესამე ადგილზე მყოფ „სფურზთან“ თანაბარი ქულებით) და „იუნაიტედს“ მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებოდა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი, **კრის სმოლინგი** კვლავ „ბენფიკასთან“ თამაშზე ფიქრობს. ის ვერ შეგუებია, რომ მისმა გუნდმა, რომელიც მიმდინარე სეზონში მტკიცე დაცვით გამოირჩევა, პორტუგალიელებთან დასანანი შეცდომები დაუშვა.

*„ბოლო ხანს ბევრი მეტოქე გავაწბილეთ. ჩვენს კარში გოლის გატანა ძალიან ძნელია და ამიტომაც დამწყდა გული იმაზე, რაც სამშაბათს მოხდა. დიდი იმედი მაქვს, რომ შაბათს, „ნიუკასლთან“ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდება. „კაჭკაჭები“ მიმდინარე სეზონში დიდებულად თამაშობენ და თუ ჩვენ მათ მოვუგებთ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც კარგი იქნება“.*

სმოლინგი „ბენფიკასთან“ შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა. მანამდე ის ტრავმირებული იყო. სავარაუდოდ, „ფულჰემის“ ყოფილი ფეხბურთელი ვერც „ნიუკასლთან“ მოხვდება სასტარტო შემადგენლობაში, რადგან „იუნაიტედში“ უპირატესობას **რიო ფერდინანდისა** და **ნემანია ვიდიჩის** წყვილს ანიჭებენ. მწვრთნელს, სერ **ალექს ფერგიუსონს** იმედი აქვს, რომ „ნიუკასლთან“ შეხვედრაში მის განკარგულებაში იქნება **უეინ რუნი**, რომელმაც „ბენფიკას“ წინააღმდეგ თეძოს ტკივილის გამო ვერ ითამაშა.

რაც შეეხება „კაჭკაჭებს“, როგორც მოგახსენეთ, მათ მიმდინარე სეზონში კარგი თამაშით ყველა გააკვირვეს, თუმცა ბოლო ტურში, „ეტიჰედ სთედიუმზე“, „მანჩესტერ სიტისთან“ დამარცხდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს მათი პირველი სერიოზული შემოწმება იყო, რომელსაც, დღეს, მეორე მოსდევს. ისტლენდელებთან წაგების შემდეგ „ნიუკასლის“ თავკაცმა, **ალან პერდიუმ** განაცხადა:

*„მე „სიტისთან“ დამარცხების შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“ ჩასვლისა და „იუნაიტედთან“ თამაშის არ მეშინია. ჩვენ ცხრილში მაინც შესანიშნავი პოზიცია გვიჭირავს. იმედი მაქვს, რომ „იუნაიტედთან“ შეხვედრის წინ ორი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი, ტიოტე და ობერტანიც დაგვიბრუნდებიან“.*

„ტოტენჰემ ჰოთსპური“, რომელიც მესამე ადგილზე გადავიდა, ვესტ ბრომვიჩში თამაშობს. მასპინძლებმა წინა ტურში „ბოლტონს“ 2:1 მოუგეს და ჩრდილოლონდონელებს უფრო იმედიანები ხვდებიან. ბოლოს და ბოლოს, მათ ცხრილში მეათე პოზიცია უკავიათ. სხვა საქმეა, რომ ბოლო ტურში გაიმარჯვა „სფურზმაც“, რომელმაც „ასტონ ვილას“ 2:0 მოუგო. „ვესტ ბრომვიჩის“ მწვრთნელი, **როი ჰოჯსონი** კლუბის საიტზე წერს:

*„ჩვენ ექიმებისგან ცნობებს ველოდებით. შეინ ლონგი, რომელიც მთელი თვის განმავლობაში ნატკენ მუხლს მკურნალობდა, „ბოლტონთან“ შეხვედრაში დაგვიბრუნდა და გამარჯვების გოლი გაიტანა, მაგრამ ახლა ფეხი იტკინა და არ ვიცით, „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში“ უნდა დავასვენოთ თუ შეიძლება, რომ ვათამაშოთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც ხანგრძლივი დასვენების შემდეგ ფეხბურთელი 90 წუთს თამაშობს, მერე კიდევ ვარჯიშობს და... რაღაც კიდევ ემართება“.*

წესით „დეზებთან“ შეხვედრაში უნდა დაბრუნებოდა მოედანს **პიტერ ოდემვინგე**, მაგრამ ახლა მუხლი იტკინა და ამ თამაშსაც გამოტოვებს.

რაც შეეხება „დეზებს“, მათ აგვისტოში მანჩესტერის გუნდებთან რომ წააგეს, მას მერე დამარცხების სიმწარე გადაავიწყდათ. მოგეხსენებათ, **ჰარი რედნაპის** შეგირდებს დანარჩენ ლიდერებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული და, ბუნებრივია, ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობის ხელიდან გაშვებას არ აპირებენ — სხვა სიტყვებით, „სფურზი“ „ვესტ ბრომვიჩის“ დამარცხებას აპირებს. რედნაპს შესანიშნავ ფორმაში ჰყავს **ლუკა მოდრიჩი, სკოტ პარკერი** და **ემანუელ ადებაიორი**, რომელმაც ცხრა ნათამაშებ შეხვედრაში უკვე ხუთი გოლი გაიტანა.

რედნაპი ამბობს: *„სულაც არ არის გამორიცხული, რომ ჩემპიონის ტიტულისთვისაც ვიბრძოლოთ. მთავარია საკუთარი შესაძლებლობების გვჯეროდეს და თამაშები მოვიგოთ“.*


სუარესი სიტის დაცვას გამოცდის

„ჩელსი“ „ვულვერჰემპტონს“ მასპინძლობს. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ დასავლეთლონდონელებმა პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში ხელმოცარვის შემდეგ მდგომარეობა უნდა გამოასწორონ და მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** ცოტათი მაინც გაახსნევინონ სიბრაზისგან შეკრული კოპები. შეგახსენებთ, რომ როგორც „ლივერპულთან“, ასევე ლევერკუზენის „ბაიერთან“ „ლურჯებმა“ ერთნაირი ანგარიშით წააგეს, 2:1.

*„ჩემს ფეხბურთელებს ნირი წაუხდათ, მაგრამ ისინი ელოდებიან, რომ მწვრთნელი გამოუსწორებს გუნებას და საბრძოლო სულისკვეთებას დაუბრუნებს* — ინდიელივით მესამე პირში ილაპარაკა საკუთარ თავზე **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** — *მე ვალდებული ვარ ბიჭებს მოტივაცია მოვუძებნო და როგორც „ვულვზთან“, ასევე სამშაბათს, „ქარლინგის თასზე“ „ლივერპულთან“ ფრთები შევასხა“.*

განელი **მიკაელ ესიენი** კვლავ ნაოპერაციებ მუხლს მკურნალობს, ნიგერიელი **ჯონ ობი-მიკელი** კი „ლევერკუზენთან“ შეცვლაზე შევიდა. ის, სავარაუდოდ, „ვულვზთან“ თავიდანვე ითამაშებს, აი, **ეშლი კოულის** საქმე კი ბოლო დღემდე გაურკვეველი იყო — შანსი იმისა, რომ კოულს ათამაშებენ, 60 პროცენტია.

რაც შეეხება „ვულვზს“, ეს გუნდი გასავარდნთა ზონას ორად ორი ქულით აღემატება და ქულები სჭირდება. თუ „ჩელსისთან“ გამარჯვებას მოახერხებს, მისთვის უკეთესი — ფსიქოლოგიურად წელში გაიმართება. თან, „ჩელსი“ ძველებურად ველარ თამაშობს და ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს იყოს **მიკ მაკარტის** ფეხბურთელთა შანსი. წინა ტურში, „ევერტონთან“, **რიჩარდ სტირმენმა** მაჯა მოიტეხა, თუმცა მაკარტის გაუმართლა და მის მაგივრად თერთმეტეულში გამოჯანმრთელებულ **რონალდ ზუბარს** ელის.

აუცილებლად უნდა ითქვას „არსენალისა“ და „ფულჰემის“ დაპირისპირებაზე. საქმე ის გახლავთ, რომ „მეთოფეები“ უკვე ზედიზედ ცხრა თამაშია იგებენ და ლონდონურ დერბიში კიდევ ერთ გამარჯვებას შეეცდებიან. შესანიშნავ ფორმაში მყოფი ჩრდილოლონდონელები მეშვიდე ადგილზე არიან, მაგრამ ცხრილს კარგად თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მესამე ადგილს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან. რაც შეეხება „ფულჰემს“, ის მეთექვსმეტეზეა და მოგებათა გრაფაში ორიანი უწერია - სხვათა შორის, ამ ორიდან ერთი „კრეივენ კოტეჯის“ ბინადარმა „ჩელსის“ მოუგო.

„არსენალის“ შემადგენლობაში საუცხოო ფორმაშია **რობინ ვან პერსი**. ჰოლანდიელ ვარსკვლავზე მწვრთნელმა, **არსენ ვენგერმა** ასე თქვა: *„ის საუცხოო პერიოდს გადის, როდესაც გოლების გასატანად ძალისხმევა, თითქოს, არც კი სჭირდება, ყველაფერი თავისთავად და ბუნებრივად ხდება. ვან პერსი ყოველთვის საჭირო დროს საჭირო ადგილზეა. გარედან ეს ყველაფერი ძალიან იოლი ჩანს, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. რობინს თამაში ესმის საოცრად“.*

დანარჩენ თამაშებზე კი მოკლედ მოგახსენებთ: „ასტონ ვილა“ უელსს მიემგზავრება, იმ იმედით, რომ „სუონსის“ მოუგებს და ამ სეზონში სტუმრად პირველ შეხვედრაში აიღებს 3 ქულას; „ნორვიჩ სიტი“ „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ მასპინძლობს - პრემიერლიგაში ახალაღზევებული გუნდები შეეცდებიან უმაღლეს დონეზე შთამბეჭდავი სვლა არ შეწყვიტონ; „სანდერლენდი“ აუტსაიდერ „უიგანს“ მასპინძლობს და მიმდინარე სეზონში მესამე გამარჯვების იმედი აქვს; **ოუენ კოილი** ყველა ღონეს ხმარობს, რათა „ბოლტონი“ გასავარდნი სამეულიდან ამოაძვრინოს, მაგრამ ამისათვის, ამჯერად, სტუმრად ჩასული „ევერტონის“ დამარცხება მოუწევს; რაც შეეხება „სტოკს“, ამ გუნდს 2011 წელს მთელი 10 თვის განმავლობაში შინ ერთი თამაშიც არ წაეგო, მაგრამ ბოლოს ზედიზედ სამჯერ დამარცხდა. ახლა სტოკელები „ბლექბერნთან“ შეეცდებიან ძველებური საშინაო ფორმის აღდგენას.

**ილია ბაბუნაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს

**რაიო ვალეკანო-ვალენსია 21:00**

**ტრავმა:** პერეა - რ. კოშტა, მადურო, კანალესი, ბანეგა

**რეალი-ატლეტიკო 23:00**

**ტრავმა:** კაკა, არბელოა, რ. კარვალიო, დი მარია (?), მარსელო (?) - ტიაგო, ა. ლოპესი, კოშტა, სილვიო, ხოელი, ფალკაო

**ხეტაფე-ბარსელონა 01:00**

**ტრავმა:** პედრო ლეონი, გავილანი, უსტარი, მასილელა - აფელაი, ადრიანო (?), ინიესტა

**დისკვალიფიკაცია:** ბარადა, ტორესი (ხეტ)

## ხვალ

**ბეტისი-რეალ სოსიედადი 15:00**

**ტრავმა:** ნელსონი, ვადილიო, სანტა კრუსი (?), მონტერო - ბერგარა (?), დელა ბელა (?), ილარამენდი, კადამურო, ჩ. პრიეტო

**ლევანტე-სპორტინგი 19:00**

**ტრავმა:** ხუანფრანი (?) - ბილიჩი (?), ეგურენი (?)

**ესპანიოლი-ოსასუნა 21:00**

**ტრავმა:** პანდიანი (?), გარსია (?), ლოპესი (?), მარკესი (?), ალბინი, მატიონი - ეჩაიდე, მასუდი, სერხიო, ბერტრანი

**მალიორკა-რასინგი 21:00**

**ტრავმა:** ჩიკო (?), ლაკრუსი - ბედია (?), სამპერიო, აკოსტა, კენედი

**დისკვალიფიკაცია:** ალვარო (რას)

**ბილბაო-გრანადა 22:45**

**ტრავმა:** ეკიზა (?), ოსიო, გურპეგი, ხ. მარტინესი, კასტილიო - ბენიტესი (?), მაინსი, რიკო, ლუსენა

**სარაგოსა-სევილია 00:30**

**ტრავმა:** ბრაულიო, ფრანკო, სილვა - კასერესი (?), ფასიო (?)

## ზეგ

**მალაგა-ვილიარეალი 00:00**

**ტრავმა:** აპონიო (?), ველიგტონი, ხოაკინი, გამესი, ბაპტიშტა - კამუნიასი, კატალა, ბორდასი, საპატა, როსი, ნილმარი, კანი

*შენიშვნა: ? ნიშნით - ფეხბურთელის თამაში საეჭვოა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 12 | 10 | 1 | 1 | 42-9 | 31 |
| 2. ბარსელონა | 12 | 8 | 4 | 0 | 38-6 | 28 |
| 3. ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 19-12 | 24 |
| 4. ლევანტე | 12 | 7 | 2 | 3 | 19-12 | 23 |
| 5. მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15-14 | 20 |
| 6. სევილია | 12 | 4 | 6 | 2 | 12-10 | 18 |
| 7. ბილბაო | 12 | 4 | 5 | 3 | 19-15 | 17 |
| 8. ესპანიოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 9-13 | 17 |
| 9. ატლეტიკო | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 10. ვალეკანო | 12 | 4 | 4 | 4 | 14-13 | 16 |
| 11. ოსასუნა | 12 | 3 | 6 | 3 | 14-24 | 15 |
| 12. ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 13. ბეტისი | 12 | 4 | 1 | 7 | 10-16 | 13 |
| 14. სპორტინგი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-17 | 12 |
| 15. ხეტაფე | 12 | 2 | 4 | 6 | 13-19 | 10 |
| 16. მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| 17. სარაგოსა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-26 | 10 |
| 18. გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4-12 | 9 |
| 19. სოსიედადი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-18 | 9 |
| 20. რასინგი | 12 | 1 | 6 | 5 | 8-18 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 11 - გონსალო იგუაინი (რეალი); 8 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 7 - ქარიმ ბენზემა (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

*ესპანეთი. ლა ლიგა. XIII ტურის წინ*

# 12 წელი, 21 მატჩი...

## ისტორია რეალისკენაა, რეალობა?

დღეს ესპანური პრიმერა დივიზიონის მორიგი ტური სამი მადრიდული მატჩით იწყება. პირველ და მესამეზეც ვიტყვით, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით. მთავარი კი „სანტიაგო ბერნაბეუზე" გასამართი „ელ დერბი მადრილენიოა", სამეფოს სატახტო ქალაქის ორი მთავარი კლუბის, „რეალისა" და „ატლეტიკოს" დაპირისპირებაა. ცხრილს თუ ჩავხედავთ, შუაში გაჩხერილი „ატლეტიკო", რომელსაც „სამეფო კლუბის" ქულათა მონაგარის ნახევარი აქვს, „რეალის" რა კონკურენტია, მაგრამ აბა ცხრილს ვინ უყურებს, როცა მადრიდული დერბია.

ლა ლიგაში მადრიდული დერბი 146-ჯერ ჩატარდა. 80-ჯერ „რეალმა" იმარჯვა, „ატლეტიკომ" - 35-ჯერ, 31 შეხვედრა ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდება 262:197 „რეალის" სასარგებლოდ. როგორც ხედავთ, „სამეფო კლუბის" უპირატესობა დიდია. მეტიც, ბოლოს „ატლეტიკომ" „რეალს" 1999 წელს მოუგო „სანტიაგო ბერნაბეუზე" 3:1. ამის შემდეგ არც იქ და არც მშობლიურ „ვისენტე კალდერონზე" „ათლეტებს" არ გაუმარჯვიათ - მას მერე, რაც „როხი-ბლანკო" პრიმერას დაუბრუნდა, ორწლიანი არყოფნის შემდეგ (2002 წ), „რეალმა" 18 დაპირისპირებიდან 14 მოიგო და 4 ფრედ დაასრულა.

**ლუის არაგონესი, ხუანიტო, ხოსე ლუის კამინერო**... ის ცნობილი ფეხბურთელები არიან, რომელთაც ორივე გუნდში უთამაშიათ. დღეისათვის ასეთი სამია, სამივე „ატლეტიკოში": 26 წლის გარემარბები, **ხუანფრან ტორესი** (სულ 6 თამაში „რეალის" ძირითად გუნდში) და 28 წლის **ხოსე ანტონიო რეიესი** (30 თამაში, 6 გოლი), ასევე ბრაზილიელი მარცხენა მცველი **ფილიპე ლუის კასმირსკი**, რომელსაც 2005/06 წლების სეზონში ერთხელაც არ მოუწია „რეალის" პირველი გუნდის მაისურის მორგება.

მას შემდეგ, რაც „რეალმა" ორი ქულა დატოვა კანტაბრიაში (სექტემბერში **ექტორ კუპერის** „რასინგს" 0:0 დაუზავდა), **ჟოზე მოურინიოს** შეგირდებმა ზედიზედ 12 თამაში მოიგეს!

*„ველი, რომ „ატლეტიკო" ყველაფერს გაიღებს წარმატებისთვის და მატჩი ძალზე დაძაბული იქნება - დერბი დერბია",* - ეს სიტყვები ჟოზე მოურინიოს ეკუთვნის. პორტუგალიელმა ამჯერად თავად დააფასა მედია და პრესკონფერენციაზე გამოცხადდა (ზოგჯერ **აიტორ კარანკას** აგზავნის ხოლმე).

*„ხალხს ჰგონია, რომ ეს დერბი იოლი გასეირნება იქნება ჩვენთვის. ისინი ცდებიან. სტატისტიკა და დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა ასეთ მატჩებში არაფერს წყვეტს. მოხარული ვიქნები, თუკი 1:0-ს მოვიგებთ".* ამის შემდეგ მოუმ **ჩაბი ალონსოზე** ილაპარაკა. რატომ მაინცდამაინც ჩაბი? ჯერ ერთი, ის 30 წლის შესრულდა, მეორეც - ნახევარმცველს ერთი გაფრთხილება აშორებს დისკვალიფიკაციამდე და ბევრის მტკიცებით, დღეს ის ამ გაფრთხილებას ძალით მიიღებს, რომ შემდეგი ტურის მატჩი გამოტოვოს და თავიდან აიცილოს „ბარსასთან" „კლასიკოს" გამოტოვების საფრთხე: *„ჩაბი ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია ჩვენთვის. ამიტომაც ბევრს თამაშობს სხვებთან შედარებით. რა სისულელეა, ის ძალით ყვითელ ბარათს არ მიიღებს, რადგან შემდეგი ტურის მატჩიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ბიოლოგიური ასაკი ბევრი არაფერს ნიშნავს, როცა ფეხბურთელს კვლავ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. კიდევ ერთი 30 წლის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს მწვრთნელის ამპლუაში დავუპირისპირდებით",* - განაცხადა პორტუგალიელმა.

*„ყველა მწვრთნელი თავისი გუნდის თამაშს თავისი მოსაზრებების მიხედვით აწყობს. ასეა გრეგორიო მანსანოც. მე რომ ფილმზე წასვლა მინდოდეს, ბილეთს არ ვიყიდიდი, თუკი რეჟისორი იტყოდა, ჩემი ფილმი ცუდიაო. ჩვენ დერბისთვის მზად ვართ, ძნელ მატჩს ველით, თუმცა წარმატების იმედი გვაქვს, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება. ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ისაა, რომ „ატლეტიკო" ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს, მაგრამ მეტოქეს საკმაოდ ჰყავს კარგი ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ ერთ, კონკრეტულ შეხვედრაში ჩვენი გამწარება. მე მყავს ორი საუკეთესო ფორვარდი, უკვე დავიტანჯე იმის გამოცნობით, რომელი უნდა დავაყენო, ბენზემა თუ იგუაინი. ფალკაო, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ, ჩემთვის რომ ეკითხათ გუნდში ვინ გსურსო, პასუხს დაუფიქრებლად გავცემდი: ბენზემა და იგუაინი".*

ჟოზემ მატჩის წინა დღით 21-კაციანი სია დაასახელა, რომელთაგანაც 18 დერბის განაცხადში მოხვდება. საგულისხმოა, რომ სიაში **მარსელო** და **ანხელ დი მარია** მოხვდნენ, ხოლო **რიკარდო კარვალიო, კაკა** და **ალვარო არბელოა** ვერა.

სტუმართა ბანაკში მთავარი კითხვა **რადამელ ფალკაოს** შეეხებოდა - 47 მილიონ ევროდ ნაყიდი კოლუმბიელი ფორვარდი დერბისთვის გამოჯანმრთელებას ეშურებოდა, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ 25 წლის ფეხბურთელი ვერ ითამაშებს: *„ის ჯერ არ არის 100%-ით მზად. ფალკაოს მოედანზე გამოყვანა სარისკოა მისივე ჯანმრთელობისთვის და ამას მე არ გავაკეთებ",* - განაცხადა „ათლეტთა" თავკაცმა **გრეგორიო მანსანომ**. სტუმრებს არ ეყოლებათ მცველები **ანტონიო ლოპესი** და **სილვიო**, ასევე ნახევარმცველი **ტიაგო**.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი (4-2-3-1):** *კასილიასი - დიარა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ჩაბი ალონსო, შაჰინი - დი მარია, იოზილი, რონალდო - ბენზემა.*

**ატლეტიკო (4-3-2-1):** *კურტუა - პერეა, მირანდა, დომინგესი, ფილიპე - სუარესი, გაბი, დიეგო - რეიესი, არდა თურანი - ადრიან ლოპესი.*

ჩვენ შაბათის სამი მადრიდული შეხვედრა ვახსენეთ - გადავდივართ მესამეზე: „ალფონსო პერეს კოლისეუმზე" „ხეტაფე" ჩემპიონ „ბარსელონას" მასპინძლობს. სხვათა შორის, ოლიმპიური ჩემპიონი **ალფონსო პერესი**, ვისი სახელობისაცაა ეს სტადიონი, 10 წლის წინათ „ბარსას" ფეხბურთელი იყო. მართალია, „ბარსა" ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია ლა ლიგაში, მაგრამ კატალონიელები „რეალს" უკვე სამი ქულით ჩამორჩებიან. **ხოსეპ გვარდიოლას** წინაშე ასეთი ამოცანაა: „კლასიკომდე" „რეალი" კიდევ მეტი ქულით არ გაუშვეს წინ და, იქნებ, „ატლეტიკომაც" იყოჩაღოს...



ისე, როგორც ამ ეპიზოდში, ბოლო დროს დერბიში წინ მუდამ „რეალია"

გუშინ ცნობილი გახდა, რომ **ადრიანო კორეია** მწყობრშია და თამაში შეუძლია, ისევე, როგორც **დანი ალვეშს**. აი, **ანდრეს ინიესტა** აუცილებლად დააკლდება დღევანდელ მატჩს. მადრიდში 20 ფეხბურთელი გაემგზავრება, **ისააკ კვენკას** გარდა ყველა ძირითადი გუნდის წევრია. დანი ალვეშს ტრავმა არ ჰქონია, მან „მილანთან" მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა და „ხეტაფესთან" კვლავ დაუბრუნდება სასტარტოს.

საოცარი განცხადება გააკეთა „ბარსას" ვეტერანმა კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა**. მუნდიალის მწვერვალზე შებიჯების შემდეგ, მას თითქოს მობეზრებული ჰქონდა თამაში, ახლა კი აცხადებს, კიდევ ცხრა წელიწადი (დიახ, ზუსტად 9 თქვა) უნდა ვითამაშო ფეხბურთიო. არადა, კარლესი 33 წლისაა და ტრავმებსაც ხშირად იღებს.

„ხეტაფეს", რომელიც 10 ქულით მე-15 ადგილზეა, მაგრამ ბოლოადგილოსანს მხოლოდ ქულით უსწრებს, კვლავ „რეალიდან" ნათხოვარი **პედრო ლეონის** გარეშე მოუწევს თამაში. ნახევარმცველის საქმეები რა კარგად მიდიოდა, სანამ ის „ხეტაფეს" ლიდერი იყო. ახლა კი... „რეალში" გადავიდა, იქ ფეხი ვერ მოიკიდა და მუხლის მძიმე ტრავმაც მიიღო. დისკვალიფიკაცია აქვს **აბდელ ბარადას**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ხეტაფე (4-2-3-1):** *მოია - პ. რიოსი, რაფა, კატა დიასი, მანე - ლასენი, მიჩელი - ვალერა, სარაბია, კასტრო - მიკუ.*

**ბარსელონა (4-3-3):** *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - სანჩესი, მესი, ვილია.*

შაბათის პირველ მადრიდულ შეხვედრაში დედაქალაქის მემარცხენეების საყვარელი გუნდი, „რაიო ვალეკანო" „ვალენსიას" მასპინძლობს. სხვათა შორის, „ელვებს" 16 ქულა აქვთ, რამდენიც „ატლეტიკოს", თუმცა თუ „როხი-ბლანკოსთვის" ეს ცუდი შედეგია, „რაიო ვალეკანოს" ხელმძღვანელობა მიღწეულით კმაყოფილია. „ლოს ჩე" 24 ქულით მესამეა და ნელ-ნელა წინ უშვებს გრანდებს და საჩემპიონო დოლში მონაწილეობის შანსსაც.

„რაიოს" დაცვას ბრწყინვალე ფორმაში მყოფი **რობერტო სოლდადოს** წინააღმდეგ მოუწევს თამაში. 26 წლის ფორვარდმა „რეალს" დუბლი შეუსრულა, ხოლო „გენკს" ჩემპიონთა ლიგაზე - ჰეთ თრიკი. ამბობენ, სოლდადო შეიძლება დაასვენონო და მის ნაცვლად სასტარტოში **არიც ადურისი** ვიხილოთ, თუმცა ჩვენ ნაკლებად ვვარაუდობთ მოვლენათა ასეთ განვითარებას. „ლამურებს" კვლავ აკლიათ **ჰედვიგეს მადურო, სერხიო კანალესი** და **ევერ ბანეგა**.

**ვალენსია** (სავარაუდო): *გუაიტა - მიგელი, დეალბერტი, რუისი, ალბა - თოპალი, ტ. კოსტა - პ. ერნანდესი, პარეხო, პიატი - სოლდადო (ან ადურისი).*

კვირის მატჩებში „ბეტისი", რომელსაც შესანიშნავი სტარტის შემდეგ მწვავე კრიზისი უდგას, კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში მყოფ „რეალ სოსიედადს" მასპინძლობს, ვისაც არ ეყოლება ლიდერი **ჩაბი პრიეტო**; „ლევანტე" ლიდერთა ჯგუფში დარჩენას (ახლა მე-4 ადგილზეა) „სპორტინგის" დამარცხებით შეეცდება; „მალიორკა" ბოლოადგილოსან „რასინგს" მასპინძლობს; „ესპანიოლი" - „ოსასუნას"; შედარებით იოლი მეტოქე ეყოლება „ბილბაოს", წლეულს აღზევებული „გრანადა"; საინტერესო დაპირისპირებას ველით არაგონის დედაქალაქში, სადაც „სარაგოსა" „სევილიას" მიიღებს. დაბოლოს, ორშაბათს მეხუთეადგილოსანი „მალაგა" ლაზარეთად ქცეულ „წყალქვეშა ნავ", „ვილიარეალს" დაუხვდება...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




## გუშინ

| უდინეზე-რომა | 2:0 |
|---|---|

## დღეს:

**ლეჩე-კატანია 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** სპოლი (კატ).
**ტრავმა:** ჯაკომაცი, კაროციერი, მესბა, დიამუტენე, დი მიკელე – სუაზო, ალვარესი.

**ნოვარა-პარმა 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** მეჯორინი (ნოვ).
**ტრავმა:** პაჩი, მორიმოტო, უიკანი, ლისუძო – ფლოკარი, მოდესტო, გობი, ვალდესი.

**ატალანტა-ნაპოლი 23.45**

**ტრავმა:** კაპელი, ბრიგი, კაზერტა – დონადელი.

**ლაციო-იუვენტუსი 23.45**

**ტრავმა:** დელ ნერო, მაური, გარიდო, ბიძარი, დიასი, კოზაკი, მაკინვა, მათუზალემი – მანინგერი.

## ხვალ:

**კალიარი-ბოლონია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მუდინგაი (ბოლ).
**ტრავმა:** ელ ქაბირი, ასტორი, ერიკსონი, ნენე – კრუზი, პერესი.

**ჩეზენა-ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლაურო – ანტონელი.
**ტრავმა:** გეზალი, მარტინესი, კოლუჩი, კანდრევა, კოლი – ზე ედუარდო, ბოვო.

**პალერმო-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბალცარეტი (პალ).
**ტრავმა:** ერნანდესი – კასანი, კროლდრუპი, იოვეტიჩი.

**სიენა-ინტერი 18.00**

**ტრავმა:** ვერგასოლა, გროსი, კალაიო, ბრკიჩი – მუნტარი, ფორლანი, ვივიანო, მაიკონი, სნეიდერი, ლუსიო.

**მილანი-კიევო 23.45**

**ტრავმა:** გატუზო, ფლამინი, კასანო, ნესტა – სარდო, მორერო, კრუსადო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 12 | 7 | 3 | 2 | 15-6 | 24 |
| 2. იუვენტუსი | 10 | 6 | 4 | 0 | 18-7 | 22 |
| 3. ლაციო | 11 | 6 | 4 | 1 | 16-8 | 22 |
| 4. მილანი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-14 | 21 |
| 5. რომა | 12 | 5 | 2 | 5 | 15-14 | 17 |
| 6. პალერმო | 11 | 5 | 1 | 5 | 14-15 | 16 |
| 7. ნაპოლი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-7 | 15 |
| 8. ჯენოა | 10 | 4 | 3 | 3 | 14-12 | 15 |
| 9. კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 10-12 | 15 |
| 10. პარმა | 11 | 5 | 0 | 6 | 14-18 | 15 |
| 11. სიენა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-10 | 14 |
| 12. კატანია | 11 | 3 | 5 | 3 | 13-18 | 14 |
| 13. ატალანტა | 11 | 5 | 4 | 2 | 15-14 | 13 |
| 14. ფიორენტინა | 11 | 3 | 4 | 4 | 10-9 | 13 |
| 15. კალიარი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-12 | 13 |
| 16. ინტერი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-17 | 11 |
| 17. ბოლონია | 11 | 3 | 1 | 7 | 9-17 | 10 |
| 18. ლეჩე | 11 | 2 | 2 | 7 | 9-18 | 8 |
| 19. ნოვარა | 11 | 1 | 4 | 6 | 12-20 | 7 |
| 20. ჩეზენა | 11 | 1 | 3 | 7 | 4-13 | 6 |

*შენიშვნა:* ატალანტა - 6 ქულა

ბომბარდირები: 9 - დენისი (ატალანტა); 8 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - ჯოვინკო (პარმა); 6 - კლოზე (ლაციო).

● სერია A. XIII ტურის წინ

# ლიდერთა ჯახი ოლიმპიკოზე

**იქიდან** გამომდინარე, რომ შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის პაექრობები დაგეგმილი არ არის, სერია A-ს XIII ტური სამ დღეზე გაიწერა – გუშინ, ერთმანეთის პირისპირ "უდინეზე" და "ლაციო" წარსდგნენ, დღეს კი ერთბაშად ოთხი შეხვედრა გაიმართება. დღევანდელი დღის და მთლიანად ტურის ცენტრალური პაექრობა რომის ოლიმპიურ სტადიონზე შედგება, სადაც ერთმანეთს "ლაციო" და "იუვენტუსი" დაუპირისპირდებიან. ორივე გუნდს 22 ქულა აქვს მარაგში და სწორედ ისინი უდგანან სატურნირო ცხრილს სათავეში. ამასთან, ტურინულ გრანდს ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული. მოკლედ, "ოლიმპიკოზე" ყველა თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი მატჩი შედგება და ტურის წინასიტყვაობის დიდი ნაწილიც სწორედ რომაულ ჯახს უნდა დავუთმოთ. შევიხედოთ გუნდების ბანაკში და ისე განვავრცოთ თემა...

### ლაციო

**სავარაუდო ტაქტიკა:** 4-3-1-2

**სავარაუდო შემადგენლობა:** მარკეტი – კონკო, სტანკევიჩუსი, დიაკიტე, რადუ – ბროკი, ლედესმა, ლულიჩი – ერნანესი – კლოზე, როკი.

"ლაციო" საკმაოდ სერიოზული დანაკლისით ხვდება "იუვენტუსთან" პაექრობას – **ედუარდო რეიას** ყველა რგოლში აკლია ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი ეს დაცვის ხაზზე ითქმის. ლაზარეთშია **დიასი** და მის ადგილს დაცვის ცენტრში **სტანკევიჩუსი** დაიკავებს. მცირე ტრავმა აქვს **ბიავას**, რომელიც სავარაუდოდ სათადარიგოთა სკამზე იქნება და თუ **კონკომ** ძალიან აურია, იმ შემთხვევაში ჩაერთვება თამაშში. კვლავ ტრავმირებულია **სტეფანო მაური**, რომელიც გასულ სეზონში გუნდის ლიდერი გახლდათ – აპენინელ ჟურნალისტთა ცნობით, სტეფანოს თებერვლამდე მოუწევს ლაზარეთში ყოფნა. ყველაზე საინტერესო მაინც თავდასხმის ხაზია, სადაც სიახლეა: თუ აქამდე რეია **მიროსლავ კლოზესა** და **ჯიბრილ სისეს** ტანდემს წყალობდა, ამჯერად ძირითად თერთმეტეულში **ტომაზო როკის** გამოჩენას უნდა ველოდოთ. ვეტერანი ფორვარდი სისეს ადგილს დაიკავებს, რომელსაც არ უდგას კარგი დროება და იქნებ რეზერვში გადანაცვლებით მაინც გამოფხიზლდეს.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე ედი რეიამ შემადგენლობაზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა სტრატეგია გაამხილა და არ დაუმალავს, რომ მისი გუნდი პირველივე წუთებიდან შეუტევს: *"საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ბუნებრივია, რომ აქტიურად შევუტევთ. ნეაპოლში მეტწილად დაცვაში გვიწევდა ყოფნა, რაც მეტოქის კარგმა თამაშმა განაპირობა – არ უნდა დავუშვათ, რომ იმავე "იუვენტუსთანაც" მოხდეს. ეს ყველაფერი ნახევარმცველთა ასპარეზობაზეა დამოკიდებული და დიდი იმედი მაქვს, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევენ. ძირითად შემადგენლობაზე ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერ მე თვითონაც არ ვარ ჩამოყალიბებული – რამდენიმე ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობაც საკითხავია, ასე რომ, ჯერჯერობით საინტერესოს ვერაფერს გეტყვით".*

### იუვენტუსი

**სავარაუდო ტაქტიკა:** 4-2-3-1

**სავარაუდო შემადგენლობა:** ბუფონი – ლიხტშტაინერი, ბონუჩი, ბარცალი, კიელინი – ვიდალი, პირლო – მარკიზიო, პეპე, ვუჩინიჩი – მატრი.

იშვიათად "იუვენტუსის" ლაზარეთი ასეთი ცარიელი იყოს, რაზეც მატჩისწინა ბრიფინგზე თვით **ანტონიო კონტემ** ისაუბრა – მოვუსმინოთ "იუვეს" მთავარ მწვრთნელს და შემდეგ განვავრცოთ თემა:

*"მეტოქე აუცილებლად აქტიურად შემოგვიტევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ჩემი აზრით, დღესდღეობით "ლაციო" საუკეთესო იტალიური გუნდების სამეულში შედის და გამომდინარე აქედან, ურთულესი ბრძოლის მოლოდინში ვარ. ძალიან ძნელია გაუმკლავდე ისეთ ფორვარდს, როგორიც მიროსლავ კლოზეა და ამავდროულად, მეტოქის კართან ხიფათის შექმნაზე იზრუნო. მოკლედ, დიდი გამოცდა გველის, რომელსაც იმედია წარმატებით ჩავაბარებთ. ტრავმირებული ფეხბურთელები პრაქტიკულად აღარ გვყავს, რაც ასეთი პრინციპული მატჩის წინ უმნიშვნელოვანესი ამბავია. ძირითად შემადგენლობას თამაშის დაწყებამდე ორი საათით ადრე დავასახელებ, ასე რომ, ტყუილად ამ თემაზე კითხვებს ნუ დამისვამთ".*

იტალიელ ჟურნალისტებს კითხვების დასმა დიდად არ სჭირდებათ, ისედაც თამამად აკეთებენ პროგნოზებს – თუ "გაძეტა დელო სპორტს" დავუჯერებთ, "ლაციოსთან" ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი კვლავაც **ალესანდრო მატრი** იქნება, მის უკან კი **კლაუდიო მარკიზიო, მირკო ვუჩინიჩი** და **სიმონე პეპე** გაირჯებიან. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, არათუ ძირითადს, სულაც განაცხადს მიღმა რჩება **მილოშ კრასიჩი**, რომლის სხვა გუნდში გადაბარგების შანსებზეც დიდი ხანია საუბრობენ. ფაქტია, რომ კონტე არ სწყალობს კრასიჩს და თუ ასე გაგრძელდა, სერბს გარემოს გამოცვლაზე მოუწევს ფიქრი. ზოგადად, განაცხადს მიღმა დარჩენილ ფეხბურთელთა ჩამონათვალი საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება და რაც მთავარია, ტურინელთა სატრანსფერო გეგმების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის – მოკლედ, სავარაუდო სასტარტო თერთმეტეული ზემოთ ნახეთ, ტრავმირებულთა ჩამონათვალსაც იხილავდით, ბოლოს კი სწორედ მწვრთნელისგან ათვალწუნებულ ფეხბურთელთა სიას გადავხედოთ: კრასიჩი, **იაკვინტა, ამაური, მოტა, გროსო, სორენსენი, ელია, ტონი, ესტიგარიბია.**

"ბარსელონასთან" დამარცხებული "მილანი" საკუთარ მოედანზე "კიევოს" მიიღებს და რა თქმა უნდა, მეტოქის მიწასთან გასწორებას შეეცდება. მართალია, ლომბარდიელებმა კატალონიურ გრანდთან ღირსეულად ითამაშეს და სარეაბილიტაციოდ დიდად არ აქვთ საქმე, მაგრამ მაინც ნირწამხდარნი არიან და ხასიათის გამოკეთებას ვერონელებთან შეეცდებიან. "გაძეტას" მტკიცებით, შეტევის წინა ხაზზე კვლავაც **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **რობინიოს** ტანდემს ვიხილავთ, **ალეშანდრე პატო** კი სავარაუდოდ ანტრაქტის შემდეგ ჩაერთვება თამაშში. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ "ბარსელონასთან" დაშავებული **სანდრო ნესტა** დაახლოებით სამ კვირას გამოტოვებს და შესაბამისად, ვერც "კიევოს" წინააღმდეგ შეძლებს თამაშს. სავარაუდოდ, **ტიაგო სილვას** დაცვის ცენტრში **დანიელე ბონერა** შეუწყვილდება. მილანელთა მთავარი მწვრთნელის, **მასიმილიანო ალეგრის** თქმით, ლიდერთა ურთიერთშეხვედრის ფონზე, სამი ქულის მოპოვება მისი გუნდისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

მიუხედავად იმისა, რომ "ინტერი" სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მე-16 ადგილზეა, ამ გუნდის მიმართ ინტერესი მაინც ძალიან დიდია. "ნერაძური" სიენაში ჩადის, სადაც ბოლო წლებში არაერთხელ გაიფორმა სკუდეტო – სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება **მასიმო მორატიმ** და შემდეგი განაცხადა: *"ამ ქალაქში ჩამოსვლა ძალიან მიყვარს, რადგან აქ სკუდეტოები გვაქვს მოგებული. იმედია, "სიენას" კიდევ ერთხელ დავამარცხებთ და გავაგრძელებთ წარმატებულ სვლას, რომელიც "კალიარის" ძლევით დავიწყეთ".*

კიდევ ერთხელ უნდა დავესესხოთ "გაძეტა დელო სპორტს" და აღვნიშნოთ, რომ **კლაუდიო რანიერი** "ინტერისთვის" უჩვეულო, სრულიად ახალ ტაქტიკას ამუშავებს – სავარაუდოდ, "ნერაძური' "სიენას" 4-1-4-1 სქემით შეერკინება. ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ჯამპაოლო პაცინი** იქნება, მის უკან შემდეგი ოთხეული გაირჯება: **ტიაგო მოტა, რიკი ალვარესი, დეიან სტანკოვიჩი** და **მაურო სარატე**. ვნახოთ, რა გამოვა ამ ყველაფრისგან.

**ლაშა წიკლაური**









ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ნიცას ტურნირი.

# ნიცას ვერცხლი

ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა ვერცხლის ორი მედალი მოიპოვეს ფრანგულ ნიცაში გუშინ დაწყებულ ოლიმპიურ ჩემპიონ ანრი დელანის მემორიალში. ტურნირის ვიცე-ჩემპიონები **მუხრან მაჭუტაძე** (66) და **რევაზ ნადარეიშვილი** (96) გახდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში ორივე რუს მეტოქესთან დამარცხდა.

დელანის მემორიალი არც ისე ძლიერი გამოდგა, როგორც ველოდით - ძალიან ცოტა მონაწილე გამოდის. მაგალითად, 66-ში სულ 5 ფალავანი ასპარეზობდა, 84-ში - 4. სამწუხაროდ, უშუალოდ ორთაბრძოლების შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ოფიციალურ საიტზე წინასწარი ოქმების შემდეგ მონაცემები არ განუახლებიათ, თუმცა ნაწილობრივ ამ მწირი ინფორმაციის, ნაწილობრივ კი რუსული საჭიდაო ფორუმების დახმარებით ის მაინც გავიგეთ, დაახლოებით ვის შეხვდნენ ჩვენები. მაჭუტაძემ გერმანელი **მარკ ვენცკე**, ფრანგი **არტაკ მარგარიანი** და რუსი **რასულ მურთაზალიევი** დაამარცხა, აი, ვისთან წააგო, ეს კი არ ვიცით. ისე, რუსებს ამ წონაში მეორე კაცად ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ისლამ-ბეკ ალბიევი** ეწერათ.

ნადარეიშვილზე დაზუსტებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ პირველ წრეში ამერიკელ **შაუნ სკოტს** აჯობა, აი, რუსებიდან **სოსრუკო კოძოკოვსა** და **ზაურ კარეჟევს** როგორ ეჭიდავა, ხვალ თუ გავიგებთ, მაგრამ ფაქტია, ერთთან მოიგო, მეორესთან წააგო და მეორეზე დარჩა.

გუშინ ამ ორი წონის გარდა 55 და 120 კილოგრამების ფალავნებიც ჭიდაობდნენ, მაგრამ ჩვენ იქ მონაწილეები არ გვყავდა. დღეს ჩვენგან **ქემალ ხარაბაძე** (60), **გენადი გოგიშვილი, ზურაბ დათუნაშვილი** (ორივე - 74), **ირაკლი ქაჯაია** და **სანდრო დიხამინჯია** (ორივე - 96) იჭიდავებენ.

**ირაკლი თავაძე**





## მთასვლელობა

# მესტიელი მეკლდეურების წარმატება

მესტიაში ხელოვნურ კედლებზე მეორედ ჩატარდა მიხეილ ხერგიანის ტრადიციული მემორიალი მეკლდეურობაში საქართველოს რამდენიმე და აზერბაიჯანის ორი გუნდის მონაწილეობით. 9 გუნდს შორის ფავორიტებად თბილისისა და მესტიის ნაკრებები მიიჩნეოდა და გამართლდა კიდეც პროგნოზი. გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მესტიის პირველმა გუნდმა მოიპოვა (მწვრთნელები **ავლან ნავერიანი** და **მიხეილ მჭედლიანი**). მათმა შეგირდებმა ყველაზე მეტი — შვიდი მედალი მოიპოვეს პირად ჩათვლაში, მეორე ადგილზე თბილისის I გუნდი გავიდა, მესამეზე — მესტიის II ნაკრები.

ხელოვნური კედლების კომპლექსი მესტიის სპორტდარბაზში ზუსტად ერთი წელია რაც მოეწყო და ამ მცირე პერიოდში გამოვლინდა პერსპექტიული ახალგაზრდების ჯგუფი.

### ტექნიკური შედეგები

**პირადი. სწრაფი ცოცვა. გოგონები**: 1. მარიანა იოსელიანი, 2. მარი ქურდიანი, 3. მელანო გუჯეჯიანი (სამივე — მესტია). **ვაჟები:** 1. ლაშა მითაიშვილმა (თბილისი II), 2. სემეონ ფილფანი 3. გიორგი ჯაფარიძე (ორივე — მესტია I). **რთული ცოცვა** (ჩატარდა სამ ეტაპად). **ვაჟები**: 1. ალმაცგირ კვიციანი, 2. გიორგი გაბულდანი (ორივე — თბილისი I), 3. მიხეილ ნადირაძე (თბილისი II). **გოგონები:** 1. თამუნა მელაძე (თბილისი I), 2. ფატი იოსელიანი (11 წლის, ყველაზე უმცროსი მონაწილე) 3. მარიანა იოსელიანი (ორივე — მესტია I).

მიხეილ ხერგიანის სახელობის გარდამავალი თასი მესტიის I ნაკრებს გადაეცა.

სასიხარულოა, რომ ორივე სახეობაში, როგორც ვაჟთა ასევე გოგონათა შორის, საპრიზო ადგილების უმეტესობა 18 წლამდე ასაკის მეკლდეურებმა მოიპოვეს.

დაჯილდოვება მოეწყო მიხეილ ხერგიანის სახლმუზეუმში, სვანური სიმღერების ფონზე. გამარჯვებულებს და პრიზიორებს მედლები, თასები და ფულადი პრიზები გადასცეს სტუმრებმა: საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა **ალექსანდრე ხეთაგურმა,** საქართველოს ვაჭრობის პალატის თავმჯდომარემ **კახა ბაინდურაშვილმა,** მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელმა **შმაგი ნაკანმა** და სამეგრელო—ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილემ **ერეკლე ჯაფარიძემ.**

საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია დიდ მადლობას უხდის მესტიის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ შმაგი ნაკანს, მის მოადგილეს — გოჩა ქალდანს, კულტურისა და სპორტის სამსახურს, საკრებულოს თავმჯდომარეს გოჩა გვარლიანს, იმ დახმარებისა და თანადგომისათვის, რომელიც მათ გაგვიწიეს მემორიალის ჩატარებაში, მისი ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხების მოგვარებაში.

**ლადო გურჩიანი
ფედერაციის
გენერალური მდივანი**



## ჭადრაკი



მერი არაბიძე

# 18-წლიანებში ლიდერი შეიცვალა

ბრაზილიაში ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე სატურნირო მდგომარეობა დაიძაბა, განსაკუთრებით 18-წლიან გოგონებში, მას შემდეგ, რაც ერთპიროვნული ლიდერი და ტურნირის რეიტინგფავორიტი, რუსი დიდოსტატი **ალინა კაშლინსკაია** მე-7 ტურში უნგრელ პეტრა პაპთან დამარცხდა. მეტოქის წაგებით ისარგებლა ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა **მერი არაბიძემ,** — თეთრი ფიგურებით მონგოლ ალთანულზიი ენხთუულს აჯობა და 6-6 ქულით პაპთან ერთად სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. ამავე ტურში წარმატებას მიაღწია დინარა სადუაკასოვამ (ყაზახეთი) — კატრინ ტიოლსენი (ნორვეგია) დაჯაბნა და 5,5 ქულით კაშლინსკაიასთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: სარვინოზ კურბონბოევა (უზბეკეთი) — ნარმინ კაზიმოვა (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, კატარზინა ადამოვიჩი (პოლონეთი) — ან ჩუმპიტაზი (პერუ) 0,5:0,5, ჩაზალ ჰაკიმიფარდი (ირანი) — კაროლინა ოლსაროვა (ჩეხეთი) 1:0, ფლავია კანკიო-ბელო (კუბა) — ხაიალა აბდულა (აზერბაიჯანი) 0:1, დიანა ბასიუ (მოლდოვა) — თი კიმ ჰუნგ ვო (ვიეტნამი) 1:0. რვა მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს.

მე-8 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: პაპი — არაბიძე, სადუაკასოვა — კაშლინსკაია, ჩუმპიტაზი — ჰაკიმიფარდი, კაზიმოვა — ადამოვიჩი, აბდულა — კურბონბოევა, ენხთუული — ბასიუ.

14-წლიანებში წარმატებით ითამაშა **ნინო ხომერიკმა,** რომელმაც სიუ სიაოუს ძლევით გათამაშების ცხრილში მე-4 გამარჯვება ჩაიწერა, თუმცა მან საპრიზო ადგილების შანსი დაკარგა, რადგან ამ ასაკში ერთპიროვნულ ლიდერს — რუს ალექსანდრა გორიაჩკინას 7 ქულა აქვს, 6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ირანელი სარასადათ ხადემალშარი და ამერიკელი სარაჰ ჩიანი ინაწილებენ. მომდევნო სამ მოჭადრაკეს 5,5-5,5, ექვს მონაწილეს კი 5-5 ქულა აქვს. 16-წლიან გოგონებში 6,5-6,5 ქულით ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი) და ანდრეა როდრიგესი (კოლუმბია) მეწინავეობენ, 12-წლიანებში 6,5 ქულით ყაზახი ჟანსაია აბდუმალიკი, 10-წლიანებში კი ამდენივე ქულით რუსი ალექსანდრა ობოლენცევა ლიდერობს.

**ვაჟა დანელია**

# დაწინაურდა სტრუტინსკაია

ხორვატიაში სენიორ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. გუშინ მე-10 ტურში **ნონა გაფრინდაშვილი** შავი ფიგურებით ელენა ფატალიბეკოვას დაუზავდა. ასევე ყაიმზე შეთანხმდნენ რიმა ბილუნოვა-ლუდმილა საუნინა, ნინო მელაშვილი-ნატალია ტიტორენკო, გალინა სტრუტინსკაიამ - სვეტლანა მედნიკოვა, სეით ტიფსეიმ კი თამარ ხმიადაშვილი დაამარცხა.

ბოლო ტურის წინ სტრუტინსკაია 7,5 ქულით დაწინაურდა. 7-7 ქულით გაფრინდაშვილი, მელაშვილი და საუნინა მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფენ. მე-11 ტურში ითამაშებენ: ტიტორენკო-სტრუტინსკაია, საუნინა-ფატალიბეკოვა, გაფრინდაშვილი-ბილუნოვა, მირა-მელაშვილი, ჩირეიკინა-ტიფსეი. ჩემპიონატის გამარჯვებულებსა და პრიზიორებს ამ ორთაბრძოლათა შედეგები გამოავლენს. ხმიადაშვილი, რომელმაც მედლის მოპოვების შანსი დაკარგა, კაბანოვას დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

## ბატუტზე ხტომა

# მედლებს ვერ შესწვდნენ

ბრიტანულ ბირმინგემში გუშინ ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე 13-14 წლის სპორტსმენებმა მოსინჯეს ძალები. გოგონებში საკვალიფიკაციო ეტაპზე 59 მონაწილეს შორის შესანიშნავად იასპარეზა 12-წლიანებში შარშანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ანა ოდიშვილმა,** რომელმაც 50.975 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მას 0,015 ქულით ჩამორჩა ფრანგი ლეა ლაბრუსი, 49.435 ქულით მესამე იყო რანა ნაკანო (იაპონია). თბილისელმა **თეონა ჯანჯღავამ** 48.345 ქულით მე-9 ადგილი დაიკავა — ფინალში შესასვლელად 0.035 ქულა არ ეყო.

ამ ასაკის ბიჭებში 52 მონაწილე იყო. ქართველმა მხტომელმა **ზურაბ ნოზაძემ** 52.230 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა და გადამწყვეტ ეტაპში ასპარეზობის უფლება მიიღო. სამწუხაროდ, ფინალში ჩვენი სპორტსმენები მედლებს ვერ შესწვდნენ: გოგონებში ოდიშვილმა 49.525 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა. ჩემპიონობა 50.165 ქულით ლაბრუსმა მოიპოვა. ვაჟებში ნოზაძე 51.770 ქულით მე-6 ადგილით დაკმაყოფილდა. აქ ყველას რუსმა ოლეგ სელიუტინმა აჯობა – 54.785 ქულა.

■ ■ ■

ბირმინგემში ბატუტზე მხტომელთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში გასულ კვირას პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი, თბილისელი **ლუბა გოლოვინა** ფინალში ვერ მოხვდა (მე-12 ადგილზე გავიდა), ამიტომ უსაგზუროდ დარჩა, თუმცა საამისოდ შანსი კიდევ ერთხელ მიეცემა – გაისად 13 იანვარს ლონდონის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს იმ სპორტსმენებთან ერთად, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მეცხრე-ოცდამეორე ადგილები დაიკავეს. ისინი ხუთ საგზურს გაითამაშებენ, დანარჩენ სამს (ოლიმპიურ თამაშებში 16-16 ქალ-ვაჟი მონაწილეობს) საერთაშორისო ფედერაცია გაანაწილებს.

შეგახსენებთ, რომ ბირმინგემში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა პეკინის თამაშების გამარჯვებული ჩინელი ჰი ვიენა (56.275). ბრინჯაოს მედალიც მისმა თანამემამულემ, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ლი დანმა (55.330) დაიმსახურა. მეორე ადგილი კანადელ როსანა მაკლენანს (55.3609) ხვდა. მან კვარცხლბეკზე შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა. ათენის ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანიის სახელით მოასპარეზე ქართველი **ანა დოლონაძე** მეექვსე იყო, სამაგიეროდ, მან სინქრონულ ხტომებში ჯესიკა საიმონთან ერთად იყოჩაღა — 48.100 ქულით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, კანადელები და ბრიტანელები — კარენ კოკბურნი — როსანა მაკლენანი (47.600) და კატრინ დრიქსოლი — ამანდა პარკერი (47.000) გავიდნენ.

**ვაჟა დანელია**

## თავისუფალი ჭიდაობა

# ქუთაისი—სომხეთი 12:12

ქუთაისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მურად დოხტურაშვილისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზაურ შეყრილაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1995-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საქართველოს რეგიონების წარმომადგენლებთან ერთად შეჯიბრებაში სომხეთის სამი გუნდიც მონაწილეობდა. ქუთაისის სპორტის სასახლის სარბიელზე სულ 190-მა მოჭიდავემ სცადა ძალები 15 წონით კატეგორიაში. განსაკუთრებით წარმატებით გამოვიდნენ ქუთაისის (3 ოქრო, 2 ვერცხლი, 7 ბრინჯაო), ამბოლაურის (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯაო) და სამტრედიის (3 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო) გუნდები. აღსანიშნავია კადეტთა შორის ევროპის პრიზიორის **ომარ გურგიძის** კარგი ჭიდაობა, რომელმაც 69კგ წონითი კატეგორიის ფინალში სომხეთის წარმომადგენელი **არტურ აირაპეტიანი** დაამარცხა და ტურნირის გამარჯვებული გახდა. უკმაყოფილო სომხებიც არ დარჩენილან, მათმა მოჭიდავეებმა ქუთაისელთა დარად 3 პირველი, 2 მეორე და 7 მესამე ადგილი დაიკავეს.

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:** **26 კგ** — გიორგი ჭოლაძე (ქუთაისი); **29კგ** — გიორგი ელბაქიძე (ამბროლაური); **32კგ** — ლადო გამყრელიძე (ამბროლაური); **35კგ** — ბექა ლომიძე (საჩხერე); **38კგ** — ედემ ბოლქვაძე (სამტრედია); **42კგ** — შმაგი თოდუა (სამტრედია); **46კგ** — ვაგინაკ მატევოსიანი (სომხეთი); **50კგ** — გიორგი ლეჟავა (სამტრედია); **54კგ** — სირენაკ ავდალიანი (სომხეთი); **58კგ** — აკოფ ავეტისიანი (სომხეთი); **63კგ** — ცოტნე ყურაშვილი (აფხაზეთი); **69კგ** — ომარ გურგიძე (ქუთაისი); **76კგ** — გიორგი კეთილაძე (ქუთაისი); **85კგ** — მიხეილ ლობჟანიძე (საჩხერე); **+85კგ** — ილია გზირიშვილი (თბილისი.

**დავით კოხრეიძე ქუთაისიდან**

## სუმო. კიუშუს ბაშო. 13-27 ნოემბერი

# ჰაკუჰო ჩემპიონია

იაპონიის თვალწინ შეგვარცხვინეს ჩვენმა სუმოისტებმა - ზედიზედ 6 დღეა სამივე, დაბარებულივით, აგებს. კიუშუს ბაშოს დაწყებიდან **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე), გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** და **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** 39 ორთაბრძოლიდან 35 წააგეს!

გუშინ დიდმა მონღოლმა ჰაკუჰომ ზედიზედ მე-13 მოგება იზეიმა და იმპერატორის ტიტული კარიერაში 21-ედ მოიგო. **ჰაკუჰო** ანუ **მუნხბატ დავააჯარგალი** 26 წლისაა, მას პროფესიულ სუმოში დებიუტი 2001 წელს ჰქონდა, 2006 წლიდან კი იკოძუნაა.

**XIII დღე**: ჰაკუჰო-კოტოოშუ (შიტატენაგე), ბარუტო-კისენოსატო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ (შიტატენაგე), კაკურიუ-ოკინოუმი (იორიკირი), ტოიონოშიმა-**გაგამარუ** (იორიკირი), ჰომაშო-არანი (ოშიდაში), გოეიდო-კიოკუტენჰო (იორიკირი), კიტატაიკი-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ამინიშიკი-ტოჩინოვაკა (ჰატაკიკომი), მიოგირიუ-იოშიკაძე (ოშიდაში), მიაბიამა-ტოიოჰიბიკი (ოკურიდაში), ასასეკირიუ-ტოკიტენკუ (სუსოჰარაი), ტაკეკაძე-სადანოფუჯი (ოშიდაში), ტაკაისუ-კაისეი (ოშიდაში), ვაკაკოიუ-შოჰოზანი (ჰიკიოტოში), ტაკარაფუჯი-**კოკაი** (უვატენაგე), ფუჯიაზუმა-ცურუგიდაკე (ოშიდაში), დაიდო-ტამავაში (უვატენაგე), ტენკაიჰო-საგაცუკასა (კოტენაგე), აოიამა-კიმურაიამა (ოშიდაში).



### სატურნირო მდგომარეობა

### 13-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

10-3: მიაბიამა (მაეგაშირა 6), ვაკაკოიუ (მ 9), აოიამა (მ 16)... 2-11: გაგამარუ (მ 3)... 1-12: ტოჩინოშინი (მ 2), კოკაი (მ 10).

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ჰარუმაფუჯი, ბარუტო-კოტოოშუ, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კაკურიუ-გოეიდო, კისენოსატო-ტოჩინოვაკა, **გაგამარუ**-ჰომაშო, კიოკუტენჰო-ოკინოუმი, **ტოჩინოშინი**-არანი, იოშიკაძე-საგაცუკასა, კიტატაიკი-მიოგირიუ, ტამავაში-**კოკაი**, მიაბიამა-აოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● კარატე-დო. რეგიონი

## ევროპის ჩემპიონებს შეხვედრა მოუწყვეს!

გუშინ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრა მოუწყვეს ლანჩხუთელ კარატისტებს, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ, თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწიეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. სპორტსმენებს ევროპის ჩემპიონობა მიულოცეს საკრებულოს თავმჯდომარე **რევაზ ჩიტიძემ,** მისმა მოადგილემ **ზვიად აფხაზავამ,** საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე **გოჩა ჯანაშიამ,** გამგეობის სპორტის სამსახურის უფროსმა **ირმა მგელაძემ,** სპორტის ცენტრის უფროსმა **მინდია დვალიშვილმა** და სხვებმა. ყველა მათგანმა გამოხატა აღფრთოვანება ჩემპიონების მიმართ, წარმატებები უსურვეს მათ და თანადგომას დაჰპირდნენ. *„ლანჩხუთში ყოველთვის პრიორიტეტი ფეხბურთი იყო, თუმცა ბოლო პერიოდში წარმატებებით გაგვანებივრეს კარატისტებმა და მათ აუცილებლად უფრო აქტიურად დავეხმარებით და გვერდში დავუდგებით“* — განაცხადეს მაღალჩინოსნებმა.

გურული ჩემპიონების მთავარმა მწვრთნელმა, **მერაბ თურქიამ** აღნიშნა, რომ წელს ლანჩხუთელმა კარატისტებმა 60-ზე მეტი პირველი ადგილი დაიკავეს. „მეორე და მესამე ადგილებს აღარ ვითვლით. მინდა ბიჭებს დიდი მადლობა გადავუხადო, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც გვერდში გვიდგანან“ — აღნიშნა მან.

აღნიშნულ შეხვედრაზე უნდა ჩამოსულიყო საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი **კახა ბასილია,** მაგრამ ქუთაისიდან გარკვეულ მიზეზთა გამო უკან მოუხდა დაბრუნება.

თურქეთის ქალაქ სტამბულში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მსოფლიოს 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, საქართველოს 60 სპორტსმენიდან 6 ლანჩხუთელი გახლდათ და ყველა მათგანი ევროპის ჩემპიონი გახდა: 9 წლის **გიორგი ჩხაიძე,** 10 წლის **გუგა ივანაშვილი** (იგი ერთდროულად სამი ოქროს მედლის მფლობელი გახდა!), 11 წლის საბა გოგოძე, 12 წლის გიორგი კეჭეხმაძე, 13 წლის **დათო წილოსანი** და **თორნიკე ცინცაძე.**

საერთო ჯამში, ლანჩხუთელებმა 8 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს! შეჯიბრი ჩატარდა სამ დისციპლინაში — კონტაქტურ და სპორტულ კარატეში, ასევე გუნდური პირველობაც გათამაშდა.

გიორგი ჩხაიძემ კონტაქტურ კარატეში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო სპორტულში — მხოლოდ ფინალი წააგო.

გუგა ივანაშვილმა 3 პირველი ადგილი აიღო — იგი ევროპის ჩემპიონი გახდა როგორც კონტაქტურ, ასევე სპორტულ კარატეში. მანვე, გუნდურ შეჯიბრებაში, როგორც ლანჩხუთელთაგან გამორჩეულმა, საქართველოს ნაკრების ღირსება დაიცვა და გადამწყვეტი გამარჯვებაც სწორედ მის ანგარიშზეა — გუგამ ამ მოგებით მესამე ოქროს მედალი დაისაკუთრა.

საბა გოგოძე ევროპის ჩემპიონი გახდა კონტაქტურ ბრძოლაში.

გიორგი კეჭეხმაძე ჩვენებურთაგან ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ — კონტაქტურში ის ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო სპორტულ კარატეში ევროპის ჩემპიონი გახდა.

დათო წილოსანი და თორნიკე ცინცაძე ასევე ევროპის ჩემპიონები გახდნენ — ორივე კონტაქტურ კარატეში გამოირჩა.

დათომ, თორნიკემ და გიორგიმ 13-წლამდელთა ნაკრების სახელითაც იასპარეზეს და არაობიექტური მსაჯობის წყალობით გამოთიშეს ასპარეზობას. არადა, ჩვენებურებმა მსოფლიოს ჩემპიონ თურქებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს - თორნიკე მსაჯმა დაჩაგრა, რაც გუნდს წაგებად დაუჯდა.

მოკლედ, ევროპის პირველობაზე მოასპარეზე 6 ლანჩხუთელიდან ყველა გახდა ჩემპიონი! სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ მათმა მწვრთნელმა, მერაბ თურქიამ ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე უპრინციპულეს, მათ შორის, ფინალურ მატჩებშიც იმსაჯა.

ზემოთ ნახსენები შედეგებიდან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ გურულმა სპორტსმენებმა სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურეს. ისინი ახლა მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან, რომელიც მოსკოვში 23-25 ნოემბერს გაიმართება. რუსეთის კარატეს ფედერაციის პრეზიდენტს უთქვამს, გურულები ისეთი წარმატებით გამოხვედით, ქვეყნის სტატუსიც გეკუთვნითო.

**მამუკა ქანთარია**
**ლანჩხუთიდან**

● ძიუდო

## რა სჯობს ობიექტურ მსაჯობას

ქარელის სასპორტო სკოლის შოთა ხაბარელის სახელობის დარბაზმა ამ დღეებში ძიუდოში კოკა როინიშვილის ხსოვნის ტრადიციულ ტურნირს მეთერთმეტედ უმასპინძლა. 14 წონით კატეგორიაში, 1997-2000 წწ დაბადებული 200-მდე ნორჩი სპორტსმენი იბრძოდა წარმატებისთვის ხაშურის, ზესტაფონის, ცაგერის, წეროვანის დევნილთა დასახლების, გორის, თბილისისა და თვით მასპინძელთა გუნდების შემადგენლობაში. ყველაზე მეტი (ხუთი) გამარჯვებული გორელებს გაუხდათ. აღსანიშნავია, რომ მასპინძლები ცხრა წონითი კატეგორიის ფინალში გავიდნენ, თუმცა ყველა გადამწყვეტ დაპირისპირებაში ხელი მოეცარათ. ეს შესაძლოა უიღბლობასაც დაბრალდეს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ორგანიზატორები თავად იყვნენ მონდომებულები ორთაბრძოლები ობიექტურად ჩატარებულიყო (მთავარი მსაჯი იყო **მირზა ხაბარელი**). ორგანიზაციული მხარეს კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სპორტის სამსახურმა და ქარელის სასპორტო სკოლამ ჩინებულად გაართვეს თავი.

კვარცხლბეკი:

**24 კგ.** 1. გიორგი მეხრიშვილი (ხაშური), 2. ნოდარ ქოქაშვილი, 3. თორნიკე კუთხაშვილი და თენგო მღებრიშვილი (სამივე ქარელი);

**27 კგ.** 1. გიორგი ბედოშვილი (ხაშური), 2. ლაშა ვარძელაშვილი, 3. ბექა გაზაშვილი და გიორგი ლურსმანაშვილი (სამივე ქარელი);

**30 კგ.** 1. გოგა ვარდოსანიძე (ზესტაფონი), 2. გიორგი ლომიტაშვილი, 3. ავთო მეხრიშვილი (ორივე ქარელი) და გიორგი მეტრეველი (წეროვანი);

**33 კგ.** 1. საბა კაპანაძე (წეროვანი), 2. გაგა ბახტაძე (ზესტაფონი), 3. მამუკა კაბულაშვილი (გორი) და დიმიტრი ხუციშვილი (ჭიათურა);

**36 კგ.** 1. ზურა კახნიაშვილი (გორი), 2. ლევან გამრეკელაშვილი, 3. ოთარ შერაზადიშვილი (ორივე ქარელი) და ვახო მეტივიშვილი (ხაშური);

**39 კგ.** 1. თემო ნოზაძე (გორი), 2. თორნიკე ტიტვინიძე, 3. შალვა გაზაშვილი (ორივე ქარელი) და ვასილ ქერდიყოშვილი (გორი);

**42 კგ.** 1. რობიკო ბეგლარიშვილი, 2. ალეკო მამიაშვილი (ორივე გორი), 3. ზვიად ბერუაშვილი (ქარელი) და ფრიდონ ბახტაძე (ზესტაფონი);

**46 კგ.** 1. შოთა ბესიაშვილი (თბილისი), 2. ზურა გეგელაშვილი, 3. ბექა მულაძე (ორივე ქარელი) და ლვთისო ხოტივრიშვილი (ხაშური);

**50 კგ.** 1. ირაკლი ჯვანიაშვილი (ზესტაფონი), 2. ლუკა მაისურაძე 3. გიორგი გვარამაძე (ორივე ხაშური) და გიორგი ასტამაძე (თბილისი);

**55 კგ.** 1. ვანო მახათაძე, 2. ირაკლი გოგატიშვილი, 3. ვიქტორ ოდიაშვილი (სამივე გორი) და შათირი შერაზადიშვილი (ხაშური);

**60 კგ.** 1. დიმიტრი ცაბაძე (თბილისი), 2. დიმიტრი ბზიშვილი (გორი), 3. აკაკი გელოვანი (ცაგერი) და ბექან სალაძე (ზესტაფონი);

**66 კგ.** 1. გიორგი მცურავიშვილი (გორი), 2. ნიკა სიდამონიძე, 3. გიორგი მულაძე (ორივე ქარელი) და გიორგი საცერაძე (ზესტაფონი);

**73 კგ.** 1. ნიკა სისვაძე (თბილისი), 2. დათო იმერლიშვილი (ქარელი), 3. შიო გოგელიძე (ზესტაფონი) და ოთიკო გურგენიძე (თბილისი);

**+73 კგ.** 1. გიორგი გველესიანი (თბილისი), 2. გიორგი ბორტიშვილი (ქარელი), 3. დავით გულბანი (თბილისი) და გიორგი კიკოლაშვილი (გორი).

გამარჯვებულებს და პრიზიორებს მედლები და თასები გადაეცათ.

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან

● ქვიმატი ობიექტივი



● საფეხბურთო ფილატელია










● თარიღი. 26 ნოემბერი - 2 დეკემბერი

**26. XI. 1967 წ.** შეიქმნა ფეხბურთში „გრიგორი ფედოტოვის კლუბი“.

**27. XI. 1964 წ.** დაიბადა **რობერტო მანჩინი** — ფეხბურთი (იტალია).

**28. XI. 1955 წ.** დაიბადა **ალექსანდრო ალტობელი** — ფეხბურთი (იტალია).

**29. XI. 1872 წ.** პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ჩაატარა ინგლისის ნაკრებმა. ეს იყო მატჩი შოტლანდიასთან, რომელიც 0:0 დასრულდა.

**29. XI. 1931 წ.** დაიბადა **იური ვოინოვი** — ფეხბურთი (რუსეთი).

**30. XI. 1960 წ.** დაიბადა **გარი ლინეკერი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**01. XII. 1922 წ.** დაიბადა **ვსევოლოდ ბობროვი** — ფეხბურთი (რუსეთი).

**02. XII. 1901 წ.** დაიბადა **რაიმონდო ორსი** — ფეხბურთი (იტალია, არგენტინა). გარდაიცვალა 1986 წელს.

**02. XII. 1948 წ.** დაიბადა **ანტონ პანენკა** — ფეხბურთი (ჩეხოსლოვაკია).

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში“.

● სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

## ქიშტბურთი

ქიშტბურთი, ფისტბოლი, ფ ა უ ს ტ ბ ა ლ ი (გერმ. ფაუსტ - მუშტი, ბალლ -ბურთი). გუნდური თამაში ბურთით. მონაწილეთა მიზანია, ბურთი მუშტის დარტყმით ისე ტყორცნონ მეტოქის მოედნისკენ, რომ მოწინააღმდეგემ მისი მოგერიება ვერ შეძლოს. მოთამაშეს უფლება აქვს ბურთს შეეხოს მხოლოდ მუშტით და მხრით. სიგრძით 50 და სიგანით 20 მეტრის ზომის მოედანი შუაზე გაყოფილია 2 მეტრის სიმაღლეზე გაჭიმული ფერადი ლენტით. ტყავის ბურთის გარშემოწერილობაა 65-71 სმ, წონა — 350-400 გ. თამაშობს ორი 5-5-კაციანი გუნდი. შეხვედრა შედგება ორი 15-15-წუთიანი ტაიმისგან. თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ინიშნება ორი დამატებითი 5-წუთიანი ტაიმი. ასე გრძელდება, სანამ რომელიმე გუნდი არ გაიმარჯვებს. დარტყმისას მოთამაშე ცალი ფეხით მაინც უნდა ეხებოდეს მოედანს. ბურთის მოწოდების შემდეგ სპორტსმენს შეუძლია მას მხოლოდ ერთხელ შეეხოს. ფრენბურთის მსგავსად, ბურთი შეიძლება 3-ჯერ გათამაშდეს გუნდის წევრებს შორის, სანამ მას მეტოქის ნახევარზე გადაისვრიან, ოღონდ, ფრენბურთისგან განსხვავებით, საკუთარ მოედანზე ნებადართულია მისი ერთხელ დაგდება, რაც შეცდომად არ ითვლება. იმარჯვებს გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს.

ქიშტბურთის ისტორია, სავარაუდოდ, ანტიკურ ეპოქაში იწყება. მის წინამორბედად მიჩნეულია თამაში, რომელსაც ძველ საბერძნეთში ეპისკირისი ერქვა. შუა საუკუნეებში მსგავს თამაშობას იტალიაში პალონე ალ ბრაჩიალე ეწოდებოდა. ეს თამაში XVII საუკუნეში გავრცელდა გერმანიაში, სადაც მისი ახალი ისტორია იწყება. 1880 წელს მიუნხენის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მოსამზადებელი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გეორგ ჰაინრიხ ვებერმა ქიშტბურთი სასწავლო პროგრამაში შეიტანა. 1896 წელს მანვე გამოაქვეყნა თამაშის წესები. 1921 წელს გაიმართა გერმანიის პირველი ჩემპიონატი ქიშტბურთში. 1945 წლის შემდეგ ორად გაყოფილ გერმანიაში შეჯიბრებები ცალ-ცალკე ტარდებოდა, მოქმედებდა ორი სხვადასხვა სპორტული ორგანიზაცია ერთი და იმავე სახელწოდებით — Deutschen Faustball-verband (გერმანიის ქიშტბურთის ასოციაცია). 1960 წელს დაფუძნდა ქიშტბურთის საერთაშორისო ფედერაცია (IFA). 1965 წელს გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატი, 1969 წელს კი — მსოფლიოს ჩემპიონატი. 1994 წლიდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის. გარდა გერმანიისა, ქიშტბურთი პოპულარულია ავსტრიაში, შვეიცარიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ჩეხეთში, არგენტინაში, ურუგვაიში, ბრაზილიაში, ჩილეში, ნამიბიაში, სამხრეთ აფრიკასა და იაპონიაში.



● პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საფეხბურთო კლუბი (ოფიციალური) დაარსდა ქ. შეფილდში 1857 წლის 24 ოქტომბერს. იმავე ქალაქში აშენდა პირველი საფეხბურთო არენა „ბრამალ ლეინი“ (1855).

**პირველმა** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა მოიგერია საფრანგეთის ნაკრების გოლკიპერმა **ალექს ტეპომ** 1930 წელს.

**პირველად** მოტოდრომი მსოფლიოში გაიხსნა კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს ანჯელესში 1910 წელს.

● ვიქტორინა

**1. ოლიმპიურ თამაშებში სად გამოვიდნენ პირველად ცალ-ცალკე, მაგრამ ერთი დროშით გფრ და გდრ?**

ა — რომში
ბ — მეხიკოში
გ — მიუნხენში

**2. პირველად ფრენბურთი როდის და ვისი მოთხოვნით შეიტანეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში?**

ა — 1952 წელს, ფილიპინელების
ბ — 1956 წელს, იტალიელების
გ — 1964 წელს, იაპონელების

**3. რამდენჯერ არ გამართულა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი ომების გამო?**

ა — ორჯერ
ბ — სამჯერ
გ — ოთხჯერ

**4. ვინ იყო ის ერთადერთი მოჭადრაკე, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 1927 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე (1964) შეინარჩუნა (1935 წელს ჩემპიონობა მან მხოლოდ დროებით დათმო).**

ა — კაპაბლანკა
ბ — ალიოხინი
გ — ეივე

**5. რომელ მწვერვალს უწოდებენ „თეთრ გუშაგს?“**

ა — უშბას
ბ — ევერესტს
გ — აკონკაგუას

პასუხები: 1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — ა

● იყო ასეთი შემთხვევა

2005 წლის 5 იანვარს მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩატარდა „რეალისა“ და „სოსიედადის“ მატჩის ბოლო ექვსი წუთი. ადრე შეხვედრა სარბიელზე ძაბვისვარდნის გამო შეწყდა. გადათამაშება როდესაც განახლდა, ანგარიში 1:1 იყო, მაგრამ მადრიდელთა პირველივე შეტევას პენალტი მოჰყვა, რომელიც ზუსტად გამოიყენა **ზინედინ ზიდანმა** და მატჩიც „რეალმა“ 2:1 მოიგო.

● შეკითხვა ლელოს

**შეკითხვა: საფეხბურთო სტატისტიკასა და ქრონიკებში განსხვავებული აზრია დაფიქსირებული იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ გაიტანა პირველი გოლი ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში.. გთხოვთ, თუ შესაძლებელია, მოგვაწოდოთ ზუსტი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.**

*ფირუზ შურღაია*
*ფოთი*

მართლაც, ვინ გაიტანა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი გოლი. დიდხანს თვლიდნენ, რომ ურუგვაიში გამართულ პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში მეტოქის კარის აღება ყველას დაასწრო ამერიკელმა **ბარტ მაქგიმ** ბელგიასთან შეხვედრაში მე-40 წუთზე. თუმცა რამდენიმე წლის წინათ ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო კამათი და ფიფამ დაადგინა, რომ პირველი გოლი გაიტანა არა ამერიკელმა, არამედ ფრანგმა **ლუსიენ ლორენმა** მექსიკის წინააღმდეგ მატჩში 1930 წლის 13 ივლისს მე-19 წუთზე.

● საინტერესოა...

- **გოლფის** ბურთს 336 ჩაღრმავება აქვს.
- **ძველ** საბერძნეთში, ჩვეულებრივ, მიღებული იყო ფიზიკური ვარჯიშების ჩატარება სრულიად შიშვლად.
- **ინგლისის** ბიბლიოთეკებში ყველაზე ხშირად გინესების რეკორდების წიგნს იპარავენ.
- როცა გძინავს, უფრო მეტ კალორიას მოიხმარ, ვიდრე მაშინ, როცა ტელევიზორს უყურებ.
- **პარაშუტი** გამოიგონა ლეონარდო და ვინჩიმ 1515 წელს.

**ცხენს** არ შეუძლია ღებინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მწვრთნელი და რვა კითხვა. II ნაწილი

# უნდა დარჩეს იგორ კოკოშკოვი?

## წინა სერიებში:

2008 წელი - **იგორ კოკოშკოვი** საქართველოში ჩამოვიდა;

2009 წელი - გუნდი A დივიზიონში გადაიყვანა;

2010 წელი - ევროპის ჩემპიონატზე გავიდა;

2011 წელი - ევრობასკეტი-2011-ზე 8-დან 2 მატჩი მოიგო, თუმცა ქართველები ევროპის ტოპ-12 გუნდს შორის მოახვედრა;

2011 წლის 19 ნოემბერი - გაზეთ „ლელოში" სანახევროდ შევაფასეთ მწვრთნელის მუშაობა;

2011 წლის 26 ნოემბერი - დღეს შეფასების მეორე ნაწილს შემოგთავაზებთ. ჯერ გაგახსენებთ გასულ შაბათს დასმულ ოთხ კითხვას, შემდეგ მომდევნო ოთხს ჩამოვწერთ.

1. როგორ უნდა შეფასდეს იგორ კოკოშკოვის საქართველოში მოღვაწეობის ოთხწლიანი პერიოდი?

2. გამოიყენა თუ არა მის ხელთ არსებული რესურსი მაქსიმალურად?

3. რატომ არ აალებინა კალათბურთელებს ჯარიმა მაკედონიასთან მატჩის ბოლოს, როცა სირენამდე 16 წამი რჩებოდა და **ბო მაკალები** საქართველოს ნაკრების კალათისკენ დაიძრა?

4. ჰქონდა თუ არა კოკოშკოვს შეგირდებთან ნორმალური ურთიერთობები?

ამ კითხვებზე ბევრი მსჯელობის შემდეგ ასეთი პასუხები მივიღეთ:

1. დადებითად.

2. უკეთ გამოყენება მართებდა.

3. მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა სურდა, რაც ზოგისთვის შეცდომაა, ზოგისთვის - არა.

4. ჰქონდა.

მივხედოთ მომდევნო ოთხ კითხვას. რომელთაგან პირველი ასე ჟღერს:

**უნდა ჩამოეყვანა ჰეინსი, მაშინ, როცა ევროპულ კალათბურთში მასზე გაცილებით გამოცდილი არაერთი მოთამაშეა?**

ჯერ ეს ვიკითხოთ: ნატურალიზებისთვის მოთამაშე თავად მწვრთნელმა შეარჩია თუ ფედერაციამ? თუ კოკოშკოვს არ აურჩევია, ეს მისი დიდი მინუსი იქნებოდა, რადგან სწორედ მწვრთნელმა იცის როგორი ხასიათისა და რა მონაცემების კალათბურთელი სჭირდება. თუმცა, აქ მწვრთნელს უარყოფითი შეფასება არ ეკუთვნის, რადგან ფედერაციას თავად შესთავაზა ჰეინსის კანდიდატურა, რომელიც ორი წლის წინათ მასთან, „ფინიქსში" ვარჯიშობდა.

აი, როგორ ახასიათებს ამერიკელს თავად ბატონი იგორი: მარკიზი ნიჭიერი კალათბურთელია, ყველა მონაცემი აქვს უმაღლეს დონეზე ითამაშოს როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაშიო. ასე რომ, იგორ კოკოშკოვს სურდა ჰეინსი საქართველოს ნაკრებთან შეერწყა, რათა მისი საკლუბო წინსვლა სანაკრებოზე ასახულიყო. არჩევანში მწვრთნელი არ შემცდარა - მარკიზი ესპანეთის ჩემპიონატის წარმომადგენელ „გრან კანარიაში" ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა იგორ კოკოშკოვმა ერთი ვერ გათვალა: ევროპაში ახლად ჩამოსულ (მანამდე ერთი სეზონი ფრანგულ „შალონში" ჰქონდა გატარებული), ახალგაზრდა კალათბურთელს ეყოფოდა გამოცდილება პირდაპირ ევროპის ჩემპიონატზე გამოემჟღავნებინა შესაძლებლობები? გამოცდილების უკმარისობა ყველაზე მკაფიოდ ბულგარეთთან და მაკედონიასთან გამოჩნდა, როცა ნატურალიზებულ როულანდსა და მაკალებს „დაეჭიდა".

პასუხი: გაცილებით გამოცდილი უცხოელი უნდა ჩამოეყვანა.

**გუნდს მწვრთნელის ხელი ეტყობოდა, თუ ინდივიდუალურად მიაღწია შედეგს?**

შეიძლება ვინმეს გაეცინოს, მწვრთნელის გარეშე ვინ რას იზამსო, მაგრამ საქმე სპეციფიკურ შემთხვევასთან გვაქვს - საქართველოს ნაკრები 2004 წლიდან თითქმის ერთი შემადგენლობით თამაშობს და მწვრთნელის გარეშეც იცის რა ქნას. არ გეგონოთ, თითქოს, იმას ვამტკიცებდე, გუნდი უმწვრთნელოდ რამეს მიაღწევდა-მეთქი. საკითხავი ისაა, რაში გამოჩნდა იგორ კოკოშკოვის მუშაობის კვალი.

პირდაპირ გეტყვით, მისმა წინამორბედებმა (**ბრაიკოვიჩმა, ჰერბერტმა, შილდსმა**) ან ვერ მოასწრეს გუნდის დალაგება, ან ვერ შეძლეს. ასე რომ, მათი ხელწერა ნაკრებს არ ეტყობოდა - თუ რამეს ვაღწევდით, ინდივიდუალიზმის შედეგად.

იგორ კოკოშკოვმა კი „წრედი შეკრა": მთავარ დამრტყმელად **ზაზა ფაჩულია** აქცია. ზაზა ხომ 2008 წლამდეც მთავარი ფიგურა იყოო - გაიკვირვებთ. სხვაობა ისაა, რომ კოკოშკოვამდე გუნდი ფაჩულიაზე იყო აწყობილი და თუ მეტოქე მის განეიტრალებას შეძლებდა, თამაშსაც მოიგებდა. იგორის გუნდიც ფაჩულიაზეა აწყობილი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ ზაზას ძლიერი მეურვე (ან მეურვეები) ჰყავს საქართველოს ნაკრები ალარ აგებს, რადგან თამაშის სიმძიმე სხვა კალათბურთელებზე ნაწილდება. ამის მაგალითი უკრაინასთან მატჩია, რომელშიც ზაზამ 27 წუთში 6-6 ქულა-მოხსნა მოაგროვა. თამაშის შეფასებისას უკრაინის ნაკრების ერთ-ერთმა ამერიკელმა მწვრთნელმა მითხრა - ეს მატჩი ფაჩულიამ მოიგო, მისი დაჭერა ვცადეთ, მაგრამ გუნდზე ითამაშა და შანსი არ დაგვიტოვაო.

ერთ შენიშვნას მაინც შევიტანთ. კოკოშკოვმა ფინეთთან მატჩის შემდეგ თქვა: ჩვენი ტაქტიკა ზაზაზე იყო აგებული და მისმა ტრავმამ ყველაფერი აგვირიაო. ნებისმიერ მწვრთნელს მრავალფეროვნებისთვის სათადარიგო ტაქტიკა დამუშავებული აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა ერთი კაცის დაკლებამ საქმე ლურსმანშერჭობილი საბურავივით არ ჩაფუშოს.

გორდონ ჰერბერტმა თქვა - ჩემს ხელში საქართველოს ნაკრები ევროპაში დაცვით უნდა გამოირჩეოდესო. ეს კოკოშკოვს არ უთქვამს, მაგრამ საქართველოს ნაკრების დაცვას წლიდან წლამდე აშენებდა და პიკს 1 სექტემბერს მიაღწია: **კირილენკომ, ხრიაპამ, მონიამ** და სხვა რუსმა სნაიპერებმა მეოთხე პერიოდის საწყის 5 წუთში ქულა ვერ ჩააგდეს. სწორედ ამის შემდეგ თქვა რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა**: მსროლელები არ გვყავს, ზიმბაბვედან შამანები უნდა ჩამოვიყვანოთ და კალათბურთელები შევალოცვინოთო.

პასუხი: იგორ კოკოშკოვის ხელში საქართველოს ნაკრები ტაქტიკურად საგრძნობლად დაიხვეწა.

**იგორ კოკოშკოვს ევრობასკეტზე გამოცდილება ხომ არ დააკლდა?**

ისევე როგორც საქართველოს ნაკრებისთვის, იგორ კოკოშკოვისთვის მთავარი მწვრთნელის რანგში ასეთი დონის ტურნირი პირველი იყო. შესაბამისად არსებობდა საშიშროება, რომ მეტოქე მწვრთნელებს გამოცდილებით ეჯობნათ.

ეს ვერ მოახერხა უკრაინის დამრიგებელმა **მაიკ ფრატელომ**, რომელმაც საქართველო-უკრაინის მატჩის შემდეგ თქვა - მესამე პერიოდში იგორ კოკოშკოვმა აშკარად მაჯობაო. კარგი კატალიზატორი მეორე მატჩი იყო - რუსეთის ნაკრებს დევიდ ბლატი წვრთნის, რომელიც 2007 წლიდან ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს უდგას სათავეში და ასევე აქტიურადაა ჩართული საკლუბო კალათბურთში. შეხვედრის ბოლოს ბედის ბორბალი რუსების სასარგებლოდ დატრიალდა, თუმცა ყველა აღნიშნავდა, კარგად ორგანიზებული და განსწავლული გუნდების პაექრობა იყოო. ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა მატჩის გარჩევისას მითხრა - დევიდ ბლატს შეუძლია შეგირდების ისე განწყობა, რომ ასეთ მატჩებში ბოლო წამებზე მოგებას არავის ანებებენო.

პასუხი: ზიგიერთ მატჩში იგორ კოკოშკოვსა და საქართველოს ნაკრებს დებიუტანტობა ნამდვილად არ ეტყობოდათ, თუმცა იყო გუნდები და მწვრთნელები, რომლებსაც ჩვენი გუნდი და მწვრთნელი გამოცდილებით ჩამოუვარდებოდა.

**უნდა დარჩეს იგორ კოკოშკოვი?**

ვინც პუბლიკაცია ბოლომდე ჩაიკითხა, ალბათ სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხს ბოლო ქვეთავში მოელოდა. არც შემცდარა. შესაძლოა, დარჩა კიდევ არაერთი შეკითხვა, მაგრამ ვფიქრობ, ძირითად საკითხებზე საკმარისად დავწერეთ და უკვე თამამად შეგვიძლია ვუპასუხოთ კითხვას - უნდა დარჩეს იგორ კოკოშკოვი? ისევე როგორც ძირითად შემთხვევებში, პასუხი ამ კითხვაზეც არ არის ერთმნიშვნელოვანი...

პასუხი: სერბმა მწვრთნელმა საქართველოს ნაკრებში დიდი მოცულობის სამუშაო გასწია, გუნდი წინ წასწია და მწვრთნელის დიდი წვლილია 2013 წლის ევრობასკეტის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები პირველ კალათაში რომაა განთესილი. ვფიქრობ, წლიდან წლამდე კოკოშკოვი ნაკრებთან ერთად იზრდებოდა და როგორც გუნდს, ასევე მწვრთნელს კიდევ აქვს მომატების შესაძლებლობა. ამიტომ ბატონი იგორი მთავარ მწვრთნელად უნდა დარჩეს... თუ დევიდ ბლატი, **ეტორე მესინა** ან მათი დონის მწვრთნელი (ქართულ კალათბურთს კარგად რომ იცნობს) არ ჩამოვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



იუბილარი



ბესიკ ლიპარტელიანი (მარცხნივ) და გურამ მინაშვილი

# სპორტის რაინდი

ნახევარი საუკუნის წინათ ბულგარელი პანოვი, იტალიელთა კაპიტანი ალეზინი, უნგრელი ბანჰედი ევროპულ კალათბურთში ამინდს ქმნიდნენ, მაგრამ 1958 წელს ცნობილი იტალიელი მრეწველისა და იტალიის კალაბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მაირანოს თასის გათამაშებისას ბოლონიაში ამ და სხვა ცნობილ ოსტატებს **გურამ მინაშვილმა** ხელი არ გაანძრევინა, თავად კი ქულას ქულაზე აგროვებდა. ასპარეზობის შემდეგ ჟიურიმ ქართველი კალათბურთელი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნია და სპეციალური ოქროს მედალიც გადასცა.

თბილისის "დინამოს" კაპიტანს სხვა მნიშვნელოვან შეჯიბრებებშიც არაერთხელ დაუმსახურებია არანაკლები პრიზები თუ მედლები, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო, რაც კი რგებია, ეს იყო სიყვარული ქომაგებისა, რომლებიც ყოველ მის გარღვევას ოვაციით ხვდებოდნენ და გასახდელისკენ მიმავალს მქუხარე ტაშით მიაცილებდნენ.

— ბატონო გურამ, მთელ საქართველოს ახსოვხართ და უწინდებურად უყვარხართ. ბედნიერი კაცი ბრძანდებით, რომ ერის სიყვარულს ამდენი ხანი ინარჩუნებთ. თქვენი და თქვენი თაობის სასახელო ტრადიციებზე დღეს ახალი თაობა იზრდება, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე გვასახელა. გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებთ ქართული კალათბურთის ისეთ სიმაღლეზე ასაყვანად, რომ ჩვენი ბიჭები კი არ მიდიოდნენ საზღვარგარეთ, არამედ, მათი საუკეთესო წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ აქ სათამაშოდ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, რომ მთელი ცხოვრება სიკეთეს თესავთ, - უთხრა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლადო ვარძელაშვილმა** გურამ მინაშვილს, რომელსაც გუშინ კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს თანადგომით დაბადების 75-ე წლისთავი აღუნიშნეს. იუბილარს სამინისტრომ "სპორტის რაინდის" წოდება მიანიჭა, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბესიკ ლიპარტელიანმა** 75-ნომრიანი ეროვნული ნაკრების ფორმა უსახსოვრა. თანაგუნდელებმა, სხვადასხვა თაობის კალათბურთელებმა და ახლობლებმაც მიულოცეს იუბილე სახელოვან სპორტსმენს... იყო სავსე ჭიქების წკარუნი, "მრავალჟამიერი" გურამ მინაშვილისა და ქართული კალათბურთის სადიდებლად.

**ვაჟა დანელია**

საქართველოს ჩემპიონატი. VII ტური

**25 ნოემბერი**

**რუსთავი**

**რუსთავი–ოლიმპი 65:74**

20:19, 11:22, 19:8, 15:25

რუსთავი: არწივიძე (12ქ, 11პ), მაქავარიანი, თვარაძე (7ქ), ხმელიძე (12ქ, 9მ), გუგავა (20ქ, 10მ), გ. არაბული, გ. ბერუაშვილი, ბააკაშვილი (6ქ), ჩაჩანიძე (2ქ), კოპალიანი (6ქ).

ოლიმპი: გამყრელიძე (14ქ, 9პ), სლიუკა (25ქ), გულისაბედაშვილი (7ქ), მილუტინოვიჩი (9ქ, 14მ), ჰოგერი (17ქ, 14მ), ნანიტაშვილი, თავართქილაძე, მუმლაძე, სულაბერიძე, ნადირაძე (2ქ).

მსაჯები: ი. ბერიშვილი, ს. საინერისი

კომისარი: გ. სანაძე

**ბათუმი**

**ბათუმი–დინამო 66:98**

6:28, 20:24, 26:22, 14:24

ბათუმი: მიქელაძე (19ქ), რამიშვილი (7ქ), ელიაძე (8ქ), კეშელავა (18ქ, 11მ), ელიაშვილი (14ქ), ნინუა.

დინამო: ბაქრაძე (8ქ), მარხვაშვილი (12ქ), სანაძე (16ქ), კეიდია (13ქ), კარტერი (26ქ, 13მ), ს. ლეჟავა (4ქ, 8პ), ლომიძე, ალხანაიძე (6ქ), მეხრიშვილი (1ქ), ჯანგველაძე (5ქ), ნოელი (7).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

კომისარი: ა. კაზანჯიანი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 6 | 5 | 1 | 546/440 | 11 |
| 2. ოლიმპი | 6 | 5 | 1 | 478/441 | 11 |
| 3. არმია | 5 | 5 | 0 | 451/320 | 10 |
| 4. ქუთაისი | 6 | 4 | 2 | 495/455 | 10 |
| 5. დინამო | 7 | 3 | 4 | 591/623 | 10 |
| 6. შსს | 6 | 3 | 3 | 514/515 | 9 |
| 7. სამედიცინო | 6 | 3 | 3 | 517/530 | 9 |
| 8. სტუ | 5 | 3 | 2 | 443/431 | 8 |
| 9. თსუ | 5 | 1 | 4 | 369/401 | 6 |
| 10. ბათუმი | 6 | 0 | 6 | 421/529 | 6 |
| 11. რუსთავი | 6 | 0 | 6 | 427/567 | 6 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს თასი ლანჩხუთელებს!

ლანჩხუთელმა ბალახის ჰოკეისტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს — პირველად არსებობის ისტორიაში საქართველოს თასს დაეუფლნენ! ფინალურ ტურნირს ინდორ ჰოკეიში ქუთაისმა 22-23 ნოემბერს უმასპინძლა. თემურ არჩაიას სახელობის თასის გადამწყვეტ ეტაპზე 6 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ჯგუფში მოხვდნენ ლანჩხუთის, აბაშისა და ქუთაისის („უქიმერიონი"), მეორეში — ოზურგეთის, ბათუმისა და ქუთაისის სპორტსკოლის გუნდები. სამწუხაროდ, ოზურგეთელებმა შეჯიბრებაზე ჩასვლა ვერ მოახერხეს. ლანჩხუთელებმა ჯგუფში ორივე შეხვედრა მოიგეს (აბაშასთან 3:1, „უქიმერიონთან".6:4) და ფინალში დამსახურებულად გავიდნენ. მეორე ჯგუფში პირდაპირ ნახევარფინალი გათამაშდა — ქუთაისის სპორტსკოლამ 6:1 მოუგო ბათუმს.

ფინალურ შეხვედრაში ლანჩხუთელებმა 3:1 დაამარცხეს ქუთათურები. საქართველოს თასის მფლობელები გახდნენ: **გოჩა კვაჭაძე, რომან გოგელია, ბექა გურგენაძე, ნიკა ჩახვაშვილი, ვაჟა ჩხარტიშვილი, მიხეილ მონიავა, დათო გოგიჩაიშვილი, თავილი რამიშვილი, ნოდარ ბიქტორის ძე იმნაიშვილი, ნოდარ გიას ძე იმნაიშვილი, შერმადინ ხვედელიძე, ავთო გაბაიძე, თემურ ტიკარაძე.** მწვრთნელები: **ზაზა რუსიეშვილი, კახა ფირცხალაიშვილი.**

საქართველოს თასის გარდა, ლანჩხუთელებმა 5-დან 4 პერსონალური ჯილდო მოიპოვეს. პრიზები მიიღეს: საუკეთესო გოლის — ნიკა ჩახვაშვილმა, საუკეთესო მოთამაშის — ბექა გურგენიძემ, საუკეთესო მეკარის და მცველის შესაბამისად — გოჩა კვაჭაძემ და რომან გოგელიამ.

*„გუნდი 3-4 წელიწადია, რაც ვარჯიშობს. საერთოდ ლანჩხუთში ჰოკეის გუნდი 1982 წელს ჩამოვაყალიბეთ. 2001, 2003 და 2007 წლებში საქართველოს ჩემპიონები გავხდით. თასი აქამდე არ აგვიღია. ახლა გვყავს ბიჭებისა და გოგონების ორ-ორი გუნდი. სხვათა შორის, გასულ სეზონში გოგონები ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. ჩემპიონატები ეწყობა საფესტივალო და ჩვეულებრივი. ამ უკანასკნელში ასაკი შეზღუდული არ არის, მაგრამ ჩვენ გუნდი ძირითადად მაღალკლასელებითაა დაკომპლექტებული, მხოლოდ ერთი გვყავდა სკოლადამთავრებული"* — აცხადებენ ლანჩხუთელ ჰოკეისტთა მწვრთნელები.

*წლეულს რაიონის ვაჟები ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო გოგონები — მესამეზე. გაისად სექტემბერში ფესტივალის ჩატარება (პატარებს შორის) დაგეგმილია ლანჩხუთში.*

*„გვინდა მივულოცოთ ლანჩხუთელ ქომაგებს ეს წარმატება, რაც დიდად განაპირობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (რევაზ ჩიტიძე), გამგეობის (გია გოგუაძე), სპორტული ცენტრის (მინდია დვალიშვილი), გურიის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტის და საქართველოს ჰოკეის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის (შალვა ბოლქვაძე) მხარდაჭერამ და თანადგომამ"* — გვითხრეს გამარჯვებული გუნდის თავკაცებმა.

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

ჩოგბურთი

# მესამე წრე



ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) მე-3 ნომრად განთესილმა **ეკა გორგოძემ** (403) მორიგი წინაღობა დაძლია, გერმანელ **სარა-რებეკა სეკულიჩს** (736) მოუგო - 7:6 (8), 6:3. ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალშია, სადაც მე-5 ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **დანიელე ჰარმსენს** (485) ეთამაშება. შეგახსენებთ, რომ ანთალიაში ბედს **ალექსანდრე მეტრეველი** და **ანი გოგვაძეც** ცდიდნენ, თუმცა ისინი უკვე გამოეთიშნენ ასპარეზობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**FM 107.9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

ლეგიონერები



ბურთით ვასილ კაკოვინი

# პლეი ოფისთვის ხუთი იბრძვის

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ევროთასების გათამაშების გამო ორკვირიანი შესვენება იყო. ქართველ მორაგბეთა გუნდებმა ევროპულ არენაზე მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზეს და ახლა ისევ ფრანგულ ბატალიებს უბრუნდებიან.

შეგახსენებთ, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით, საპლეიოფო ექვსეულში მოხვედრის შანსი შვიდი „ქართული გუნდიდან" ხუთს აქვს. **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" კი მე-10 ტურამდე სულაც ლიდერობდა.

„ვულკანებს" მე-11 ტურში საინტერესო გასვლითი მატჩი ელით **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიესთან". მონპელიელები შარშანდელთან შედარებით უჩვეულო მდგომარეობაში არიან. გუნდის თითქმის ყველა წამყვანი მორაგბე სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ასპარეზობდა, რის გამოც ვიცე-ჩემპიონმა ცხრა შეხვედრაში მხოლოდ ორი გამარჯვება მოიპოვა.

„მონპელიემ", რომელიც 14 ქულით მე-12 ადგილზეა, თავისი თამაში იპოვა და წესით, ამიერიდან სატურნირო ცხრილში ზემოთ უნდა აიწიოს. შეუძლია თუ არა ჩვენებურთა გუნდს ამის გაკეთება, დღეს ძალზედ ძლიერ მეტოქესთან მატჩში გამოჩნდება. „კლერმონმა" პირველი ტურებიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო და მხოლოდ ერთი ტურის წინ გაუსწრო საფრანგეთის ჩემპიონმა „ტულუზმა".

წესით, მოლონიერებულმა „მონპელიემ" მეტოქეს უნდა მოუგოს, მაგრამ „კლერმონს" ახლახან ახალზელანდიელი გარემარბი **სიტივენი სივივატუ** დაემატა, რომელიც, სავარაუდოდ, გუნდს საგრძნობლად გააძლიერებს. შესაბამისად მატჩის შედეგის პროგნოზირება ძალიან რთულია. გორგოძე და ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში არიან, ნარიაშვილი და ზირაქაშვილი კი თადარიგში, შველიძე განაცხადში არ არის.

planetrugbyა-ს კი მიაჩნია, რომ „კლერმონი" მინიმუმ ხუთი ქულის სხვაობით მოიგებს.

საკმაოდ საინტერესო შეხვედრა გაიმართება კასტრში, სადაც **ანტონ ფეიქრიშვილის** ადგილობრივი გუნდი **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს" დაუპირისპირდება. კასტრელები 31 ქულით მესამე ადგილზე არიან და „ტულონს", რომელიც უახლოესი მდევარია, სამი ქულით უსწრებენ.

ტულონელებს ამ შეხვედრაში დააკლდებათ რვა ნომერი **ლეონარდო სენატორე,** თუმცა სამაგიეროდ დაემატებიან **ბაკის ბოთა, რორი ლამონტი** და **მეთ გიტო.** „კასტრმა", რომელიც მატჩს დანაკლისის გარეშე ხვდება, სტარტზე ზედიზედ შვიდი მოგებული მატჩის შემდეგ მიჯრით ოთხი წააგო. ორი საფრანგეთის ჩემპიონატში და ორიც „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში.

წესით, მასპინძლებმა წარუმატებელი სერია უნდა დაასრულონ, თუმცა საამისოდ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. მულტიმილიონერმა **მურად ბურჯელალმა** „ტულონში" კიდევ ერთხელ მოუყარა თავი ვარსკვლავურ რაზმს. გაუმართლებს თუ არა ამჯერად ამბიციურ მედია მაგნატს, მომავალი გვიჩვენებს.

planetrugby-ს ვარაუდით, მინიმუმ ორი ქულით „ტულონი" მოიგებს.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელიც წლეულს შარშანდელზე ბევრად უკეთესად ასპარეზობს, „ბორდოს" მიიღებს. აჟენელებმა „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში შინ „ბრივთან" წააგეს, რაც ადვილი შესაძლებელია, გუნდისთვის დამატებით გამაღიზიანებლად გამოდგეს.

„აჟენს" 24 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზეა. ჩვენებურის გუნდი ეცდება მე-10 ადგილზე მყოფ „ბორდოს" ხუთი ქულა აართვას და იერარქიაში კიდევ უფრო დაწინაურდეს. შეყლაშვილი განაცხადში არ არის.

planetrugby-ს პროგნოზით, „აჟენი" მინუმუმ რვა ქულით მოიგებს.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" შინ ფრანგული რაგბის გრანდს, მოქმედ ჩემპიონს და მიმდინარე გათამაშების ლიდერ „ტულუზს" ეთამაშება. სტუმრებს ამ შეხვედრაში დააკლდებათ ტრავმირებული მეორეხაზელი **რომენ მიოშლუსკი.** თუმცა, ამ დანაკლისის მიუხედავად, „ტულუზი" მაინც ფავორიტია. ტულუზელებმა აქამდე 36 ქულა დააგროვეს და მე-8 ადგილზე მყოფ „ბრივს" 17 ქულით უსწრებენ.

ჩვენებურთა გუნდმა წარმატებულად იასპარზა „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშების საწყის ორ ტურში და უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარ თამაშს მიაგნო. ბრიველები შინაურ კედლებში იოლად არავის არაფერს უთმობენ და ამჯერადაც, ცხადია, ბოლომდე იბრძოლებენ.

თუმცა, planetrugby-ს ჰგონია, რომ გამარჯვებას მინიმუმ 16 ქულით ტულუზელები მოიპოვებენ.

**გურამ კავთიძისა და ტარიელ რატიანიძის** „ლიონი", რომელიც 12 ქულით ბოლოსწინა, მე-13 ადგილზეა, სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბაიონს". ჩვენებურის გუნდი რთულ მდგომარეობაშია და აუცილებლად გამარჯვება ესაჭიროება. თუმცა საკმაოდ ამბიციურ „ბაიონთან", რომელსაც, რატომღაც ჩემპიონატის სტარტზე თამაში არ წაუვიდა, სტუმრად გამარჯვების მიღწევა ძალიან ძნელი იქნება.

კავთიძე და რატიანიძე განაცხადში არ არიან.

planetrugby-ს პროგნოზით, „ბაიონი" მინიმუმ ათი ქულით მოიგებს.

**XI ტური**

**ბაიონი-ლიონი, მეტრო რასინგი-ბიარიცი, პერპინიანი-სტად ფრანსე, ბრივი-ტულუზი, მონპელიე-კლერმონი, კასტრი-ტულონი, აჟენი-ბორდო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 36 ქულა, 2. კლერმონი - 35, 3. კასტრი - 31, 4. ტულონი - 28, 5. მეტრო რასინგი - 25, 6. აჟენი - 24, 7. სტად ფრანსე - 21, 8. ბრივი - 19, 9. პერპინიანი - 19, 10. ბორდო - 17, 11. ბაიონი - 15, 12. მონპელიე - 14, 13. ლიონი - 12, 14. ბიარიცი - 10.

**ბესიკ ჯანგავაძე**

საქართველოს თასი

# არმია-ყოჩები, ჩემპიონი და ხელმოცარული

დღეს „ავჭალის" სარაგბო სტადიონზე სეზონის ბოლო შეხვედრა გაიმართება. საქართველოს თასის ფინალში ან უკვე ჩემპიონი „არმია" უმაღლესი ლიგიდან დაქვეითებულ „ყოჩებს" დაუპირისპირდება.

„არმია", რომელიც წლეულს დებიუტანტია, პირველივე ცდაზე ჩემპიონი გახდა და ახლა დუბლის გახერხების დიდი შანსი აქვს. „ყოჩებმა" კი ჩემპიონატისაგან განსხვავებით, სადაც უმთავრესად ტრავმირებული მორაგბეების სიმრავლის გამო ვერას გახდნენ, თასის გათამაშებაში წარმატებულად ითამაშეს. ეს გუნდი ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული ბრძოლისუნარიანობით და გამორიცხული არ არის, ფინალში სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

შეგახსენებთ, რომ ფინალური შეხვედრა 14 საათზე დაიწყება.

**არმია-ყოჩები**

**არმია: 15. ბახვა კობახიძე, 14. ალექსანდრე ტუჩაშვილი, 13. ვანო გაბროშვილი, 12. თამაზ მჭედლიძე, 11. გიორგი შკინინი, 10. გიორგი ელიზბარაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. ირაკლი ქორიძე, 2. ბექა მეკოკიშვილი, 3. ტარიელ დონაძე, 4. ბექა ბიწაძე, 5. ხვიჩა ბუჯიაშვილი, 6. გიორგი თხილაიშვილი, 7. გიორგი კალმახელიძე, 8. ლაშა თავართქილაძე.**

**16. გიორგი კაკოვინი, 17. ზაზა ნავროზაშვილი, 18. მამუკა ცხადაძე, 19. ბექა მამრიკიშვილი, 20. ალექსანდრე ზაბახიძე, 21. მამუკა ნინიძე, 22. გიგა გაგოშვილი.**

**ყოჩები: 15. შავლეგ მახარაშვილი, 14. გიორგი ხარშილაძე, 13. პაატა მაისურაძე, 12. სანდრო ინაშვილი, 11. ირაკლი გეგენავა, 10. გიგი გაბუნია, 9. გიორგი ბეგაძე. 1. სანდრო ესაკია, 2. შალვა მამუკაშვილი, 3. გიორგი ხოსიტაშვილი, 4. დავით ბელაშვილი, 5. მიხეილ არჩუაშვილი, 6. დავით ცხვედიანი, 7. ჯაბა მალალურაძე, 8. ბექა ნიკოლეიშვილი.**

**16. გიორგი გოგიძე, 17. ბაჩანა გოგიშვილი, 18. არჩილ ბეჟიაშვილი, 19. გიორგი ილიაევი, 20. გოგა ხელაძე, 21. გიორგი წიკლაური, 22. რატი გარუჩავა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

პრობლემა

INTERNATIONAL RUGBY BOARD

# IRB რაგბის გაფეხბურთებას ებრძვის

რაგბის საერთაშორისო საბჭო სერიოზულად ფიქრობს იმის თაობაზე, რომ მორაგბეების მიერ თამაშისას ჩაფხუტის გამოყენება აკრძალოს. თუმცა ზოგი ამტკიცებს, რომ პირდაპირი აკრძალვა მიუღებელი იქნება, ამის სანაცვლოდ IRB-ს შეუძლია საჯარიმო სანქციები დააწესოს.

მსოფლიოს რაგბის მმართველი ორგანო შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ რაგბი სულ უფრო კარგავს თავის ვაჟკაცურ სულს და ფეხბურთს ემსგავსება, როგორც ვიზუალურად, ისე შინაგანი კულტურით. კერძოდ კი, IRB-ს არ მოსწონს მაისურების საყელოები და მიაჩნია, რომ ასე ფეხბურთელები იცვამენ. ასევე აკრიტიკებს მორაგბეთა საქციელს, წინააღმდეგია სხვადასხვა ფერის ბუცებით თამაშის, ლელოს გიჟურად აღნიშვნისა და ხელოვნური გარუჯვის.

ერთი სიტყვით, IRB შიშობს, რომ რაგბის იმიჯი ილახება, რაც გამოიწვევს სპონსორების, ტელევიზიების ინტერესის განელებას, შედეგად შემცირდება შემოსავლები, რაც რაგბის განვითარებისთვის დიდი საფრთხეა.

IRB-მ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიც არის შეიმუშაოს მკაცრი კანონები, რითაც შესაძლებელი იქნება რაგბის იმიჯის გადარჩენა. ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად განსახილველი საკითხი სწორედ ჩაფხუტების თემა იქნება.

*„რატომღაც რაგბის სამყაროში შლემის მიმართ არამართებული დამოკიდებულება აქვთ. ზოგიერთი მორაგბე და ქომაგიც ფიქრობს, რომ ჩაფხუტი ეფექტური საშუალებაა მძიმე ტრავმისგან დასაცავად. ეს ასე არ არის. მას შეუძლია უმნიშვნელო ჭრილობისაგან და დალილავებისაგან დაგიცვას, მაგრამ ვერაფერს გახდება ისეთი დარტყმის წინააღმდეგ, რომელსაც ტვინის შერყევის გამოწვევა შეუძლია. ამიტომ, ვფიქრობთ, ის სრულიად ზედმეტია"* - თქვა IRB-ს ანალიტიკოსმა **რობერტ კლივმა.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

● ფორმულა 1



ბერნი ექლსტოუნი

# ბაჰრეინი ბრუნდება, ამერიკას ეშველა?

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ 2012 წელს ბაჰრეინის გრანპრი გაიმართება იმისდა მიუხედავად, რომ ამ ქვეყანაში კვლავაც დაძაბული პოლიტიკური სიტუაციაა.

*„ეტაპი შესულია კალენდარში,* - ამბობს BBC-თვის მიცემულ ინტერვიუში ბერნი. - *ჩვენ იქ გავემგზავრებით, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე საშინელება არ მოხდება“.*

რაც შეეხება აშშ-ის გრანპრის, ამის შესახებ ექლსტოუნმა შემდეგი განაცხადა: *„სავარაუდოდ, ეტაპი ამერიკაში არ შედგება. მათი მთავარი პრობლემა - არასაკმარისი ფინანსებია, მაგრამ 2013 წელს ეს რბოლა, შესაძლოა, დაბრუნდეს კალენდარში. რაც შეეხება კორეის გრანპრის, ჩვენ პრომოუტერებთან ერთად შევისწავლით სიტუაციას, რადგან მათ საქმე ვერ ააწყვეს“.*

თუმცა ამერიკის გრანპრისთან დაკავშირებით შესაძლოა, სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს. კომპანია Circuit of the Americas (COTA), რომელსაც ეკუთვნის ოსტინის ავტოდრომი, მზად არის გადაუხადოს ბერნი ექლსტოუნს თანხა, რომელიც 2012 წელს აშშ-ის გრანპრის ჩასატარებლად არის საჭირო.

*„ჩვენ მზად ვართ გადავურიცხოთ ექლსტოუნს საჭირო თანხა და მოვიპოვოთ ოსტინში რბოლის ჩატარების უფლება“,* - განაცხადა COTA-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ბობი ეპსტაინმა**.

■ ■ ■

ამასობაში ირკვევა, რომ რუსული საჯინიბო „მარუსია-ვირჯინი“, შესაძლოა, გარიცხონ ფორმულა 1-დან. ამის მიზეზი გუნდის ხელმძღვანელობის დაუდევრობაა, რომელმაც მაკონტროლებელ ორგანოებს არ წარუდგინა კომპანიის მოღვაწეობის ფინანსური ანგარიში.

საჭირო დოკუმენტები გუნდს ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა წარმოედგინა, მაგრამ ეს ვადა 23 ნოემბრამდე გადაუტანეს, თუმცა რუსებმა არც ამჯერად შეიწუხეს თავი.

ახლა გუნდის დირექტორატის წინააღმდეგ საქმე აღიძრება, რამაც სხვა სასჯელთან ერთად, შესაძლოა, „მარუსია-ვირჯინის“ დისკვალიფიკაცია გამოიწვიოს.

● სათხილამურო რბოლა

# ბიორგენის სამიდან სამი

თხილამურებით რბოლაში მსოფლიოს თასის გათამაშება ფინეთის ქალაქ კუუსამოში გაგრძელდა. მეორე ეტაპზე ქალებმა და მამაკაცებმა პირველობა გაითამაშეს კლასიკურ სპრინტში.

ქალებს შორის ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. გუშინ ძალიან კარგად გამოიყურებოდა შვედი **შარლოტე კალა**, რომელმაც დამაჯერებლად გაიარა მეოთხედფინალური და ნახევარფინალური სტადია. მაგრამ კალას ფინალში მეორე ადგილის იმედი თუ ექნებოდა, რადგან ამჯერადაც შესანიშნავად გამოიყურებოდა **მარიტ ბიორგენი**. სტარტზე მცირედი შეყოვნების შემდეგ, ნორვეგიელმა ფინიშზე უშანსოდ დატოვა კონკურენტები და წელს მეორე შესაძლებლიდან მეორე ინდივიდუალური რბოლა მოიგო. მან წინა ეტაპზე ნორვეგიის ნაკრებთან ერთად ესტაფეტაშიც გაიმარჯვა, ასე რომ, ახალ სეზონში სამიდან სამი მოგება აქვს.

სპრინტი. ქალები

1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ); 2. **შარლოტე კალა** (შვედ); 3. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ); 4. **კიკენ რენდალი** (აშშ); 5. **ანე კილონენი** (ფინ); 6. **ნატალია მატვეევა** (რუს)...

■ ■ ■

მამაკაცებს შორის უფრო პრინციპული და დაძაბული ბრძოლა იყო. თუ ქალების ფინალში მონაწილეები სწრაფად დაიშალნენ ჯგუფებად, ამ გარბენში რთულმა აღმართმა მაინც ვერ გამოკვეთა ფავორიტები. რბოლის ბედი საფინიშო სწორ მონაკვეთზე გაირკვა, სადაც სხვებზე მეტად გაუმართლა შვედ **ტეოდორ პეტერსონს**. მისი გამარჯვება ყველამ დიდ მოულოდნელობად მონათლა.

კარგად გამოიყურებოდა რუსი ოლიმპიური ჩემპიონი **ნიკიტა კრიუკოვი**, რომელსაც გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ გვიან დაიწყო თავისი საფინიშო სპურტი.

სპრინტი. კაცები

1. **ტეოდორ პეტერსონი** (შვედ); 2. **ნიკიტა კრიუკოვი** (რუს); 3. **ოსტინ პეტერსონი** (ნორ); 4. **ეირიკ ბრანდსდალი** (ნორ); 5. **ლენ ვალიასი** (კან); 6. **ანსი პენტსინენი** (ფინ)...




მარიტ ბიორგენი

● კალათბურთი. ევროლიგა

# ნავარო რეკორდსმენია

საკალათბურთო ევროლიგაზე მეექვსე ტურის დარჩენილი რვა შეხვედრა გაიმართა. ინდივიდუალური სტატისტიკის მიხედვით, ეს ტური წარმატებული გამოდგა ქართველი კალათბურთელებისთვის.

მაგალითად, D ჯგუფში **ზაზა ფაჩულიას** „გალათასარაიმ“ შინ ოვერტაიმში გაჭირვებით მოუგო პოლონეთის „პროკომს“ - 78:76 და ამაში ყველაზე დიდი წვლილი ქართველმა ცენტრმა შეიტანა. 32 წუთში ზაზამ 19 ქულა, 10 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა „ბარსელონასა“ და „ოლიმპიას“ შეხვედრაში. ჯერ ერთი, კატალონიურმა კლუბმა ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო და ცსკა-ს მსგავსად გაიფორმა შემდეგ ეტაპზე თამაში.

გარდა ამისა, ამ მატჩში „ბარსას“ ლიდერმა **ხუან კარლოს ნავარომ** 14 ქულა დააგროვა, რითაც ევროლიგაზე საერთო მონაგარი 2716 ქულამდე აიყვანა. ეს ტურნირის ახალი რეკორდი გახლავთ. ესპანეთის ნაკრების მცველმა უკან ჩამოიტოვა ამერიკული **მარკუს ბრაუნი**.

რაც შეეხება შეხვედრას, როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონამ“ შინ უშანსოდ დატოვა სლოვენიის ჩემპიონი. მასპინძლებმა 26 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს. მათ მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ბოლო მეოთხედში მოდუნდნენ და მატჩის ეს მონაკვეთი 14:9 მოაგებინეს „ოლიმპიას“.

სლოვენიელები მეხუთე ადგილზე დარჩნენ და ორი მოგებით ჩამორჩებიან მეოთხე ადგილზე მყოფ „გალათასარაის“. შემდეგ ეტაპზე ჯგუფიდან სწორედ ოთხი გუნდი გადადის.

**გალათასარაი–პროკომი 78:76 ოტ**

12:14, 22:17, 12:26, 24:13, 8:6

გ: ფაჩულია (19+10 მოხსნა), შუმპერტი (13+7 მოხსნა), ლუკასი (12+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), სონგაილა (10).

პ: მოტეიუნასი (22+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ლაფაიეტი (18+4 ჩაჭრა), ზამოისკი (15).

**ბარსელონა–ოლიმპია 72:46**

23:16, 17:10, 23:6, 9:14

ბ: ნავარო (14), მარსელინიო (12), პეროვიჩი (12).

ო: ჩაპინი (10), გრინი (10+5 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 0 | 124 |
| 2. მონტეპასკი | 4 | 2 | 44 |
| 3. უნიქსი | 4 | 2 | 8 |
| 4. გალათასარაი | 3 | 3 | -19 |
| 5. ოლიმპია | 1 | 5 | -101 |
| 6. პროკომი | 0 | 6 | -56 |

■ ■ ■

B ჯგუფში მოქმედმა ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა“ კინაღამ ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო მალაგაში ესპანეთის „უნიკახასთან“.

ბერძნებისთვის ყველაფერი კარგად იწყებოდა - პირველი პერიოდი მათ 10 ქულით მოიგეს, მაგრამ ესპანელებმა მალევე უპასუხეს მეტოქეს - მეორე მეოთხედში რვა ქულა გააბათილეს და ამის შემდეგ ქულა ქულაში თამაში წავიდა, თუმცა იგრძნობოდა „უნიკახას“ ოდნავი სათამაშო უპირატესობა.

სწორედ ამის ხარჯზე, მეოთხე მეოთხედის ბოლოს „უნიკახამ“ თითქოს გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია, როცა **ვალტერსის** სამქულიანის შემდეგ მალაგური კლუბი 75:71 დაწინაურდა.

„პანათინაიკოსს“ ბოლო შეტევაში მხოლოდ სამქულიანი თუ გადაარჩენდა. მისი შესრულება მატჩის საუკეთესო კალათბურთელმა **დიამანტიდისმა** ითავა და საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე წინ გაიყვანა „პანათინაიკოსი“ - 77:76.

დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და „პაომ“ ჯგუფში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ის ორი მოგებით ჩამორჩება ლიდერ ცსკა-ს.

ამავე ჯგუფის მეორე შეხვედრაში „ზაგრებმა“ საკუთარ მოედანზე 86:74 დაამარცხა გერმანიის „ბამბერგი“. სტუმრები ბოლო მეოთხედამდე ებრძოდნენ მეტოქეს და მხოლოდ ოთხ ქულას აგებდნენ, მაგრამ ბოლო 10-წუთეულში „ზაგრებმა“ სრული უპირატესობა მოიპოვა და მატჩის ეს მონაკვეთი 8 ქულის სხვაობით მოიგო.

ხორვატთა რიგებში სამმა კალათბურთელმა - **სიმონმა, ჰეიტველტმა** და **კასუნმა** გააკეთეს ორმაგი დუბლები.

**უნიკახა–პანათინაიკოსი 76:77**

17:27, 26:18, 14:13, 19:19

უ: ზორიჩი (21+6 მოხსნა), დარდენი (13+7 მოხსნა), ვალტერსი (11+5 პასი).

პ: დიამანტიდისი (23), სმიტი (13+6 მოხსნა), სატო (13+6 მოხსნა).

**ზაგრები-ბამბერგი 86:74**

21:20, 15:14, 26:24, 24:16

ზ: ჰეიტველტი (25+12 მოხსნა), სიმონი (16+12 მოხსნა), კასუნი (15+11 მოხსნა), მულაომეროვიჩი (13).

ბ: იაკობსენი (19), ჰაველი (16), სლოტერი (16+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), სუპუტი (8+6 მოხსნა).



ფერნანდო სან ემეტერიო

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 6 | 0 | 101 |
| 2. პანათინაიკოსი | 4 | 2 | 53 |
| 3. უნიკახა | 3 | 3 | -11 |
| 4. ბამბერგი | 2 | 4 | -10 |
| 5. ზაგრები | 2 | 4 | -92 |
| 6. ჟალგირისი | 1 | 5 | -41 |

■ ■ ■

C ჯგუფში ფავორიტების დღე იყო. „მაკაბიმ“ შინ მიიღო „მილანი“ და ცხრა ქულით გაიმარჯვა - 85:76. ისრაელის ჩემპიონმა პირველ ტაიმში სოლიდურ უპირატესობას მიაღწია - 14 ქულით დაწინაურდა, მაგრამ „მილანმა“ მესამე მეოთხედში გაიბრძოლა, 9 ქულა მოიგო და მატჩს ინტრიგა დაუბრუნა, მაგრამ **შორცანიდისისა** და **ფარმარის** მონდომებით „მაკაბიმ“ მეტის გაკეთების საშუალება არ მისცა მეტოქეს.

შორცანიდისმა 28 ქულა შესძინა თავის გუნდს, ფარმარმა 21, თუმცა მათ 6-6 შეცდომაც დაუგროვდათ.

მაკაბი 5 მოგებით ჯგუფის ლიდერია, მაგრამ მასთან ახლოს არის რეალი, რომელმაც ჯგუფში მეოთხე გამარჯვებას ასევე შინ, ბელგიის „შარლერუასთან“ მატჩში მიაღწია. ბელგიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ესპანურ გრანდს და მხოლოდ ოთხი ქულით დამარცხდნენ - 89:93.

ბოლო მეოთხედის წინ ესპანელების უპირატესობა მინიმალური იყო და „რეალმა“ მხოლოდ თავისი სათადარიგო კალათბურთელების მონდომებით გატეხა „შარლერუას“ წინააღმდეგობა. რეზერვისტებმა - **პოციუსმა, იბაკამ** და **კეროლმა** ჯამში 48 ქულა დააგროვეს, რაც „რეალის“ საერთო მონაგარის ნახევარზე მეტია.

რაც შეეხება „შარლერუას“ ქართველ ლეგიონერს **თორნიკე შენგელიას**, მან 20 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და ერთი ჩაჭრა მიითვალა.

**რეალი–შარლერუა 93:89**

21:27, 27:19, 22:23, 23:20

რ: პოჩიუსი (20), კეროლი (16), იბაკა (12+9 მოხსნა+5 დაფარება), მიროტიჩი (12), რეიესი (8+9 მოხსნა).

შ: ჰილი (18), გრინი (17), მალეტი (15+4 პასი), ჰემილტონი (13+5 პასი+4 ჩაჭრა), შენგელია (11+5 მოხსნა), ბეგინი (9+5 მოხსნა).

**მაკაბი–მილანი 85:76**

25:14, 27:24, 15:24, 18:14

მაკ: შორცანიდისი (28+6 მოხსნა), ფარმარი (21+6 მოხსნა+5 პასი).

მილ: გალინარი (24+3 ჩაჭრა), ფოცისი (15+9 მოხსნა), კუკი (12+8 პასი+3 ჩაჭრა), ჰეირსტონი (12).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 5 | 1 | 29 |
| 2. რეალი | 4 | 2 | 48 |
| 3. ეფესი | 3 | 3 | 0 |
| 4. პარტიზანი | 3 | 3 | -9 |
| 5. მილანი | 2 | 4 | -16 |
| 6. შარლერუა | 1 | 5 | -52 |

■ ■ ■

A ჯგუფის ორივე შეხვედრაში ძალიან დაძაბული ბრძოლა იყო. ესპანეთის „კახა ლაბორალმა“ მხოლოდ ოვერტაიმში გატეხა შინ „ფერენბაჰჩეს“ წინააღმდეგობა - 90:85. არადა, ბოლო მეოთხედის წინ, თურქული კლუბი 6 ქულით იყო წინ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.

ამ ტურის საუკეთესო მოთამაშედ „კახა ლაბორალის“ ფორვარდი **ფერნანდო სან ემეტერიო** დაასახელეს. „ფენერბაჰჩესთან“ მატჩში ესპანეთის ნაკრების წევრმა 25 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა.

ასევე სოლიდური უპირატესობა ჰქონდა ბოლო მეოთხედის წინ **მარკოიშვილისა** და **შერმადინის** „კანტუს“ სტუმრად „ნანსისთან“ შეხვედრაში. იტალიელები შვიდ ქულას იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ, ერთი ქულით დათმეს შეხვედრა 75:76.

ამ მატჩში ქართველების მონაგარი ასეთი იყო - **მარკოიშვილი** - 10 ქულა, **შერმანდინი** - 9 ქულა და 3 მოხსნა.

**კ. ლაბორალი–ფენერბაჰჩე 90:85ოტ**

16:14, 22:28, 16:18, 19:13, 17:12

კ-ლ: სან ემეტერიო (25+8 მოხსნა), ბიელიცა (16+7 მოხსნა), ოლესონი (13), ტელეტოვიჩი (12+5 მოხსნა), პრიჯიონი (11).

ფ: ბოგდანოვიჩი (19+6 მოხსნა), ოგიუზ სავაში (14), სეფოლოშა (13+7 მოხსნა+4 პასი+5 ჩაჭრა), ჯერელსი (13).

**ნანსი–კანტუ 76:75**

16:20, 29:13, 11:29, 20:13

ნ: ამაგუ (18), შულერი (12), სამნიკი (11), მოერმანი (8+8 მოხსნა).

კ: ლეუნენი (18+9 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), მიჩოვი (14+5 პასი), ბაზილე (10), მარკოიშვილი (10), შერმადინი (9).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. კ. ლაბორალი | 4 | 2 | 12 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 3 | 3 | 9 |
| 3. კანტუ | 3 | 3 | 6 |
| 4. ფენერბაჰჩე | 3 | 3 | -6 |
| 5. ნანსი | 3 | 3 | -8 |
| 6. ბილბაო | 2 | 4 | -13 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# ნადალი: მოტივაცია დავკარგე



რაფაელ ნადალი

ლონდონში ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე ჯგუფური ეტაპი დაასრულეს B ჯგუფის წევრებმა.

დღის პირველ შეხვედრაში უმოტივაციო **როჯერ ფედერერი** და **მარდი ფიში** შეხვდნენ ერთმანეთს. შვეიცარიელს გარანტირებული ჰქონდა პირველი ადგილიდან ნახევარფინალში გასვლა, ამერიკელს კი შემდეგ ეტაპზე გასვლის არანაირი შანსი არ გააჩნდა.

მიუხედავად ამისა, ფიშმა გაიბრძოლა და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს. პირველ სეტში როჯერმა 32 წუთში სამი ბრეიკის წყალობით მოიგო - 6:1. ეს ერთადერთი გეიმი ფიშმა მეტოქის მოწოდებაზე აიღო.

მეორე პარტიაში ამერიკელმა მეოთხე გეიმში გააკეთა ბრეიკი, ფედერერს კი ერთ ბრეიკ-პოინტიც არ მისცა და 6:3 გაიმარჯვა.

მესამე სეტში გადამწყვეტი აღმოჩნდა ფედერერის მიერ მეორე გეიმში აღებული ბრეიკი და ამის ხარჯზე ფედერერმა საათსა და 48 წუთში გამარჯვებამდე მიიყვანა შეხვედრა - 6:1, 3:6, 6:3.

■ ■ ■

ლონდონის ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს მეორე ჩოგანი **რაფაელ ნადალი**. მისი და **ჟო-ვილფრიდ ცონგას** მატჩში გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა, შესაბამისად, ძალიან დიდი იყო ამ შეხვედრის ფასი.

პირველ სეტში ოდნავ უკეთ ფრანგი ჩოგბურთელი გამოიყურებოდა, რომელსაც რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ, ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო ბრეიკის აღება და საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ცონგამ სამი მინი-ბრეიკი გააკეთა და შემოკლებული გეიმი 7:2 მოიგო.

მეორე სეტში ნადალი უფრო მეტს უტევდა, თან მოწოდებაზე თამაში დაალაგა. მიუხედავად ამისა, 5:4-მდე არც ერთ ჩოგბურთელს ბრეიკ-პოინტი არ ჰქონია. მხოლოდ მეათე გეიმში მიიღო რაფამ ოთხი ასეთი შანსი და მეოთხე ცდაზე მიაღწია საწადელს - 6:4.

მესამე პარტიაში კი გამოიკვეთა ცონგას აშკარა უპირატესობა. ფრანგმა თავიდანვე ბრეიკით წაიყვანა ანგარიში და შემდეგ აქცენტი საკუთარი მოწოდების შენარჩუნებაზე გააკეთა. მოგვიანებით, ცონგამ მეორე ბრეიკიც აიღო და 5:2 დაწინაურდა. მართალია, პირველ ჯერზე მატჩზე ჩაწოდება ვერ მოახერხა, მაგრამ იქვე ნადალმა საჩუქარი გაუკეთა - „მშრალი" ანგარიშით წააგო საკუთარი მოწოდება და სეტი 3:6 დათმო.

ცონგამ მეორე ადგილი დაიკავა და ფედერერთან ერთად B ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდა.

მოგვიანებით, რაფაელ ნადალმა ახსნა თავისი სუსტი გამოსვლის მიზეზი. როგორც ესპანელი ამბობს, მას სულ უფრო და უფრო უმძიმს კორტზე გამოსვლა. შარშან რაფა საუკეთესო იყო, მაგრამ წელს აშკარად დათმო პოზიციები. ბოლო წვეთი გახდა ცონგასთან წაგება, რის შემდეგაც ნადალმა აღიარა, რომ უჭირს საკუთარი თავის მოტივირება.

„ამჟამად ცუდი პერიოდი მაქვს. არანაირი აღმაფრენა, მხოლოდ დაღლილობას ვგრძნობ, - ამბობს ესპანელი ჩოგბურთელი. - სპორტსმენის კარიერაში ასეთი რამ ხდება".

შეგახსენებთ, რომ ნადალს წელს კიდევ მოუწევს კორტზე გასვლა. მან ესპანეთის ნაკრებში დევისის თასის ფინალი უნდა ითამაშოს არგენტინის წინააღმდეგ.

# დებმა ჩოგბურთი გაიხსენეს

ქალმა ჩოგბურთელებმა ორი კვირაა, რაც დაასრულეს სეზონი და უკვე მომავალი წლისთვის ემზადებიან. ამ მიზნით ამერიკელი დები - **სერენა** და **ვენუს უილიამსები** კოლუმბიას ეწვივნენ და ქალაქ მედელინში საჩვენებელი შეხვედრა გამართეს.

ეს მატჩი საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ სერენასა და ვენუსს ამერიკის ღია პირველობის შემდეგ არც ერთი მატჩი არ ჰქონდათ ჩატარებული და გულშემატკივრებს მათი მზადყოფნა აინტერესებდათ.

ამ ეტაპისთვის უკეთ ვენუსი გამოიყურებოდა, რომელმაც ორ სეტში მოიგო ეს შეხვედრა, თუმცა უმცროსი დისგან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა.

სერენა ორივე პარტიაში ორი გეიმით იყო წინ. პირველში 3:1-ს იგებდა, მაგრამ სეტის ბოლომდე მხოლოდ ერთი გეიმი აიღო და 4:6 დამარცხდა.

მეორე სეტში კი ვენუსმა 3:5-დან გადაარჩინა პარტია, საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და იქ საჩოგბურთო ლატარია 7:5 მოიგო. შეხვედრა საათსა და 33 წუთს გაგრძელდა.

უილიამსების შემდეგი გამოჩენა კორტზე 3 დეკემბერს მილანში იგეგმება, სადაც ისინი საჩვენებელ შეხვედრებს ჩაატარებენ ადგილობრივ ჩოგბურთელებთან - **ფლავია პენეტასთან** და **ფრანჩესკა სკიავონესთან**.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ვენუსი და სერენა

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ბარნეტი-მაკლსფილდი | 2:1 |
| პორტ ვეილი-ტორკი | 0:0 |
| **იტალია** | |
| უდინეზე-რომა | 2:0 |
| **სერია C1/A** | |
| პიზა-ვიარეჯო | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეპორტივო-ალმერია | 3:1 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-ბორუსია (მ) | 0:3 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| აუე-დუისბურგი | 1:2 |
| ფრანქფურტი-პადერბორნი | 2:2 |
| ჰანზა-უნიონი | 2:5 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ზანდჰაუზენი-ისნაბრიუკი | 0:0 |
| ერფურტი-ხემნიცი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კოტბუსი II-მეპენი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| მიუნხენი II-ფიურტი II | 0:0 |
| მემინგენი-ბაიერნი II | 1:1 |
| პფიულენდორფი-ფრაიბურგი II | 2:0 |
| ვორმატია-ფრანქფურტი II | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლევერკუზენი II-ლოტე | 0:0 |
| ვუპერტალი-ვიდენბრუკი | 3:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გინგამი-ბასტია | 1:1 |
| ისტრი-ბულონი | 0:0 |
| ჰავრი-ტრუა | 3:0 |
| მეცი-ამიენი | 1:0 |
| ნანტი-მონაკო | 3:0 |
| სედანი-ლავალი | 2:1 |
| ტური-არლი | 4:1 |
| შატორუ-ანჟერსი | 0:1 |
| **ნასიონალი** | |
| ბეზანსონი-ვანი | 0:2 |
| შერბური-ბოვე | 2:2 |
| ფრეჟუსი-ლე პუარი | 2:5 |
| მარტიგი-გფკო აიაჩო | 2:3 |
| ნიმი-კოლმარი | 2:0 |
| პარიზი-კევილი | 2:0 |
| რუანი-კრეტეი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ალკმაარი-უტრეხტი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ტელსტარი | 2:3 |
| ემენი-მაასტრიხტი | 2:1 |
| ვოლენდამი-ვეენდამი | 3:2 |
| ფორტუნა-დორდრეჰტი | 2:0 |
| სპარტა-ეინდჰოვენი | 2:2 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-მეხელენი | 3:2 |
| **პორტუგალია** | |
| აკადემიკა ბეირა მარი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-ბლაუ ვაისი | 1:3 |
| ჰარტბერგი-ალტახი | 0:2 |
| ვენა-ლუშტენაუ | 2:3 |
| სტ. ანდრა-გრიოდიგი | 3:2 |
| ლინცერი-სტ. პოლტენი | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| გენჩლერი-ფენერბაჰჩე | 0:0 |
| **უელსი** | |
| კარმარტენი-აფან ლიდო | 2:5 |
| ტნს-ეირბასი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-დუკლა | 0:0 |
| **პოლონეთი** | |
| პოლონია-პოდბესკიძე | 2:1 |
| შლიონსკი-ვისლა | 0:1 |
| **უკრაინა** | |
| მეტალურგი (დ)-ვორსკლა | 6:3 |
| მეტალისტი-ტავრია | 2:0 |
| **ხორვატია** | |
| ლოკომოტივა-ვარაჟდინი | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-ჰალადაში | 2:2 |
| **რუმინეთი** | |
| ასტრა-ჩახლაული | 0:0 |
| **აზერბაიჯანი** | |
| განჯა-თურანი | 1:1 |
| სუმგაითი-რავანი | 0:1 |
| შიმურძი-ხაზარი | 2:2 |
| **ვენესუელა** | |
| არაგუა-რეალ ესპორი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-როანი | 82:50 |
| **თურქეთი** | |
| ალიაგა-ბეშიქთაში | 80:92 |
| **ფრენბურთი** | |
| **მსოფლიოს თასი** | |
| **კაცები** | |
| ირანი-არგენტინა | 3:2 |
| რუსეთი-ეგვიპტე | 3:1 |
| კუბა-სერბეთი | 3:1 |
| ჩინეთი-ბრაზილია | 2:3 |
| იაპონია-პოლონეთი | 1:3 |
| იტალია-აშშ | 3:1 |
| **ჰოკეი** | |
| **NHL** | |
| ბოსტონი-დეტროიტი | 2:3 (ბ) |
| **კჰლ** | |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (რ) | 1:2 (ო) |
| სიბირი-ატლანტი | 2:3 |
| ს. იულიაევი-ავანგარდი | 4:2 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ვენა | 3:2 (ბ) |
| ვილახი-გრაცი | 5:0 |
| ზალცბურგი-ალბა | 3:2 |
| ზნოიმო-ზაგრები | 1:5 |
| ლინცერი-ოლიმპია | 4:0 |
| **გერმანია** | |
| კრეფელდი-ჰანოვერი | 5:2 |
| აუგსბურგი-ჰამბურგი | 2:4 |
| ვოლფსბურგი-აისბარენი | 5:2 |
| ინგოლშტადტი-დიუსელდორფი | 3:1 |
| იზერლონი-ნიურნბერგი | 4:3 (ბ) |
| მიუნხენი-კიოლნი | 4:1 |
| შტრაუბინგი-მანჰაიმი | 5:4 (ო) |
| **დანია** | |
| როდოვრე-კოპენჰაგენი | 6:3 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 1:2 |
| ფრედრიკშავნი-ჰერლევი | 6:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-მარტინი | 4:1 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 3:0 |
| პოპრადი-ნიტრა | 2:1 |
| კოშიცე-ბისტრიცა | 2:1 |
| სლოვანი-სკალიცა | 7:3 |
| **ფინეთი** | |
| კალპა-საიპა | 3:2 (ბ) |
| ტპს-ბლუზი | 3:2 |
| ჰიფკ-პელიკანსი | 3:1 |
| ესეტი-ილვესი | 5:2 |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 1:0 (ბ) |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ზლინი | 3:1 |
| ბოლესლავი-სპარტა | 2:5 |
| პლზენი-კლადნო | 4:1 |
| კარლოვი ვარი-ბუდეიოვიცე | 3:2 |
| პარდუბიცე-ტრშინეცი | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-სერვეტი | 3:6 |
| კლოტენი-ცუგი | 4:5 |
| ფრიბურგი-ბილი | 5:3 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-აიკ | 4:5 |
| ტიმრა-ლინჩოპინგი | 5:3 |
| ჰვ71-ლულეა | 1:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ლონდონი** | |
| ჯოკოვიჩი-**ტიპსარევიჩი** | 6:3, 3:6, 3:6 |
| ფერერი-**ბერდიხი** | 3:6, 7:5, 6:1 |

## TV პროგრამა

### 26 ნოემბერი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. უდინეზე-რომა.
12:00 იტალიის შოუ.
12:30 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
14:30 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
15:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტურის წინ.
15:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტურის წინ.
16:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
18:30 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტურის წინ.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი (LIVE).
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ნოვარა-პარმა (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. რეალი-ატლეტიკო (LIVE).
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. ხეტაფე-ბარსელონა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:35 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. ოკლაჰომა-დალასი.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ცსკა-ჟალგირისი.
17:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. დორტმუნდი-შალკე (LIVE).
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
21:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. არსენალი-ფულემი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ლაციო-იუვენტუსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
12:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ჩეზენა.
14:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. გლაზგო უორიორსი-ბეთი.
16:15 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
16:45 სუპერკოლაჟი.
17:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
20:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტულუზა-გლოსტერი.
22:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. სტ. ეტიენი-აიაჩო (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**I არხი**

13:55 რაგბი. საქართველოს თასი. ფინალი (LIVE).

### 27 ნოემბერი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. ხეტაფე-ბარსელონა.
12:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ლაციო-იუვენტუსი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XIV ტური. რეალი-ატლეტიკო.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. სიენა-ინტერი (LIVE).
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. XIII ტური. ლივერპული-მანჩესტერ სიტი (LIVE).
22:00 იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. პალერმო-ფიორენტინა.
00:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. მარსელი-პსჟ (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. დორტმუნდი-შალკე.
11:50 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. ჩემპიონის გზა. დალასი-ოკლაჰომა.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 სპორტის ვარსკვლავები - ზაურ ცხადაძე.
16:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უნიკაჰა-პანათინაიკოსი.
17:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
18:15 სუპერკოლაჟი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. ვერდერი-შტუტგარტი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XIV ტური. მაინცი-ბაიერნი (LIVE).
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XIII ტური. მილანი-კიევო (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. 1/2 ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
12:30 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XV ტური. სტ. ეტიენი-აიაჩო.
14:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. კარდიფ ბლუზი-ლონდონ აირიში.
16:15 სპორტული ტანვარჯიში. კაცები. გუნდური. შტუტგარტი. გერმანია.
19:10 სუპერკოლაჟი.
19:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური. ტვენტე-ვიტესი (LIVE).
21:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. მიმოხილვა. ლონდონი. ინგლისი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო (LIVE).

● კალათბურთი

# ლებრონ ჯეიმსი: კლივლენდში დაბრუნება შესაძლებელია

ლებრონ ჯეიმსი იშვიათად იძლევა ვრცელ ინტერვიუებს. ასეთი რამ თითქმის არასოდეს ხდება. "მეფე" ამ წესს არც საზღვარგარეთ ცვლის, მაგრამ გასულ კვირას ჯეიმსს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ბრიტანული "გარდიანის" ჟურნალისტთან დონალდ მაკრეისთან. ეს ლონდონში მოხდა, სადაც "მაიამის" ფორვარდი "ნაიკის" სარეკლამო ტურნეს ეგიდით მოხვდა.




ინგლისი არ მიიჩნევა ძლიერ საკალათბურთო ქვეყანად და იქ სპორტის ამ სახეობაზე მწერალი ჟურნალისტები არც ისე მრავლად არიან. ლებრონი ამ რეგიონით იმის გამო ინტერესდება, რომ ცოტა ხნის წინ საფეხბურთო კლუბის "ლივერპულის" თანამფლობელი გახდა. ის, რომ თანამედროვე კალათბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი არც ისე პოპულარულია ბრიტანეთში, ერთი ფაქტიდან ჩანს: მაკრეისთვის მიცემულმა ინტერვიუმ "გარდიანის" ფურცლებზე მხოლოდ რვა დღის შემდეგ იხილა დღის სინათლე.

**- როცა ცნობილი გადაწყვეტილების („მაიამიში" გადასვლა) შემდეგ "კლივლენდის" მფლობელი დენ გილბერტი თქვენი მისამართით მკვეთრი განცხადებებით გამოვიდა, ხომ არ გაიფიქრეთ, რომ მართალი იყავით და "ჰიტში" გადასვლა გამართლებული საქციელი იყო?**

- არ მიმაჩნია, რომ ამ გადაწყვეტილების გამო თავი უნდა ვიმართლო. გილბერტმა ეს ყველაფერი, ალბათ, ემოციურ ფონზე განაცხადა. ეს პირადად საკუთარ თავზე არ მიმიღია. როცა პროფესიონალი სპორტსმენი ხარ, ბევრი ცუდი რამის მოსმენა გიწევს. ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ და ვცდილობ ახალი მიზნების დაპყრობაზე ვიფიქრო.

**- ერთხელ თქვით, რომ არ გამორიცხავთ ოდესმე "კავალიერზში" დაბრუნებას. ეს სიმართლეა?**

- შეუძლებელი არაფერია.

**- მაგრამ არასასურველი?**

- მე ძველებურად მიყვარს ეს ქალაქი, ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩა მასზე და მის გულშემატკივრებზე. ამიტომაც ვამბობ: შეუძლებელი არაფერია.

■ ■ ■

სინამდვილეში, ჯეიმსს უკვე ჰკითხეს გილბერტთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ. მაგალითად, ჟურნალ GQ-სთან ინტერვიუში ერთი თვის წინ ამ თემაზე ამბობდა: *"ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ ადამიანის ხასიათსა და ბუნებას რთულ სიტუაციაში. მე და ჩემმა ოჯახმა კარგად დავინახეთ რეალურად როგორ ადამიანთან გვაქვს საქმე".*

ჯეიმსსა და **გილბერტს** ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია აქვს – ისტორიულ ტრანსფერამდე და მის შემდეგ. ცოტა ხნის წინ, ნიუ იორკში ლოკაუტთან დაკავშირებული შეხვედრისას მათ რამდენიმე საათი გაატარეს ერთ ოთახში. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ლებრონს ერთხელაც არ გაუხედავს დენის მიმართულებით. თავისთავად ცხადია, რომ ისინი ერთმანეთს არ გაუგზავნიან შობაზე მისალოც ბარათებს. მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ ბოლო დროს კალათბურთელი ოდნავ მოლბა. ლებრონი ყოველთვის ცდილობდა ღია დაეტოვებინა კლივლენდში დასაბრუნებელი კარი.

■ ■ ■

**- თქვენამდე ბევრ დიად კალათბურთელს – ლარი ბერდს, მეჯიქ ჯონსონს, მაიკლ ჯორდანს უთქვამს, რომ არ სურთ ერთ გუნდში ყოფილ მეტოქეებთან მხარდამხარ თამაში.**

- დიახ, ეს ასეა.

**- მართებულია თუ არა მათი მოსაზრება თუ კალათბურთი ძალიან შეიცვალა?**

- როცა "ლეიკერსმა" მეჯიქი დრაფტზე აიყვანა, მათ უკვე ჰყავდათ ქარიმ აბდულ-ჯაბარი. სწორედ მაშინ გუნდი საბოლოოდ დაკომპლექტდა. ჯეიმს უორთი გუნდის განუყოფელი ნაწილი იყო, ისევე როგორც ჯამალ უილქსი და ბობ მაკადუ. როგორც ხედავთ, "ლეიკერსს" NBA-ის დიდების დარბაზის ოთხი წევრი ჰყავდა. იმ პერიოდში ჯორდანი შეუჩერებელი იყო და წინ მიუძღვოდა "ჩიკაგოს", რომელსაც დრაფტზე სკოტი პიპენი, შემდეგ კი ჰორას გრანტი ერგო – მართლაც უდიდესი კალათბურთელები. მოგვიანებით, მათ დაემატათ დენის როდმანი – დიდების დარბაზის კიდევ ერთი წევრი. როგორც ხედავთ, ეს გუნდიც ჯორდანის გარშემო შეიქმნა. იგივე ითქმის ლარი ბერდზე: ის თამაშობდა კევინ მაკჰეილის, რობერტ პერიშის, დენი ეინჯის გვერდით, რომლებიც შესანიშნავი კალათბურთელები იყვნენ.

ხომ ხვდებით, რომ კარგად ვიცნობ კალათბურთის ისტორიას. ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეები ყოველთვის საყოველთაო ყურადღების ცენტრში არიან. მაგრამ დღემდე არ ყოფილა კალათბურთელი, რომელმაც წარმატება პარტნიორების დახმარების გარეშე მიაღწია. უფრო წინა წლებში წავიდეთ: იყო დრო, როცა ოსკარ რობერტსონი სეზონურ სამმაგ დუბლამდე ქვემოთ არ ჩამოდიოდა, მაგრამ ჩემპიონატში გამარჯვება არ ჩანდა იქამდე, სანამ ის ქარიმთან არ გაერთიანდა. იგივე შეიძლება ითქვას ჯერი უესტზე. ბევრს არ ახსოვს, რომ მან ცხრა ფინალში მიიღო მონაწილეობა. რვაჯერ დამარცხდა და მხოლოდ ბოლოში გაიმარჯვა.

■ ■ ■

აი, ასე უნდა ელაპარაკა ჯეიმსს იმ ტრანსფერის შემდეგ და არ უნდა ესროლა ასეთი ტიპის ფრაზები: *"ყველა ადამიანი, ვინც მე წაგებას მისურვებს, მალე ყოველდღიურ პრობლემებსა და გასაჭირს გადაეყრება, მე კი გავაგრძელებ საკუთარ ცხოვრებას და გავაკეთებ იმას, რასაც საჭიროდ ჩავთვლი".* ლებრონმა ინანა ამ სიტყვების გამო და მეორე დღეს სიტუაციის გამოსწორება სცადა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

*"გულის სიღრმეში, ყოფილი თანაგუნდელებისა და "კლივლენდისადმი" დიდი სიყვარულის მიუხედავად, მიწევდა შევგუებოდი იმ აზრზს, რომ მარტო არ შემეძლო დავპირისპირებოდი ძლიერ გუნდებს. ის, რაც მეგობრებს, ოჯახსა და ფანებს გავუკეთე, ძალიან ულამაზოა და ბოდიშს ვუხდი ყველას. მე გავაცნობიერე, რომ ასეთი შანსი შეიძლება აღარც მქონოდა. უნდა გამევლო ეს ყველაფერი, გვერდში უნდა ამოვდგომოდი უეიდსა და ბოშს, რათა პლეი ოფში დამემარცხებინა ისეთი ძლიერი გუნდი, როგორიც არის "სელტიქსი",* - განაცხადა პლეი ოფში "ბოსტონის" ძლევის შემდეგ უკვე "მაიამის" კალათბურთელმა.

მაგრამ ჯეიმსი ამაზე არ ჩერდება და „გარდიანთან" ინტერვიუში ამბობს, რომ ისტორიის ცოდნა ძალიან დაეხმარა ცნობილი ტრანსფერით გამოწვეულ აურზაურის მოგვარებაში. აგრეთვე ის ახსენებს ორ ვარსკვლავურ პარტნიორს, რომლებთან ერთად თამაშიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს.

**რობერტსონს** ერთ-ერთი საუკეთესო სტატისტიკა აქვს NBA-ის ისტორიაში, მაგრამ ეს არ მოასწავებდა ტრიუმფს ლიგაში გატარებულ მე-11 სეზონამდე, როცა მან მაინც მოიგო ტიტული "მილუოკი ბაქსთან" ერთად. ცნობისთვის, ამ 11 სეზონიდან ხუთჯერ ის პლეი ოფშიც ვერ გავიდა. ძალიან საგულისხმო შედარებაა, რადგან ლებრონმა უკვე რვა სეზონი ჩაატარა და უდიდეს ზეწოლასა და პასუხისმგებლობას გრძნობს.

გარკვეულწილად დიად კალათბურთელებთან საკუთარი თავის შედარება – ეს დაცვითი მექანიზმია. ამით ცდილობს ჯეიმსი უპასუხოს ყველას – კრიტიკოსებსა და არაკეთილისმსურველებს. შეიძლებოდა ლებრონისთვის ამ თემაზე კითხვის დასმა, მაგრამ ეს მას წონასწორობიდან გამოიყვანდა.

■ ■ ■

**- მაშინ თქვენ შეხვდით პეტ რაილის და მან საჩემპიონო ბეჭდები გიჩვენათ. ეს გადამწყვეტი მომენტი გახდა?**

- დიახ. ეს განსაკუთრებული მომენტი იყო: კარგად ვიცი ისტორია და წარმომიდგენია, რამდენიმე ბეჭედი აქვს მას მოგებული. როცა მივხვდი, რამდენად ძლიერი იყო საკალათბურთო ოჯახის გრძნობა ამ გუნდში, ბევრი რამ გადავწყვიტე. შედეგის მიუხედავად, ისინი ყოველთვის ზრუნავენ მოთამაშეებზე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

■ ■ ■

ბევრი აშკარა და ფარული მინიშნება იყო იმის შესახებ, რომ ლებრონი საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ჰიტთან" ჯერ კიდევ იქამდე, სანამ თავისუფალი აგენტი გახდებოდა.

ჯეიმსთან სათითაოდ მიდიოდნენ „მაიამის" წარმომადგენლები. პირველი იყო **დუეინ უეიდი**, რომელმაც შემდეგ „გაკვირვება" გამოთქვა ლებრონის საბოლოო გადაწყვეტილების გამო. ამას მოჰყვა მოლაპარაკებები **ერიკ სპოელსტრასთან**, ხოლო **მიკი არისონი** მასთან შეხვედრაზე კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი მივიდა, ბოლოს კი **ალონზო მოურნინგმა** ტირილიც კი დაიწყო.

მაგრამ ბოლო სიტყვა პეტ რაილიმ თქვა: მისმა ბეჭდებმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ჯეიმსზე და ის დღემდე მოქმედებს...






## ევანსი რომაში წავიდა, ოდომი ბეშიქთაშს შეუთანხმდა

NBA-ის კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი გადაბარგდა ევროპაში. იტალიის სერია A-ში მოთამაშე „რომამ" კონტრაქტი გააფორმა „საკრამენტო კინგზის" ლიდერთან ტაირიკ ევანსთან. ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ.

ევანსი „ვირტუსში" ლოკაუტის პერიოდში ითამაშებს. ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მცველი კალიფორნიულ კლუბში დაბრუნდება.

■ ■ ■

ძალიან მიუახლოვდა „ბეშიქთაშს" „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვეტერანი **ლამარ ოდომი.**

თურქული კლუბი მაღალი დონის ფორვარდის ძიებაში იყო და საბოლოოდ, ოდომზე შეაჩერა არჩევანი. როგორც იტყობინებიან, კალათბურთელმა უკვე შეათანხმა კონტრაქტის დეტალები „ბეშიქთაშთან".

ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტი ასეთია - თუ ოდომი სეზონის ბოლომდე გადაწყვეტს თურქეთში დარჩენას, ამ შემთხვევაში ის 2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

■ ■ ■

პირველი მატჩი ჩაატარა ოკეანის გაღმა ესპანური კალათბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავმა, „მინესოტა ტიმბერვულვზის" ახალბედამ **რიკი რუბიომ.**

„ბარსელონას" ყოფილმა გამთამაშებელმა მონაწილეობა მიიღო **დრიუ გუდენის** მიერ ორგანიზებულ საჩვენებელ მატჩში.

გუნდი, რომელშიც რუბიო თამაშობდა, 92:117 დამარცხდა, მაგრამ ესპანელი მაინც კარგ ხასიათზე იყო.

*„ჩემთვის ძალიან სახალისო იყო NBA-ის კალათბურთელების მხარდამხარ თამაში. ამიტომაც არ ვჩქარობ ესპანეთში დაბრუნებას. ამერიკაში დავრჩები და შევხედავ, როგორ განვითარდება მოვლენები ლოკაუტთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სეზონში მომიწევს კალათბურთის თამაში. სად - ეს უკვე სხვა საკითხია",* - თავის სადებიუტო მატჩზე კომენტარი გააკეთა რიკი რუბიომ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კვირის ბოლოს




ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

ვწეროთ ფეხბურთზე